

ბუნებრივი ბრუნვა

პიესები



სალომეა • თბილისი • 1986

ბერტოლტ ბრეჰტი და მისი ქართული ინტერპრეტაციები

ბრეჰტმა ქართულ თეატრში ძალიან დაიგვიანა (და არა მარტო ქართულ, არამედ, საერთოდ, საბჭოთა თეატრში). ამ გერმანელი დრამატურგისადმი ჩვენი დამოკიდებულება გვაგონებს ჩვენსავე მიმართებას პაბლო პიკასოსადმი. ორივეს სავსებით ვენდობით მსოფლმხედველობის სფეროში, მაგრამ „გვაშინებდა“ მათი მეთოდი, რომელიც ასე რადიკალურად განსხვავდებოდა ყოფილი, ემპირიული, მიმეტური რეალიზმის მეთოდისაგან. ბრეჰტის „შემოშვებას“ ჩვენს თეატრებში ალბათ ისიც უშლიდა ხელს, რომ დიდი იყო მარჯანიშვილის, ასმიტელიის, სოლო რუსუეთში სტანისლავსკის ტრადიციები (თუმცა რუსეთს შეიერხოლდიც სომ ჰყავდა!) და ბრეჰტის თეატრალური ესთეტიკა რადიკალურად უპირისპირდებოდა ზემოთ ნახსენები რეჟისორების თეორიასა და პრაქტიკას. უფრო მეტიც: ბრეჰტს დიდხანს არ აღწარებდნენ და არ სწყალობდნენ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსებიც. თითქოს განსხვავებული თეატრალური სკოლებისა და სტილთა თანაარსებობა საზიანო იქნებოდა თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ პეროიკულ-რომანტიკული და ყოფით-რეალისტური თეატრის ადებტები ძალიან დიდხანს ჯიუტად უკეტავდნენ ბრეჰტს ჩვენი თეატრების კარებს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა საქართველოში ბრეჰტს არათუ უბრალოდ იცნობენ, არამედ ის დღესდღეობით ყველაზე პოპულარული დრამატურგია ჩვენში და ეს, უპირველეს ყოვლისა, რეჟისორ რობერტ სტურუას დამსახურებაა, რომელმაც აღზარდა ახალი თეატრის მაყურებელი, ძირითადად სძლია ჩვენი თეატრალების, თეატრმცოდნეების და, რაც მთავარია, მაყურებლების ესთეტიკურ კონსერვატიზმს, შეარყია თავისებური ესთეტიკუ-

რი „იმუნიტეტი“, ნაწილობრივ „უმკურნალა“ ჩვენში ანტიბრეტულ „სინდრომს“ და ახალ თეატრალურ მიმართულებას, ახალ, ანტიილუზიურ და ანტიმიმეტურ თეატრს ჩაუყარა საფუძველი. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ საქართველოში ბრეტის პირველი დამდგმელი რეჟისორი დოდო ალექსიძე იყო. წინამდებარე კრებულშიც სწორედ ის პიესებია დაბეჭდილი, რომლებიც ამ ორმა რეჟისორმა სხვადასხვა დროს განახორციელა რუსთაველის თეატრის სცენაზე.

1966 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა ამ ჟურნალის რედაქტორის საუბარი ქართველ გერმანისტთან. საინტერესოა ამ საუბრის ერთი ადგილი:

„რედაქტორი: საქართველოში ბრეტი საერთოდ ცნობილია?

გერმანისტი: ბოლო ხანებში ის გაიცნეს, აქამდე ნაკლებად იცნობდნენ. გაიცნეს მეტ-ნაკლებად მისი დრამატურგია, პიესები. მისი ლირიკა და პროზა თითქმის მთლად უცნობია. ჩვენთან დაიდგა „სამგროშიანი ოპერა“. სპექტაკლმა დიდი გამოსმაურება პოვა ჩვენს მაყურებლებში. ახლა ზოგიერთი ბრეტს ბაძავს კიდევ... „ქართულად თარგმნილია „კავკასიური ცარცის წრე“, მაგრამ ჯერ არ დაუდგამთ“.

ბრეტს რომ გაუგო, მის პიესას და სპექტაკლს „გემოც“ რომ ჩაატანო, საჭიროა ბრეტის დრამის თეორიისა და მისი თეატრალური პრაქტიკის ცოდნა და, რაც მთავარია, ანტიილუზიური, ანტიმიმეტური თეატრით ტკობის ჩვევა და ძველი, ტრადიციული ილუზიურ-მიმეტური, პეროიკულ-რომანტიკული, მელოდრამატული და ა. შ. თეატრის მიხედვით შექმნილი ესთეტიკური კატეგორიების დათმობა.

ბრეტს რომ გაუგო, ბრეტის ენა უნდა გესმოდეს, უნდა იცოდეს ბრეტის დრამის „თამაშის წესები“.

ყოველი ახალი, უჩვეულო, ის, რაც არ ეხმიანება, არ ეფარდება მაყურებლის დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულ გემოვნებას, ბუნებრივია, იწვევს ფარულ და აშკარა წინააღმდეგობას, პროტესტს, აღშფოთებასაც კი.

საქართველოში ანტიილუზიურ, ანტიმიმეტურ თეატრს არავითარი ტრადიციები არ ჰქონია. ჩვენში აქამდე ერთპიროვნულად ბატონობდა ილუზიური თეატრი, განსაკუთრებით ამ თეატრის პეროიკულ-რომანტიკული და მელოდრამატული განშტოება (უნდა ითქვას, რომ ქართულ სცენაზე არაერთხელ შექმნილა ამ განხრის შესანიშნავი სპექტაკლები: „ცხვრის წყარო“, „ყაჩაღები“, „ურიელ აკოსტა“ და სხვ., მაგრამ განა ეს იმას გვავალებდა, რომ სხვა მიმართულების თეატრი ანტიქართულად გამოგვეცხადებინა და მისი პარალელურად არსებობისათვის ხელი შეგვეშალა?!).

ბრეტი ტრადიციულ მაყურებელს ურღვევს ჩვეულ, ბავშვობიდანვე შეთვისებულ თეატრალურ ესთეტიკას, წარმოდგენებს; ასეთი მაყურებლის-

თვის რადიკალურად უცხოა თამაშში თამაში, ფიქციაში ფიქცია. მას ნაწარმოები მით უფრო მაღალმხატვრული ჰგონია, რაც უფრო გარეგნულად მიმსგავსებულად გამოხატავს იგი საგანს — მკვეთრი დეფორმაციები მისთვის მიუღებელია. მას სურს, მხატვარმა ისე დახატოს ალუბლები, რომ ბელურებიც კი მიიზიდოს ასაკენკად. მას უნდა, რომ გულამოსკვნილი ტიროდეს სპექტაკლის მსვლელობის დროს და სჯეროდეს, რომ სცენაზე ყველაფერი ნამდვილად ხდება. ემოციური თანაგანცდის, კათარზისის, საკუთარი თავის მოქმედ პირებთან იდენტიფიცირების გარეშე უჭირს სპექტაკლის აღქმა და ყოველივე ეს თეატრალური წარმოდგენის აუცილებელი ატრიბუტები ჰგონია (ბრეჰტი უარყოფდა როგორც კათარზისს, ასევე რელაქსაციას — ე. ი. „განძაბვას“, მოშვებას, დაძაბულობის მოხსნას, უშუალო თანაგანცდას, გარდასახვას ტრადიციული გაგებით და ა. შ.).

ერთი გერმანელი ავტორი თავის წერილში „შიში თანამედროვე ხელოვნების წინაშე, გოეთედან პიკასომდე“ წერს: „საინტერესო სახასხავია, თუ რას განიცდიან გამოფენის მნახველები იმ ნამუშევრების მიმართ, რომლებიც მათ არ ესმით. თვით ყველაზე წყნარი და უწყინარი ადამიანებიც კი კარგავენ მოთმინებას და ნერვიულობას იწყებენ უჩვეულო, ახლებურად შესრულებული ფერწერული ნამუშევრების წინაშე მდგარნი, ისინი შფოთავენ და ისე იქცევიან, თითქოს ამ მუნჯ საგნებს მათთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოთ. დიას, ადამიანები გულწრფელად არიან აღშფოთებულნი და გაგულისებულნი“.

ავტორი ცდილობს, ახსნას ადამიანთა ეს უცნაური საქციელი. ამ სპონტანური აფეთქების მიღმა, მისი აზრით, მოქმედებს შემდეგი ფაქტორი: მაყურებელი ბრაზდება, აღშფოთდება იმის გამო, რომ მას არ ესმის ნაწარმოები, ეს კი მასში შიშს ბადებს. აღშფოთება და გაბრაზება — ეს თავდცვის საშუალებაა, თუ მას ნაწარმოები არ მოაგონებს სხვა ნაწარმოებს, უკვე ნაცნობსა და ნანახს, თუ მას არ შეუძლია მისი სხვასთან მიმსგავსება, ნანახთან და შეჩვეულთან შედარება, მაშინ მას შიში ეუფლება, შემდეგ კი ბრაზი. მაყურებელმა იცის, რომ ვიღაც სადღაც (განსაკუთრებით სპეციალისტები და ე. წ. მცოდნენი) ამ ნამუშევარს დიდად აფასებს, მას კი სრულიად არ ესმის, სრულიად არ მოსწონს იგი, მაშასადამე, მას რაღაც შინაგანი ნაკლი აქვს, მაგრამ ამის შეგნება, აღიარება და ამ ნაკლის აღმოფხვრისათვის ზრუნვა უჭირს. ამიტომ ადამიანს თავისი ნაკლი გარეთ გამოაქვს და სურათს „დანაშაულებს“. ამით იგი თავისუფლდება, მაგრამ ეს განთავისუფლება მას ხელოვნებას აშორებს.

ასევე ემართება ტრადიციულ მაყურებელს ბრეჰტთან შესგედრისას. ეს იყო პირველი სიძნელე, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ბრეჰტის დამდგმელი ქართველი რეჟისორები.

მეორე სიძნელეს რეჟისორის წინაშე თვითონ ორთოდოქსი ბრეჰტიანელები ქმნიან, რომლებიც ძველ კერპებს ამსხვრევენ, მაგრამ ბრეჰტს ახალ კერპად სახავენ, მოითხოვენ ბრეჰტის არა მარტო არსების, არამედ მისი ყოველი „დოგმის“ ერთგულებას, მოითხოვენ ბრეჰტის სპექტაკლების უცვლელ ან მიმსგავსებულ გამეორებას (ბრეჰტი ყოველგვარი ფეტიშიზაციის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბედის ირონია ის არის, რომ თვითონ ბრეჰტი აქციეს ფეტიშად). ამიტომ მოხდა, რომ ბრეჰტის თეატრი კარგა ხანია დგას სამუშეო, ნაფტალინწაყრილ თეატრად, ანდა სულაც თეატრ-სასაფლაოდ გადაქცევის საფრთხის წინაშე, სადაც პომპეზური მონუმენტები დგას და აღარ ქრის სიახლის მაცოცხლებელი სიო.

ამიტომ იყო, რომ რ. სტურუამ თავისი „კავკასიური ცარცის წრით“ ზოგიერთი დოგმატიკოსი და ფანატიკოსი ბრეჰტიანელის გულისწყრომაც კი დაიმსახურა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

პირველად ბრეჰტის პიესა ქართულ სცენაზე 1964 წელს წარმოადგინეს. ეს იყო რეჟისორ დოდო ალექსიძის მიერ დადგმული „სამგროშიანი თქერა“, განხორციელებული რუსთაველის სახელობის თეატრში.

1975 წელს, ე. ი. თერთმეტი წლის შემდეგ, რობერტ სტურუამ, რომელიც აქამდე გაბედულ ექსპერიმენტებს მიმართავდა თავისი სპექტაკლებით („ხანუმა“, „ყვარყვარე“, „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ და სხვ.), ერთბაშად აალაპარაკა სპეციალისტები ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრის“ ახალი ინტერპრეტაციით, რომლის დიდება მალე გასცდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მექსიკაში ნამდვილი ფურორი მოახდინა.

ჩვენდა საბედნიეროდ, არ გამართლდა ბრეჰტის მეუღლისა და სახელოვანი მსახიობის, აგრეთვე ზოგიერთი ქართველი გერმანისტის ვარაუდი, რომ ქართულ თეატრში ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრე“ თითქოს წინასწარ იყო მარცხისათვის განწირული. რ. სტურუამ პიესას ისეთი გასაღები მოარგო, რომ ეს მოსაზრება გააბათილა.

მიუხედავად დ. ალექსიძისა და რ. სტურუას რეჟისორულ-შემოქმედებით ინდივიდუალობებს შორის მკვეთრი განსხვავებისა (დ. ალექსიძე მაინც უფრო ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრის წარმომადგენელია: „ოდიპოს მეფე“, „ბახტრიონი“ და სხვ.), მათ მაინც რამდენადმე და ნაწილობრივ ერთი და იგივე გზა აირჩიეს და ბრეჰტის დრამატურგიას მეტ-ნაკლებად მსგავსი გასაღები მოარგეს. ორივე შეეცადა ბრეჰტის დრამატურგია, რამდენადაც კი შეიძლებოდა, ქართული თეატრის ტრადიციებზე დაეფუძნებინა და, მეორე მხრივ, რადგან ბრეჰტის პიესები ქართველი მაყურებლისათვის (აგრეთვე ბრეჰტისეული სპექტაკლებიც) მეტისმეტად პირქუში და „გაუცინარია“, აქცენტი ნაწარმოების კომედიურ მხარეზე გადაიტანეს, რითაც ნაწილობრივ

შეასუსტეს პიესის ტრაგიკული პლანი (ბრეჰტის ყოველი პიესა ტრაგიკომედიანა — ის არასოდეს არ არის წმინდა წყლის კომედია ან ტრაგედია).

დ. ალექსიძემ პირველი ნაბიჯი გადადგა ბრეჰტის ქართული რეცეფციის საქმეში. მან რამდენადმე შეამზადა ქართველი მყურებელი ანტიილუზიური, ანტიმიმეტური თეატრის აღქმა-მიღებისათვის, შეაჩვია მეტ-ნაკლებად ემპირიული ნამდვილობის დამრღვევ, ანტიილუზიურ „ცივ შხაპებს“ (ზონგები, წარწერები დაფებზე, პირობითი დეკორაციები, დისტანცირების მეთოდი, გაუცხოების ეფექტი, მოქმედების შეწყვეტა, მოქმედების კომენტირება, უშუალო კონტაქტი მყურებელთან და სხვ.). დ. ალექსიძემ ჩაატარა ბრეჰტის გაგებისათვის, ბრეჰტული სპექტაკლის აღქმისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პროპედევტიკული“ სამუშაო; მან მყურებელს ბრეჰტის და საერთოდ თანამედროვე, ანტიილუზიური თეატრის დარგში ელემენტარული, დაწყებითი განათლება მისცა. ეს იყო საქართველოში ბრეჰტის რეცეფციის პირველი საფეხური, პირველი სტადია. დ. ალექსიძემ შეასრულა გზის გამკაფავის, პიონერის მძიმე და ძნელი სამუშაო. და ერთი გერმანული ანდაზისა არ იყოს — ყოველი დასაწყისი ძნელიაო, — მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ეს იყო არა მარტო პირველი ქართული, არამედ, საერთოდ, ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ბრეჰტული სპექტაკლი. „სამგროშიანი ოპერა“ დაიდგა აგრეთვე მოსკოვის სტანისლავსკისა და ლენინგრადის კომკავშირის თეატრებში. როდესაც დასავლეთგერმანული თეატრალური ჟურნალის „თეატერ ჰოიტეს“ კორესპონდენტი მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრების დადგმას რუსთაველის თეატრის „სამგროშიანი ოპერას“ ადარებდა, აღნიშნავდა — „ბრეჰტის ამ პიესის საბჭოთა დადგმებს შორის დ. ალექსიძის სპექტაკლი ყველაზე ბრეჰტული იყო“ („თეატერ ჰოიტე“, 1976, 4 აპრილი, გვ. 40).

დ. ალექსიძემ, რასაკვირველია, შეინარჩუნა კურტ ვაილის მუსიკა, რადგან ეს მუსიკა ორგანული ნაწილია ბრეჰტის პიესისა. ამ პიესის ტექსტებზე შექმნილმა მუსიკამ მთელი მსოფლიო მოიარა და „სამგროშიანი ოპერის“ ზონგებს პიესის გარეშეც ასრულებენ ამერიკასა და ევროპაში (განსაკუთრებით პოპულარულია ე. წ. „მორიტატი“, ე. ი. ქუჩის მომღერლის სიმღერა ყაჩაღ მეკიზე, რასაც ლუი არმსტრონგიც ასრულებდა). მხატვრობა ფარნაოზ ლაპიაშვილს ეკუთვნოდა. დეკორაციები ძუნწი იყო, პირობითი, ბრეჰტული; მხატვრის ერთ-ერთი იღბლიანი მიგნება იყო სცენაზე ჩამოკიდებული ბაწრები, რომლებიც თავისებურ ფარდას ქმნიდნენ.

აღსანიშნავია, რომ „სამგროშიანი ოპერა“ ბრეჰტის შედარებით ადრეული პიესაა და, გარდა ამისა, იგი დრამატურგის შემოქმედებაში გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა, სადაც ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი „ეპიკური თეატრის“ თავისებურებანი. ამიტომ „სამგროშიანი ოპერა“ თავისი მუსიკით, პიკანტურ-ექსცენტრული სიუჟეტით უახლოვდება მი-

უზიკლს და ბრეჰტი მტკივნეულად განიცდიდა, რომ ისინი, რომელთა წინა-აღმდეგაც იყო მიმართული ეს პიესა, სიამოვნებით უყურებდნენ და უსმენდნენ „სამგროშიან ოპერას“. ქართული „სამგროშიანი ოპერა“ კიდევ უფრო დაუახლოვდა მიუზიკლს და სიძულვილი პიესის პერსონაჟების მიმართ, აღშფოთება მათ გამო, კიდევ უფრო შესუსტდა. უფრო მეტიც, ჩვენი მაყურებლები სიმპათიით განიმსჭვალნენ მეკპითისადმი, რადგან რამაზ ჩხიკვაძე თამაშობდა არა ამაზრზენ, საზარელ ბოროტმოქმედს, არამედ მომხიბლავ, ცოტადემონურ, მოხერხებულ, დარდიმანდ, მრავლისმნახველ და მრავლისგანმცდელ, ქალებისმოყვარულ მამაკაცს, რომელიც თავისი მუდმივი წარმატებულობით და ჩასპანდობით იზიდავდა მაყურებელს.

დასავლეთგერმანული თეატრალური ჟურნალი ამის თაობაზე წერდა: „რამაზ ჩხიკვაძე მეკი მესერის როლში კავკასიური ფოლკლორის ყაჩაღს უფრო ჰგავდა, ვიდრე სოპოს ცინიკურ განგსტერს. იგი მაყურებელზე მომხიბვლელად ზემოქმედებდა; მხიარული იყო და მამაცი, ყველა მის მიერ ჩადენილი სიმდაბლე მხოლოდ მოჩვენებით გათამაშებულ ყალთაბანდობას ჰგავდა. მეძავეები ისე იქცეოდნენ, როგორც წესიერი ოჯახების კეკლუცი ქალიშვილები, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ დამის ცოტა თავისუფალ წვეულებაზე...“

დასავლეთგერმანული თეატრალური ჟურნალის რეცენზენტის ანალოგიურ შენიშვნაზე დოდო ალექსიძეს უპასუხია (თუკი რეცენზენტი ზუსტად გადმოსცემს რეჟისორის ნათქვამს): „ეს ჩვენი ეროვნული ხასიათითაა განსაზღვრული; ქართველი მაყურებლები შეჩვეულნი არიან რომანტიკულ, ხალხურ, თუნდაც რეალისტურ, მაგრამ უაღრესად ზნეობრივ თეატრს: ქართული თეატრი ვერ იგუებს უწმაწურ ოხუნჯობას, ეროტიულ ქარაგმებს, უხეშ სლენგს“.

დოდო ალექსიძე არ ყოფილა ბრეჰტის პიესის უბრალო „ილუსტრატორი“, მას დრამატული მასალა უცვლელად არ გადმოუტანია სცენაზე, რეჟისორი თავის ჩანაფიქრს უმორჩილებდა როგორც პიესის ტექსტს, ასევე მის კომპოზიციასაც. მაგალითად, მან მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მსოფლიოში განთქმული სიმღერა ყაჩაღ მეკიზე მის სპექტაკლში თვითონ მეკის ემღერა და არა მეარღნეს, როგორც ბრეჰტის პიესაშია.

რეჟისორმა სპექტაკლში შემოიყვანა სრულიად ახალი პერსონაჟი, სპექტაკლის თავისებური წამყვანი, ავტორის ტექსტისა და რემარკის პერსონიფიკაცია (მსახიობი ოთ. ზაუტაშვილი), რომელიც გროტესკული მანერით მოკლედ აჯამებდა და კომენტარს ურთავდა მოქმედებას, მომხდარსა და მოსახდენს.

ბევრი საინტერესო მიგნება ჰქონდა რამაზ ჩხიკვაძეს მეკი მესერის როლში. განსაკუთრებით ბრწყინვალედ ასრულებდა იგი სცენებს საპატიმროში, გალიაში და გალიის გარეთ: „ორ ცეცხლს“, ორ მეტოქე ქალს შორის მყოფი

(პოლი, „მათხოვრების მეფის“, პიჩემის ქალიშვილი, მსახიობი მ. ლომიძე-პაჭკორია და ლუცი, შერიფ ბრაუნის ქალიშვილი, რომლის როლს ორი მსახიობი ასრულებდა: ლ. ჭავჭავაძე და ჟ. დუგლაძე — აღსანიშნავია, რომ დედანში ბრაუნის ასულს ლუცი ჰქვია და ასე წარმოთქვამენ კიდევ გერმანელები ამ სახელს, ქართულ თარგმანში ლონდონის პოლიციის უფროსის ქალიშვილი ლუსის სახელით მოგვევლინა), რ. ჩხიკვაძე ცდილობს ლავირებას, მოტყუებით, ტკბილი სიტყვით, ერთხელ კი სიმბოლური წყლის შლანგის გამოყენებით მათ დაშოშმინებას... გონებამახვილურია მეკის საპატიმროდან გაპარვის სცენა. ორიგინალური იყო მეკის გამოსვლა სცენის სიღრმიდან,, ისე მოდიოდა, ისე ესალმებოდა უდარდელად აქეთ-იქით უხილავ ადამიანებს, თითქოს პრომენადზე იყო გამოსული ბულვარში, ნამდვილად კი საპატიმროში მიჰყავდათ. აქაც და შემდეგაც, სახრჩობელაზე ასვლისას, რ. ჩხიკვაძე — მეკი არხეინად ოხუნჯობს, თითქოს სიტუაციისთვის შეუფერებლად არხეინი და უდარდელია—სწორედ მის მიზართ შეიძლება გამოვიყენოთ ცნობილი გერმანული გამოთქმა: სახრჩობელის იუმორი აქვსო, ე. ი. ძალიან მძიმე მდგომარეობაშიც კი არ კარგავს იუმორის გრძნობას, რადგან ხვდება, ამა ქვეყნის ძლიერნი მას — ყაჩაღსა და მძარცველს — როგორც „სოციალურად ახლობელ ელემენტს“ სასიკვდილოდ არ გაიმეტებენ და საბოლოოდ მართლაც ასე ხდება.

...რ. სტურუამაც ბრეჰტის პიესა უფრო მეტად კომიკურ პლანში წარმართა. უნდა ითქვას, რომ ამის საშუალებას „სამგროშიანი ოპერა“ უფრო მეტად იძლეოდა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1928 წელს ერიკ ენგელის მიერ დადგმული და შემდეგ აღდგენილი „სამგროშიანი ოპერა“ ბრეჰტისდა უნებურად მიუხიკლს უახლოვდებოდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მოწიფული ბრეჰტის პიესებს შორის, რომლებშიაც უკვე სრულადაა გამოვლენილი ბრეჰტის დრამატურგიის თავისებურებანი, „კავკასიური ცარცის წრე“ ყველაზე ოპტიმიისტური, მხიარული და პარმონიულია.

ბრეჰტი ერთგან ამბობს: „ცხოვრება სერიოზულია, ხელოვნება კი ხალისიანი“. რ. სტურუა თითქოს სიტყვაზე იჭერს „კავკასიური ცარცის წრის“ ავტორს და თავის სპექტაკლს ამ გამონათქვამის მიმართულებით წარმართავს. აქ რამდენიმე გარემოება უნდა გავითვალისწინოთ.

რეჟისორი რ. სტურუა არ არის ბრეჰტის უბრალო „გადამთხრობელი“, მისი პიესის სცენაზე მექანიკურად გადამტანი — იგი დამოუკიდებელი რეჟისორია და მის მიზანს არ შეადგენს დრამატურგის ტექსტის, პიესის სცენური გამეორება, მხოლოდ სცენური რეპროდუცირება.

ქართველი რეჟისორი ბრეჰტის პიესის ახალ, მისეულ, ქართულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. იგი ბრეჰტის არც ორთოდოქსული, არც ეპიგონური და არც „მუჭეუმური“ ინტერპრეტატორია. უფრო პეტიც, ავტორი რეჟი-

სორს იმპულსს, სტიმულს აძლევს, აღძრავს „შესამოქმედებლად“, მაგრამ ქართველი რეჟისორი, იყენებს რა დრამატურგის ლიტერატურულ მასალას, თავისი გზით მიდის, ბრეჰტს საგრძნობლად შორდება, და ეს სავსებით გამართლებულია, რადგან ბრეჰტის თეატრი არ არის არც მუზეუმი, რომ ყველა „ექსპონატი“ უცვლელად, ხელუხლებლად შევინარჩუნოთ და არც „ეკლესია“, რომ ყველამ ერთნაირად ვწიროთ. ყოველი ჩამდვილი რეჟისორი დრამატურგის თანაავტორი, თანაშემოქმედი. იგი დრამატურგის მასალაზე ქმნის ფაქტიურად ხელოვნების ახალ ნაწარმოებს, რადგან პიესა და სპექტაკლი ორი სხვადასხვა სამყაროა.

რობერტ სტურუა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი რეჟისორია, თავისი გენეტიკური ფესვებით მჭიდროდ დაკავშირებული ქართულ კულტურასთან, ქართულ ხელოვნებასა და თეატრთან, ქართულ ეროვნულ ხასიათსა და მენტალობასთან, ამიტომ, ბუნებრივია, იგი ბრეჰტს ქართულად კითხულობს, „კავკასიურ ცარცის წრეს“ უგუებს ქართულ ტემპერამენტსა და სულისკვეთებას, თუმცა ქართულ ეთნოგრაფიზმს ხარკს არსად უხდის.

რ. სტურუა საკუთარი ხელწერის, დამოუკიდებელი მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური მრწამსის მქონე რეჟისორია, რომელიც ქართული თეატრის ტრადიციებიდან გამოდის არსებითად და ამიტომ, ცხადია, იგი ბრძედ, დოგმატურად ვერ გაჰყვებოდა ბრეჰტის დრამის თეორიასა და მის რეჟისორულ პრაქტიკას. ქართველი რეჟისორი ახდენს ბრეჰტის მასალის ადაპტაციას ქართული ეროვნული ხასიათისა და აგრეთვე საკუთარი რეჟისორული ესთეტიკის მიხედვითაც.

რ. სტურუა ცოტა „ახალისებს“, ცოტა უფრო მეტად „აღიშებს“, აგრაციულებს, აელეგანტურებს ბრეჰტის უსამკაულო, უჩუქურთმო, „ასკეტურ“ თეატრალურ წარმოდგენას. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ქართული სპექტაკლი უფრო დარდიმანდული, ლამაზი და „შუშუნაა“, ვიდრე ბრეჰტის პიესების მიხედვით თვით ბრეჰტისა და მისი თეატრის რეჟისორების მიერ შექმნილი თეატრალური წარმოდგენები, მაინც რ. სტურუას სპექტაკლს არა აქვს დაკარგული სოციალურ-პოლიტიკური სიმახვილე და გამიზნულობა.

რობერტ სტურუა თავის სპექტაკლს აგებს როგორც ხალხურ-კომედიურ, „ბალაგანურ“-თეატრალურ და საკარნავალო სანახაობას, მასში ჭარბად შეაქვს მიუზიკლის, რევიუს, შოუს ელემენტები. აქ დომინანტა კომედიურ, კომედიანტურ ტენდენციას ენიჭება. ამის გამო პიესის ტრაგიზმი შენიღბული და ზოგან მთლად გამქრალია. ყოველივე ამის შედეგად „კავკასიური ცარცის წრე“ მიახლოებულია „სამგროშიან ოპერასთან“ და საგულისხმოა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „კავკასიური ცარცის წრის“ სპექტაკლი მიუზიკლად და „სამგროშიანი ოპერის“ თავისებურ სახესხვაობად თუ ვარიაციად აღიქვეს.

წარმოგიდგინოთ ზოგიერთ ნაწყვეტს იქაური გაზეთების რეცენზიებიდან: „დიუსელდორფში ჩამოიტანეს ბრეჰტი როგორც მიუზიკლი“.

„...ბრეჰტის ცარცის წრე გადაქცეულია ჯაზურ-როკულ მიუზიკლად“.

„სტურუამ ერთმანეთს შეურწყა ფოლკლორი და დასავლური ელემენტები — ეს გამოვლინდა როგორც კოსტიუმებში, ასევე მუსიკაში, ჩართო იმპროვიზაციები, თანამედროვე შოუს ეფექტები და კომედია — დელარტეს გამოსახველობითი საშუალებანი“.

„რანინშე პოსტი“ ჩვენს „კავკასიურ ცარცის წრეს“ „ბობოქარ სამკაპიკიან ოპერას“ უწოდებს, რომელსაც მაყურებელი, ათი წუთის განმავლობაში აღტაცებული უკრავდა ტაშსო. „სამკაპიკიანი ოპერა“ „სამგროშიანი ოპერის“ ანალოგიითაა წარმოდგენილი (ჩვენში გროშის მიახლოებითი ეკვივალენტი ხომ კაპიკია) და ამით მინიშნებულია რ. სტურუას სპექტაკლის თვისებრივი სიახლოვე „სამგროშიან ოპერასთან“. შეიძლება ვედავოთ ქართველ რეჟისორს ბრეჰტის გვიანდელი პიესისათვის ასეთი მანერა, ასეთი სტილი რომ შეურჩევია, მაგრამ რაც რეჟისორს მიზნად დაუსახავს, ის სრულყოფილადაა ხორცშესხმული.

რობერტ სტურუას სპექტაკლი რიტმული, მძაფრად დინამიკურია, რაც ალბათ, უფრო შეეფერება ქართულ ეროვნულ ტემპერამენტს, ქართულ სპექტაკლში არსად არ იგრძნობა მონოტონურობის ხიფათი. ბრეჰტის ერთი ძველი მეგობარი იგონებს — ბრეჰტის ბინის კარზე გაკრული იყო „საშინაო შინაგანაწესი“ ასეთი მინაწერით: სტუმრებს ვთხოვ, დაიცვან ჩვენი შინაგანაწესი; სულ ქვემოთ კი ეწერა: მაგრამ მასპინძელი იმ აზრისაა, რომ წესები მხოლოდ მაშინ ცოცხლობენ, თუკი მათ ზოგჯერ არღვევენო.

იგივე ითქმის, სამართლიანად დასძენს მისი მეგობარი, ბრეჰტის თეატრალურ წესებზეცო.

რობერტ სტურუა თითქოს ბრეჰტის ამ „პოსტსკრიპტუმის“ მიხედვით მოქმედებს თავის რეჟისორულ პრაქტიკაში. იგი ბრეჰტის „კავკასიურ ცარცის წრეს“ დგამს ანტიილუზიურად და ანტიმიმეტურად, მაგრამ ერთგულია თავისი რეჟისორული ინდივიდუალობისა და ქართული თეატრის წიაღიდანაცაა გამოსული, ამიტომ მას ბრეჰტის წესების დარღვევაც უხდება.

ფაქტობ, ბრეჰტის თეატრიც და რ. სტურუას ეს სპექტაკლიც რეჟისორის თეატრისა და სპექტაკლის ნიმუშია. უმთავრესად რეჟისორის დამსახურებას უნდა მიეწეროს, რომ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები ანტიილუზიური, ანტიმიმეტური თეატრის სკოლაგავლილი გეგონებთან, ისე სუვერენულად ფლობენ ისინი როლისაგან განზე განდგომის, გვერდიდან ყურების, გაუცხოების, განსასახიერებელი პერსონაჟებისადმი მიმართება — დამოკიდებულების დამყარების, პათეტიკისა და გრძნობამორევის „ჩაქრობის“, „გამაგრებელი“ და შოკისმომგვრელი საშუალებების გამოყენების ხელოვნებას.

მსახიობები მათთვის ჩვეული და დამახასიათებელი გარდასახვის, იდენტიფიცირების, მიმესისის (ემპირიული ცხოვრების, სინამდვილის მიბაძვის) მეთოდით კი არ მუშაობენ, არამედ მიმართავენ თამაშის, თხრობის, ჩვენების მეთოდს. ისინი თამაშობენ ძუნწად, „უსამკაულოდ“, თითქოს განსახიერებულ პერსონაჟებს თვითონვე დასცინიანო; როლებში, პერსონაჟებში არ ითქვიფებიან.

პაროდიულობა, პაროდიულ-ირონიული პლანი და ასპექტი ბოლომდე გასდევს მათ თამაშს; თითქოს საკუთარ თავს უცხო, გარეშე პირის თვალითაც უყურებენ, თითქოს პერსონაჟს კი არ ასახიერებენ, არამედ მასზე მოგვითხრობენ გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან. ამ სპექტაკლის სცენური მოქმედება და მსახიობების თამაში მაყურებელში არ იწვევს ჩვეულ ესთეტიკურ ზემოქმედებას: მაყურებელს გული არ უჩუყდება, არც უკიდურეს ადრთოვანებას განიცდის, მოქმედებაში არასოდეს ისე არ არის ჩათრეული, რომ სცენაზე ნანახთან დისტანციური დამოკიდებულების დამყარება ვერ მოახერხოს. მსახიობები ემოციებს იწვევენ, მაგრამ არსებითად განსხვავებულ ემოციებს, ვიდრე ტრადიციული თეატრი იწვევდა. ეს არის არა სცენაზე წარმოსახულ ცხოვრებაში თანამონაწილეობის ილუზიით გამოწვეული სიამოვნება, არამედ ესთეტიკური სიამოვნება, რასაც მაყურებელი ღებულლობს ემპირიული სინამდვილის დამრღვევი, ანტიილუზიური „ცივი მხაპებით“, რომელნიც პაროდიულ და ირონიულ პლანში რეალიზდებიან. პერსონაჟი, რომელშიც მსახიობი „ჩასახლდება“, რომელსაც იგი „შთაიგრძნობს“, რომლის სასიათსაც შეერწყმის, რასაკვირველია, მაყურებლისათვის გაცილებით ინტიმური, გულითადი, მიმზიდველი ხდება. ქართველი მაყურებელი ამას შეჩვეული იყო, სხვაგვარად მას ვერ წარმოედგინა და უცვებ რობერტ სტურუამ მაყურებელს შესთავაზა სპექტაკლი, რომელიც თავიდან ბოლომდე სინამდვილის ილუზიის დამრღვევი, ანტიილუზიური საშუალებებითაა აგებული.

მეორე მხრივ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სპექტაკლის საერთო მიმართულების, საერთო სტილის შესაბამისად მსახიობთა თამაშმაც კომედიურ-კომედიანტური განხრა მიიღო და მათ შესრულებაში ჭარბად, უფრო მეტად ვიდრე სატირიკული გროტესკი, შეიჭრა შარჟი, ბურლესკი, ბუფონადა, არლეკინადა, რაც აბსოლუტურად არ არღვევს სპექტაკლის საერთო ტონალობას.

ასევე მხოლოდ კომიკურ პლანშია გახსნილი აზდაკის როლი რამაზ ჩხიკვაძის მიერ. შეიძლება ბრეჰტის რომელიმე ორთოდოქსი მიმდევარი არ დაეთანხმოს მსახიობს და რეჟისორს აზდაკის როლის ამგვარი ინტერპრეტაციის გამო, მაგრამ ის, რაც მათ მიზნად დაისახეს, ბოლომდე უზადოდაა განხორციელებული. ჩხიკვაძე — აზდაკის ჭკუამახვილობა და ენამოსწრებუ-

ლობა (ზოგჯერ იმპროვიზაციულიც), მისი ირონია სხვების მიმართ და თვით-ირონიაც საკარნავალო ფორმირებით ელვარებს სცენაზე.

ბუფონადური მანერით ასრულებს გურამ საღარაძე ეფრეიტორის როლს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი თეატრმცოდნის აზრით, საღარაძე — ეფრეიტორი მეტისმეტად „სიმპათიურია“), ხოლო ყაზბეგისა და ბერის განსახიერებისას იგი სატირიკულ გროტესკს მიმართავს და, საერთოდ, თავის ამ მსახიობურ „სამსახოვნებაში“ აქტიორული ნიჭის მოულოდნელ შესაძლებლობებსა და წახნაგებს ამჟღავნებს. ყაზბეგი — საღარაძე ამაზრზენი და საშიშია; საღარაძე — ბერი ცინიკოსია, თუმცა კარგად იცის საკუთარი თავის ფასი და შეფარული თვითირონიით საკუთარ სიმდაბლესე ამადლებას ახერხებს, საღარაძე — ეფრეიტორი თითქოს გარეწარია, მაგრამ „სიმპათიური“ გარეწარი — მისი გარეწრობისა თითქოს არ გვჯერა და არც მისი „გვეშინია“. ასევე „სამსახოვნად“ მოგვევლინა კარლო საკანდელიძე ამ სპექტაკლში: ბოლომდე ამაზრზენი, ადამიანობისაგან დაცლილი, ტიპური ბრეჰტული პერსონაჟია იგი მერძევე გლეხის როლში: თეატრალურ-ბურლესკული მინიატურის ნამდვილ შედეგს ქმნის იგი ლამზირა ჩხეიძესთან ერთად გაყრის მოსურნე სკლეროტული მოხუცი ცოლ-ქმრის როლში; მეტისმეტად გაშარყებულია საკანდელიძისა და რეჟისორის მიერ მტარვალ, სახიფათო, მრისხანე დიდი მთავრის ჯანდიერის სახე. „ორსახოვანია“ სპექტაკლში ჯემალ ლაღანიძე: ბრწყინვალეა იგი გრუშეს ძმის, ლავრენტის როლში. ორიგინალურია და სპექტაკლის საერთო სტილს შეესაბამება ლაღანიძისეული როლის შესრულების „ქორეოგრაფიული“ მანერა. ერთი მხრივ, ცოლის ყურმოჭრილი მონა, ცოტა მაზოხისტური მიდრეკილებებით და, მეორე მხრივ, სხვების მიმართ დაუნდობელი „მგელი“, ცოლის გულის მოსაგებად ღვიძლ დასაც რომ გაიმეტებს გარეთ გასაგდებად. დიდებული რეჟისორულ-მსახიობური მიცნებაა ჯემალ ლაღანიძის მიერ დის ქართული ცეკვის თანხლებით გათხოვება. ლავრენტის როლის ლაღანიძისეულ შესრულებაში მე ვხედავ, ერთი მხრივ, ცხადია, კომიკურ პლანში, ქართული პლასტიკურობის, გრაციოზულობის გამოვლენას, ხოლო, მეორე მხრივ, შეფარულ ირონიას ჩვენებური კუდაბზიკობის, თავმომწონეობის, ბაქიობის მიმართ.

რაც შეეხება მამამთილის როლს, ის თითქოს იჩრდილება და ხუნდება ლავრენტის როლთან შედარებით — მე მგონია, ლაღანიძე მამამთილის როლში ვერ პოულობს ახალ, ორიგინალურ გამომსახველობით საშუალებებს.

მთლიანად რეჟისორისა და მსახიობ უანრი ლოლაშვილის გამოძერწილია მთხრობელის, წამყვანის სახეც, რაც ბრეჰტის პიესის მომღერლის არკადი ჩეიძის (ჩხეიძის) სრული მეტამორფოზის შედეგს წარმოადგენს. ლოლაშვილ-წამყვანს არათუ დისონანსი შეაქვს სპექტაკლში, არამედ თავისებურად ამთლიანებს, კრავს მოქმედებას და პიესის ორი მთავარი მოტივი —

გრუშესა და აზდაკის მოტივები თითქოს საბოლოოდ მისი მეშვეობით ერწყმიან ერთმანეთს. მოხრობელი იწყებს სპექტაკლს, შემდეგ განუწყვეტლივ ჩართულია სცენურ ქმედებაში, ზოგჯერ გვერდზე გადაება და ობიექტური დამკვირვებლის პოზიციას ირჩევს, და ბოლოს ისევ მოხრობელი ამთავრებს, კრავს სპექტაკლს. ამ როლში ახალი ფერებით აელვარდა უანრი ლოლაშვილის თვითმყოფადი ნიჭი.

ლამაზი, მაცდუნებელი, მაგრამ დემონური, გამპირი ქალია მარინე თბილელი ნათელა აბაშვილის როლში. მ. თბილელის დამოკიდებულება აბაშვილისადმი მუდამ კრიტიკულია, დისტანციური, პაროდული. მსახიობი ჩვენ თვალწინ ამხელს უსულგულო მშობელ დედას, რომლისთვისაც შვილი საშუალებაა და არა მიზანი, თავისებური „საქონელი“, სასარგებლო, მომგებიანი ნივთია და არა ღვიძლი ცოცხალი არსება, საკუთარი სისხლი და ხორცი. მარინე თბილელმა ამ როლით მკაფიო სტრიქონები ჩაწერა ქართულ ბრეჰტიანაში.

ტიპური ბრეჰტული პერსონაჟია ლეილა ძიგრაშვილის მიერ განსახიერებული იოსების დედა — იგი „პლებეურ“ დონეზე იმეორებს ნათელა აბაშვილის მოტივს: მისთვისაც შვილი საქონელია, ყიდვა-გაყიდვის, ვაჭრობის ობიექტი. ძიგრაშვილის განსახიერების მანერაში ბურლესკს ჭარბობს სატირიკული გროტესკი. დედა — ძიგრაშვილი იმდენად ამაზრზენია, რომ კომიკურ ეფექტს არ იწვევს, მაყურებელს არ ეცინება მასზე.

იზა გიგოშვილის გრუშე ვაჩნაძე (დედნის მიხედვით ვახნაძე) ბოლოსათვის იმიტომ შემოვიანახეთ, რომ მას პიესასა და სპექტაკლშიც თვისებრივად განსხვავებული, განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია: ის არის ამ სულიერად მახინჯი, უკეთური ადამიანების „პანდემონიუმში“, „ავსულთა“ ამ სამყოფელში თითქმის ერთადერთი ნათელი ფიგურა, ნათელი ადამიანი.

გიგოშვილის გრუშეს შემოაქვს „ჯოჯოსეთში“ სინათლე, ჰაეროვნება, სიწმინდე, პოეტურობა, ლირიკულობა, გულითადობა — ის თითქოს თავის გარშემო წმენდს ხოლმე არაადამიანობით, ვერაგობით, ბოროტებით დამძიმებულ ატმოსფეროს. მას თითქოს ოდნავადაც არ ეკარება ცხოვრების ჭუჭყი და სიმდაბლე.

ერთმა გერმანელმა თეატრმცოდნემ, რომელსაც გრუშეს როლის პირველი შემსრულებელიც ენახა, აღნიშნა, რომ ანგელოკა პურვიცი უფრო მოწიფულ ქალს, დედას, დარბაისელ მატრონას თამაშობდა, ხოლო იზას გრუშე გაცილებით ჰაეროვანია, პოეტური, ქალწულებრივი და ლირიკული.

ჩემი აზრით, ბრწყინვალეა გოგი მესხიშვილის მხატვრობა. ძუნწი, აბსტრაქტული, პირობითი, დიდი ტაქტიკა და გემოვნებით შესრულებული, მთლიანად თავისუფალი ეთნოგრაფიზმისაგან. უნდა ვაღიარო, რომ რ. სტურუას „კავკასიური ცარცის წრის“ აღქმის პირველ ეტაპზე ბრეჰტის ორთო-

დოქსი მიმდევრის პოზიციაზე ვიდექი და სპექტაკლისათვის შეუფერებლად მივიჩნევდი გ. ყანჩელის მუსიკასა და ი. ზარეცკის ქორეოგრაფიას (იხ. „ცისკარი“, № 11, 1976). თანდათან ემოციურად აღვიქვი და დავრწმუნდი, რომ რ. სტურუასეულ ინტერპრეტაციას სწორედ ასეთი მუსიკა და ქორეოგრაფია შეესაბამებოდა — პაულ დესაუს დისონანსებისა და გროტესკულობის შემცველი მუსიკა შეუფერებელი აღმოჩნდებოდა უპირატესად კომიკური განხრისა და მიუზიკლს მიახლოებული სპექტაკლისათვის.

რ. სტურუას სპექტაკლი ერთ მთლიანობას წარმოადგენს — იგი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც არის, ერთი კომპონენტის ამოღება ან შეცვლა მთელის დაშლას გამოიწვევდა.


დღეს უკვე ველარავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ რობერტ სტურუას ეს სპექტაკლი ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ეტაპის, ახალი სტადიის დაწყებას მოასწავებს.

ქართველი რეჟისორის დიდი გამარჯვებას, რომ მან ახალ თეატრს მრავალი მაცურებელი შესძინა, რომ მან მთელი თავისი რეჟისორული შემოქმედებით ახალი მაცურებელი აღზარდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ თეატრში ანალოგიური ცდები მანამდეც იყო, მაგრამ ყველაფერი ეს ცალკეული ელემენტებისა და ტენდენციების დონეზე დარჩა, მათ დასრულებული სახე ვერ მიიღეს და ახალ თვისებრიობაში, ახალ ხარისხში ვერ გადავიდნენ. სოც შემთხვევაში ეს იყო მოდისადმი მხოლოდ ხარკის გაღება, ახალ გამოშსახველობით საშუალებათა თვითმიზნური, სნობისტური გამოყენება, რაც არ გამოძინარეობდა თვით დრამატურგიული მასალის შინაარსიდან.

სწორედ რობერტ სტურუას შემოქმედებაში სრულიქმნა, ჩამოყალიბდა და დაგვირგვინდა, ცხადია, ქართულ ნიადაგზე, ახალი თეატრალური მსოფლმხედველობა და მეთოდი. „კავკასიური ცარცის წრის“ სპექტაკლში ჩვენ უკვე თვისებრივი ნახტომის მოწმენი გავხდით.

... წინამდებარე კრებულში მოთავსებული ორივე პიესის თარგმანი ჯორჯანელებს ეკუთვნით. უნდა ითქვას, რომ საქართველოში სრულებით არ ყოფილა ბრეჰტისებური ტექსტების (რომლებიც სავსეა ვულგარიზმებით, სლენგით, არგოტიზმებით, უწმაწური გამოთქმებით) თარგმანის ტრადიცია. ჯორჯანელებმა მშვენივრად გაართვეს თავი ამ არცთუ ადვილ ამოცანას: მათ შექმნეს ბრეჰტის ტექსტების ადეკვატური თარგმანები, რომლებშიც ორიგინალის სურნელიცაა შენარჩუნებული და მიღწეულია ბუნებრივი ქართული ჟღერადობაც. ამ სპექტაკლების წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა კარგმა თარგმანმა.

ნოდარ კაკაბაძე



კავკასიური

ცარცის

წიგნი



მ ო ქ მ ე ღ ო ჰ ო რ ე ბ ო

ბიორგი აბაშვილი, გუბერნატორი.
მისი მეუღლე ნათელა.
მსუქანი თავადი ყაზბეგი.
ორი მძიმე, ნიკო მიქაძე და მისა ლოლაძე.
ადიუტანტი.
მგოსანი.
მუსიკოსები.
ბრუმი ვაჩნაძე, ჭურჭლის მრეცხავი.
სიმონ ჩაჩავა, ჯარისკაცი.
არქიტექტორები.
მარო, გადია.
მზარეული.
მეჯინიბე.
ბერიკაცი.
ორი ბანოვანი.
მეფუნდუკი.
მოჯამაბირე.
ეფრეიტორი.
გლეხი და მისი ცოლი.
სამი ვაჭარი.
ლავრენტი ვაჩნაძე, გრუშეს ძმა.
მისი ცოლი ანიკო.
გლეხის ქალი, რომელიც შემდგომ გრუშეს
დედამთილი ხდება.
მისი ვაჟი იოსები.

ბერი.
ქორწილზე მოსული სტუმრები.
მისეილი, გუბერნატორის ვაჟი.
ბავშვები.
სოფლის მფრალი აზდაკი.
პოლიციელი პალვა.
დიდი თავადი.
ბიზერბან ყაზბეგი, მსუქანი თავადის ძმის-
წული.
მძიმე.
ინვალიდი.
კოჭლი.
ბამოკალველი.
შუშუნა, მეფუნდუკის რძალი.
სამი ბოგოლა გლეხი.
მოხუცებული დედაკაცი.
ყაჩაღი.
მზარეული ქალი.
ორი მძიმე, ილო შუბლაძე და სანდრო
ობოლაძე.
ღრმად მოხუცებული ცოლ-ქმარი.
მათხოვარნი და მთხოვნელები.
ჯარისკაცები.
აბჯროსანნი.
მსახურნი.
პროლოგის მონაწილენი.

ყუმბარებისაგან იავარქმნილ კავკასიურ სოფელში, ნანგრევებს შორის, წრედ სხედან, ღვინოს სვამენ და თამბაქოს ეწევიან ორი საკოლმეურნეო სოფლის დელეგატები, მეტწილად, ქალები და ხანში შესული კაცები; მაგრამ არის რამდენიმე ჯარისკაციც. მათ შორისაა აგრეთვე დედაქალაქიდან ჩამოსული აღდგენით სამუშაოთა სახელმწიფო კომისიის წარმომადგენელი.

მ ა რ ც ხ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი (უჩვენებს). აგერ იქ, ბორცვებს შორის, ჩვენ ნაცისტების საბი ტანკი დაგაკავეთ, მაგრამ ვაშლის ნარგავები უკვე განადგურებული იყო.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი ბ ე რ ი კ ა ც ი. ახლა ჩვენი სახანაქებო რძის ფერმა ნახეთ! ნანგრევებად არის ქცეული.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ტ რ ა ქ ტ ო რ ი ს ტ ი ქ ა ლ ი. ეს მე წავუკიდე ცეცხლი ფერმას, ამხანაგო.

პ ა უ ზ ა.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი. ახლა ოქმი მოვისმინოთ. ნუქაში ჩამოვიდა მეცხვარეობის კოლმეურნეობა „აშხეთის“ დელეგაცია. როდესაც ჰიტლერის არმიები წინ მოიწევდნენ, კოლმეურნეობამ, ხელისუფლების ბრძანებით, თავისი ცხვრის ფარები აღმოსავლეთით გარეკა. ამჟამად კი იგი უკან დაბრუნების საკითხს განიხილავს. მისმა დელეგატებმა ინახულეს სოფელი და ირგვლივ მდებარე მამულები. დაადგინეს, რომ ნგრევის მასშტაბები ძალზე დიდია.

მ არ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი დ ე ლ ე გ ა ტ ე ბ ი და ს ტ უ რ ი ს ნ ი შ ნ ა დ თ ა ვ ს უ ქ ნ ე ვ ე ნ .

მეზობელ მეხილეობის კოლმეურნეობას — „როზა ლუქსემბურგს“ (მარჯვნივ მსხდომთ მიმართავს.) წინადადება შემოაქვს, რომ კოლმეურნეობა „აშხეთის“

ადრინდელი საძოვრები, რომლებიც ხეობაშია და საბალახოდ არ ივარგა, გამოყენებულ იქნას მესილეობისა და მძევნახეობისათვის. როგორც აღდგენით სამუშაოთა კომისიის წარმომადგენელი, მე წინადადებას ვაძლევ ორივე საკოლმეურნეო სოფელს თვითონ გადაწყვიტონ ერთმანეთში, დაბრუნდეს თუ არა აქ კოლმეურნეობა „აშხეთი“.

მარჯვნივ მჯდომი ბერიკაცი. უწინარეს ყოვლისა, მე ერთსეულ კიდევ ვაცხადებ პროტესტს შეზღუდული რეგლამენტის გამო. კოლმეურნეობა „აშხეთიდან“ აქამდე სამი დღე-ღამის სავალია. ამოდენა გზა გამოგვივლია და თქვენ კი ნახევარ დღეში გინდათ, კამათი დაამთავროთ?!

მარცხნივ მჯდომი დაჭრილი ჯარისკაცი. ამხანაგო, ჩვენ ახლა იმდენი სოფელი და იმდენი მუშახელი კი აღარა გვყავს და აღარც იმდენი დრო გვაქვს.

ახალგაზრდა ტრაქტორისტი ქალი. ყველა სიამე ნორმის მიხედვით უნდა განაწილდეს. თამბაქო ნორმითაა, ღვინოც ნორმითაა და დისკუსიაც ნორმით უნდა იყოს.

მარჯვნივ მჯდომი ბერიკაცი (ამოიხრებს). წყეულიმც იყვნენ ფაშისტები! კარგი, მაშ, პირდაპირ საქმეზე გადავალ და აგისხნით, რატომ გვინდა ხეობის უკან დაბრუნება. საბამისოდ უამრავი მიზეზი გვაქვს, მაგრამ ყველაზე უბრალოთი დავიწყებ. მაკინე აფაქიძე, ერთი ამოიღე გუდის ყველი!

მარჯვნივ მჯდომი გლეხის ქალი ვეება კალათიდან იღებს ნაჭერში გახვეულ უზარმაზარ ყველის კვერს. ტაში და სიცილი.

მიირთვით ამხანაგებო, გასინჯეთ როგორია.

მარცხნივ მჯდომი მოხუცი გლეხი (უნდობლად). ეს რა, ზემოქმედების მოსახდენად არის გამიზნული?

მარჯვნივ მჯდომი ბერიკაცი (საერთო სიცილში). როგორ შეიძლება ეს ზემოქმედების მოსახდენად იყოს გამიზნული, ჰა, ზურაბ, შე ხევის მიმტაცებელი, შენა?! ხო ყველამ იცის, როგორიცა ხარ. ყველსაც იღებ და ხეობაზეც არ იტყვი უარს. (სიცილი.) შენგან მხოლოდ პატიოსან პასუხს მოვითხოვ: მოგწონს თუ არა ეს ყველი?

მარცხნივ მჯდომი მოხუცი. კარგი, გიპასუხებ. მომწონს.

მარჯვნივ მჯდომი ბერიკაცი. მაშ ასე. (მწარედ.) რითი გერ გავიგე, რომ შენ ყველისა არაფერი გაგეგება.

მარცხნივ მჯდომი მოხუცი. რატომ არ გამეგება? ხომ გეუბნები, მომწონს-მეთქი.

მ არ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი ბ ე რ ი კ ა ც ი. იმიტომ, რომ არ შეიძლება მოგეწონოს. იმიტომ, რომ ეს ყველი ის აღარ არის, რაც უწინ იყო. და რის გამოა, რომ ის აღარ არის? იმის გამო, რომ ჩვენს ცხვარს ახალი საბალახოები ისე არ მოსწონს, როგორც ძველი მოსწონდა. ყველი ყველად არ ვარგა, რადგან ბალახი ბალახად არ ვარგა. აი, ეს არის საქმე. გთხოვთ შეიტანოთ ოქმში.

მ არ ც ხ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი მ ო ხ უ ც ი. კი, მაგრამ თქვენ მშვენიერი ყველი გაქვთ, კაცო.

მ არ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი ბ ე რ ი კ ა ც ი. მშვენიერი კი არა, საშუალოც ძლივს არის. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ახალგაზრდებმა, ახალი სამოვრები კაპიკად არ ვარგა. მე გეუბნებით, რომ იქ ცხოვრება არ შეიძლება.

ზოგი იცინის.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი. გული არ მოგივიდეს მაგათ სიცილზე! მათ დიასაც ესმით შენი. ამხანაგებო, რატომ უყვართ სამშობლო? იმიტომ, რომ იქაური პური უფრო გემრიელია, იქაური ცა უფრო მაღალია, ჰაერი უფრო სურნელოვანია, ხმებიც იქ უფრო მჭექარეა და დედამიწასაც უფრო მეტი ხვავი და ბარაქა აქვს. განა ასე არ არის?

მ არ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი ბ ე რ ი კ ა ც ი. ხეობა ოდითგანვე ჩვენ გვეკუთვნოდა.

მ არ ც ხ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი. რას ნიშნავს „ოდითგანვე“? არავის არ შეიძლება რაიმე ოდითგანვე ეკუთვნოდეს. როცა ახალგაზრდა იყავი, საკუთარი თავიც კი არ გვეკუთვნოდა. შენ მაშინ თავად ყაზბეგის საკუთრება იყავი.

მ არ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი ბ ე რ ი კ ა ც ი. განა სულ ერთია, რომელი ხე დგას იმ სახლის გვერდით, სადაც დაიბადე? ანდა მეზობლად ვინა გყავს, განა ეს სულ ერთია? ჩვენ უკან დაბრუნება გვსურს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი კოლმეურნეობის მეზობლად თქვენა გვყავდეთ, თქვე ხევის მიმტაცებლებო, თქვენა! ახლა შეგიძლიათ ამაზედაც გაიციინოთ.

მ არ ც ხ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი მ ო ხ უ ც ი (იცინის). მაშ, რატომ არ გინდა მშვიდად მოისმინო, რას იტყვის ხეობის შესახებ შენი „მეზობელი“ და ჩვენი აგრონომი კატო ვახტანგაძე?

მ არ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. ჩვენ ჯერ ყველაფერი არ გვითქვამს, რაც სათქმელი გვაქვს ჩვენს ხეობაზე. ყველა სახლი როდია დანგრეული და რძის ფერმიღანაც, სულ მცირე, საძირკველი მაინც არის გადარჩენილი.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი. თქვენ შეგიძლიათ სახელმწიფოსაგან დახმარება მიიღოთ — აქაც და იქაც. ეს თქვენ იცით.

მ არ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. ამხანაგო რწმუნებუ-
ლო, აქ ვაჭრობისათვის კი არა ვართ მოსულნი. მე არ შემიძლია ქუდი მოგ-
ხადო და სხვა გამოვიწოდო, ესა სჯობია-მეთქი, სხვა შეიძლება უკეთესიც
იყოს, მაგრამ შენ შენი უფრო მოგწონდეს.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ტ რ ა ქ ტ ო რ ი ს ტ ი ქ ა ლ ი. მიწის ნაკვეთი სხვა
და ქუდი სხვაა, ამხანაგო. ჩვენს ქვეყანაში მაინც ეს ერთი და იგივე არ არის.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი. ნუ ცხარობთ, ამხანაგებო, სწორია, რომ მიწის
ნაკვეთი უფრო წარმოების საშუალებად უნდა მივიჩნიოთ, რომლითაც სასარ-
გებლო პროდუქტები იქმნება, ვიდრე სხვა რამედ, მაგრამ სწორია ისიც, რომ
ანგარიში უნდა გავუწიოთ ადამიანთა სიყვარულს მიწის გარკვეული ნაკვეთი-
სადმი. რაც შემეხება მე, სიამოვნებით მოვისმენდი უფრო დაწვრილებით, რას
უპირებთ თქვენ (მარცხნივ მჯდომთ მიმართავს.) ხეობას.

დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ე ბ ი. ჰო, კატომ თქვას.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი. ამხანაგო აგრონომო!

კ ა ტ ო (დგება, ტანთ სამხედრო ხალათი აცვია). ამხანაგებო, გასულ
ზამთარს, როცა ჩვენ, პარტიზანები, აქ, მთებში ვიბრძოდით, ვლაპარაკობდით,
გერმანელთა განდევნის შემდეგ როგორ აღგვედგინა ჩვენი მესილეობა და
ათჯერ როგორ გავგეფართოებინა ჩვენი სილის ბაღები. მე სარწყავი სისტე-
მის პროექტი შევიმუშავე. ტბაზე კაშხალის აგება შესაძლებელს გახდის, რომ
სამასი ჰექტარი უნაყოფო მიწა მოირწყას. მაშინ ჩვენი კოლმეურნეობა შეძ-
ლებს მისდროს არამხოლოდ მესილეობას, არამედ მევენახეობასაც. მაგრამ
პროექტი მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული თუ კოლმეურნეობა „აშხე-
თის“ სადავო ნაკვეთი ჩვენს განკარგულებაში გადმოვა. აი, დაანგარიშებულია
ყველაფერი. (საქალაქს აწვდის წარმომადგენელს.)

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი ბ ე რ ი კ ა ც ი. შეიტანეთ ოქმში, რომ ჩვენს
კოლმეურნეობას განზრახული აქვს ახალი ცხენსაშენი შექმნას.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ტ რ ა ქ ტ ო რ ი ს ტ ი ქ ა ლ ი. ამხანაგებო, პროექ-
ტი მოფიქრებულია იმ დღეებსა და ღამეებში, როდესაც ჩვენ იძულებული
გავხდით მთებში გავხიზნულიყავით და ხშირად ტყვიებიც აღარ გვექონდა იმ
ორიოდე შაშხანისათვის, რომლებიც ჩვენ გავგაჩნდა. თვით ფანქრის შოვნაც
კი ძნელი საქმე იყო მაშინ.

ტაში ორივე მხრიდან.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ მ ჯ დ ო მ ი ბ ე რ ი კ ა ც ი. ჩვენი მადლობა ამხანაგებს,
როზა ლუქსემბურგის სახელობის კოლმეურნეობიდან და ყველას, ვინც სამ-
შობლოს იცავდა!.

კოლმეურნენი ხელს ართმევენ ერთმანეთს და ესვევიან.

მარჯვნივ მჯდომი გლესის ქალი. როგორც პოეტმა მაიაკოვსკიმ თქვა: საბჭოთა ხალხის სამშობლო გონიერების სამშობლოც უნდა იყოს!

მარჯვნივ მჯდომი დელეგატები, ბერიკაცის გარდა, ყველანი დგებიან და წარმომადგენელთან ერთად აგრონომის ნახაზებს ათვალიერებენ.

შექახილები. რატომ არის ვარდნის სიმაღლე ოცდაორი მეტრი?

— აი, ამ კლდეს ააფეთქებენ!

— არსებითად მათ მხოლოდ ცემენტი და დინამიტი სჭირდებათ!

— აქ ისინი აიძულებენ წყალს დაბლა დაეშვას, ბიჭო, ხედავ, რა ეშმაკურად არის მოფიქრებული!

მარჯვნივ მდგომი ყმაწვილი მუშა (ბერიკაცს მიმართავს). მთელ მინდვრებს მორწყავენ, ბორცვებს შორის რომლებიც კია. მიდი ერთი ნახე, ალექო.

ბერიკაცი. არაფერსაც არ ვნახავ. ისედაც ვიცოდი, რომ პროექტი კარგი იქნებოდა. მე ნებას არ მივცემ, რომ დამბანა დამადონ გულზე.

წარმომადგენელი. დამბანას კი არა, მხოლოდ ფანქრის წვერს გადებენ გულზე.

სიცილი.

ბერიკაცი (მოღუშული დგება და ნახაზების დასათვალიერებლად მიდის.) ამ ყაჩაღებმა, სამწუხაროდ, ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენთან არ შეუძლიათ გულგრილად შესვდნენ მანქანებსა და პროექტებს.

მარჯვნივ მდგომი გლესის ქალი. ალექო ბერიშვილო, შენ თვითონ ყველაზე აუტანელი ხარ სოლმე, როცა რაიმე ახალი პროექტი გაქვს გასატანი. ეს ყველამ იცის.

წარმომადგენელი. ჩვენს ოქმს რაღა ვუყო? შემიძლია ჩავწერო, რომ თქვენი კოლმეურნეობა თანახმაა დათმოს წინათ მისი კუთვნილი სეობა ზემოაღნიშნული პროექტის გამო?

მარჯვნივ მდგომი გლესის ქალი. მე თანახმა ვარ. შენ რაღას იტყვი, ალექო?

ბერიკაცი (ნახაზებს დასცქერის). მე მოვითხოვ, რომ ნახაზების ასლები მოგვცეთ.

მარჯვნივ მდგომი გლესის ქალი. მაშინ შეგვიძლია ვისა-დილოთ. როცა ეგ ნახაზებს მოითხოვს განსახილველად, საქმე უკვე გათავუ-ბულია. მე ვიცნობ მაგას. ჩვენთან ყველანი ეგეთები არიან.

დელეგატები სიცილით ეხვევიან ერთმანეთს.

მ ა რ ც ხ ნ ი ვ მ დ გ ო მ ი მ ო ხ უ ც ი. გაუმარჯოს კოლმეურნეობა „აშ-
ხეთს“! გისურვებთ წარმატებას ახალი ცხენსაშენის მოწყობაში!

მ ა რ ც ხ ნ ი ვ მ დ გ ო მ ი გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. ამხანაგებო, კოლმეურ-
ნეობა „აშხეთის“ დელეგატებისა და რწმუნებულის პატივსაცემად ჩვენ და-
გეგმილი გვაქვს სპექტაკლი მგოსან არკადი ჩხეიძის მონაწილეობით. პიესა
ჩვენს სადავო საკითხთან არის დაკავშირებული.

ტ ა შ ი. ახალგაზრდა ტრაქტორისტი ქალი მგოსნის მოსაყვანად გარბის.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ მ დ გ ო მ ი გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. თლონდ, ამხანაგებო,
თქვენი წარმოდგენა კარგი უნდა იყოს, ჩვენ ხომ მაგაში ხეობას ვიძლევი.

მ ა რ ც ხ ნ ი ვ მ დ გ ო მ ი გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. არკადი ჩხეიძემ ოცდა-
ერთი ათასი სტრიქონი ლექსი ოცის ზეპირად.

მ ა რ ც ხ ნ ი ვ მ დ გ ო მ ი მ ო ხ უ ც ი. ჩვენ ეს პიესა მისი ხელმძღვა-
ნელობით დავისწავლეთ. იოლი საქმე კი არ არის არკადის ხელში ჩაგდება.
(წარმომადგენელს.) თქვენი საგეგმო კომისია, ამხანაგო, უნდა ზრუნავდეს,
რომ უფრო ხშირად ჩამოვიდეს ხოლმე ჩვენთან, ჩრდილოეთში.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი. ჩვენ არსებითად უფრო ეკონომიკითა ვართ
გართულნი.

მ ა რ ც ხ ნ ი ვ მ დ გ ო მ ი მ ო ხ უ ც ი (ღიმილით). ვაზის ლერწისა და
ტრაქტორების განაწილებას აწესრიგებთ და რატომ სიმღერათა განაწილე-
ბაშიც არ შეიძლება ჩაერიოთ?

ახალგაზრდა ტრაქტორისტი ქალს წრეში შემოჰყავს მგოსანი არკადი ჩხეიძე.
უბრალო შესახედაობის ჩასხმული კაცი. მას მოჰყვება ოთხი მუსიკოსი საკ-
რავებით. ხელოვნების წარმომადგენელთ ტაშისკვრით ესალმებიან.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ტ რ ა ქ ტ ო რ ი ს ტ ი ქ ა ლ ი. ეს ამხანაგი რწმუნე-
ბულია, არკადი.

მგოსანი ესალმება ირგვლივ მდგომთ.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ მ დ გ ო მ ი გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. დიდ პატივსა მდებს
თქვენი გაცნობა. თქვენი სიმღერების ამბავი ჯერ კიდევ სკოლის მერსზე
მაქვს გაგონილი.

მ გ ო ს ა ნ ი. ამჯერად ჩვენ გაჩვენებთ სპექტაკლს სიმღერებით. თითქმის
მთელი კოლმეურნეობა მონაწილეობს. ჩვენ ძველი ნიღბები გვაქვს
თან ჩამოტანილი.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ მ დ გ ო მ ი ბ უ რ ი კ ა ც ი. რა, რაიმე ძველი თქმულება
ხომ არ არის?

მ გ ო ს ა ნ ი. დიახ, ძალიან ძველი თქმულებაა. „ცარცის წრე“ ეწოდება
და ჩინეთშია შეთხზული, მაგრამ ჩვენ შეცვლილი სახით წარმოვიდგენთ.
იურა, აბა ნიღბები გვიჩვენე.

მ არ ჯ ვ ნ ი ვ მ დ გ ო მ ი ბ ე რ ი კ ა ც ი (ი ც ნ ო ბ ს ე რ თ - ე რ თ ნ ი ლ ა ბ ს).
ერთი უყურეთ, თავადი ყაზბეგი!

მ გ ო ს ა ნ ი. ამხანაგებო, ჩვენთვის დიდად საპატიოა თქვენ წინაშე გამოსვლა ესოდენ სერიოზული პაექრობის შემდეგ. იმედია, აღიარებთ, რომ ძველი პოეტის ხმა საბჭოთა ტრაქტორების ჩეროშიაც კარგადა უღერს. სხვადასხვა ღვინოების აღრევა შეიძლება არ ვარგოდეს, მაგრამ ძველი და ახალი სიბრძნე შესანიშნავად ერწყმის ერთმანეთს. ჯერ კი, იმედია, ყველას დაგვანაყრებენ. ეს, ხომ იცით შველის.

ხ მ ე ბ ი. რასაკვირველია!

— ყველანი კლუბში წამოდით!

ვიდრე ყველანი აიშლებოდნენ, წარმომადგენელი რაღაცას ეუბნება ახალგაზრდა ტრაქტორისტ ქალს.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი (მგოსანს). ვრცელი ამბავია, არკადი? მე უნდა ამალამვე დავბრუნდე თბილისში.

მ გ ო ს ა ნ ი (შეუჩერებლივ). კაცმა რომ თქვას, აქ ერთი კი არა, ორი ამბავია. რამდენიმე საათს გასტანს.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი (შინაურული გულწრფელობით). უფრო მოკლედ არ შეიძლება?

მ გ ო ს ა ნ ი. არა.

ყველანი მხიარულად მიდიან სასადილოდ.

ქ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ი ყ რ მ ა

მ გ ო ს ა ნ ი (მუსიკოსთა წინ მიწაზე ზის, მხრებზე შავი ნაბადი აქვს მოგდებული და გაცვეთილ უბის წიგნაკს ფურცლავს).

გარდასულ დროებში, სისხლიან დროებში,
 „წყეულად“ წოდებულ ამა ქალაქში
 ბატონობდა გუბერნატორი, სახელად გიორგი აბაშვილი.
 ის კრეზოსივით მდიდარი იყო;
 და ჰყავდა ლამაზი ცოლი,
 და ჰყავდა ჯანმრთელი ყრმა.
 არც ერთ გუბერნატორს მთელ საქართველოში
 არ მოეძეოდა იმდენი ცხენი ბაგაზე მიბმული,
 იმდენი მათხოვარი კარებზე მიმდგარი,
 იმდენი მთხოვნელი ეზოს შიგნით დაყუდებული.
 ვით შემიძლია აგიწეროთ მე თქვენ გიორგი გუბერნატორი?
 იგი ტკბებოდა უქმი ცხოვრებით.
 და ერთ მშვენიერ აღდგომა დღესა
 ის გაემართა თვისი ოჯახით
 ეკლესიისკენ.

სასახლის თადის ქვეშ ნაკადად მოედინებთან მათხოვარნი და მთხოვნელები,
 თან მაღლა იშვერენ გაძვალტყავებულ ბავშვებს, ყავარჯნებსა და თხოვნის წე-
 რილებს. მათ მოსდევთ ორი რკინის პერანგში გამოწყობილი სპა, შემდეგ
 გამოჩნდება ძვირფასად მორთული გუბერნატორის ოჯახი ამალით.

მათხოვარი და მთხოვნელები.

— შეგვივრდომეთ, თქვენო მოწყალეებავ, გადასახადმა ლამის წელში გაგვწყვიტოს.

— მე ფეხი დავკარგე სპარსეთის ომში და სად შემოდლია...

— ჩემი ძმა უდანაშაულოა, თქვენო მოწყალეებავ, გაუგებრობა მოხდა.

— შიმშილით მიკვდება საბრალო...

— გემუდარებით, გაათავისუფლეთ ჩემი შვილი სამხედრო ბეგარისაგან. ეგ ერთიღა შემრჩა.

— მოგვხედეთ, თქვენო მოწყალეებავ, წყლის ინსპექტორი მოსყიდულია.

ერთი მსახური არზებს აგროვებს, მეორე კი ქისიდან ფულებს არიგებს. ჯარისკაცები მძიმე ტყავის მათრახების ქნევით ბრბოს უკან ასევერნებენ.

ჯარისკაცი. უკან დაიწით! საყდრის შესავალი გაათავისუფლეთ! გუბერნატორისა და მისი მეუღლის ამალის უკან, თაღის ქვეშ, გამოჩნდება გუბერნატორის ყრმა, რომელიც ძვირფასად მორთული ეტლით მოჰყავთ. ბრბო მის დასანახავად ისევ წინ მოიწევს.

მგოსანი (იმ დროს, როდესაც ჯარისკაცები მათრახებით ისევ უკან ერეკებიან ხალხს).

პირველად სწორედ ამ აღდგომა დღეს იხილა ხალხმა

ჩვილი მემკვიდრე.

ორი ექიმი ფეხდაფეხ სდევდა ყრმას კეთილშობილს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ.

შეძახილები ბრბოდან. აგერ, აგერ, ბავშვი!

— მე ვერა ვხედავ, ნუ მაწვებით!

— გწყალობდეთ ღმერთი, თქვენო მოწყალეებავ!

მგოსანი. თვით ყოვლისშემძლე თავადმა ყაზბეგმა საყდრის კარიბჭესთან თაყვანი სცა მას.

მსუქანი თავადი გამოდის წინ და ესალმება გუბერნატორის ოჯახს.

მსუქანი თავადი. ბედნიერ აღდგომას გისურვებთ, ქალბატონო ნათელა.

ისმის ბრძანება. შემორბის მხედარი და გუბერნატორს აწვდის დაგრაგნილ ქალაქებს. გუბერნატორი ანიშნებს ადიუტანტს, ლამაზ ყმაწვილ კაცს, ისიც მიაშურებს მხედარს და აკავებს მას. ჩამოვარდება ხანმოკლე დუმილი, რომლის განმავლობაშიც მსუქანი თავადი ეჭვის თვალით უჭვრეტს მხედარს.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. რა მშვენიერი დღე დადგა! მე კი, წუხელ რომ წვიმა წამოვიდა, უკვე მეგონა, ცუდი დღესასწაული დაგვიდგება-მეთქი, მაგრამ ამ დღით ცა მოიწმინდა. მიყვარს მოწმენდილი ცა, ქალბატონო ნათელა, მე უბრალო კაცი ვარ. ერთი უყურეთ პატარა მიხეილს, ზედგამოჭრილი გუბერნატორია, ტი-ტი-ტი (უღიტინებს ბავშვს.) ბედნიერ აღდგომას დაესწარი, პატარა მიხეილ, ტი-ტი-ტი.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. რას იტყვით, არსენ, გიორგიმ როგორც იყო გადაწყვიტა აღმოსავლეთის მხარეს ახალი ფრთედის მშენებლობის დაწყება. მთელ გარეუბანს, სადაც ამჟამად უბადრუკი ქოხმახებია, აიღებენ, რათა იქ ბაღი გაშენდეს.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. ეს კარგი ახალი ამბავია ამდენი ცუდი ცნობების შემდეგ. თმისა რა ისმის, ძმაო გიორგი? (გუბერნატორის უგულებელმყოფელ ჟესტზე.) სტრატეგიული უკანდახევააო, ყური მოგკარი. ეგ არა უშავს, ვითარების უმნიშვნელო გაუარესება ყოველთვის შეიძლება მოხდეს. სულ ხომ აღჩუ არ დაჯდება. ცვალებადია თმის ბედი. ამ უკანდახევას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ხომ მართალია?

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. დაახველა! გიორგი, გაიგონე? (უკმეხად ორივე ექიმს, ორ ღირსებით აღსავსე მამაკაცს, რომლებიც იქვე, ბავშვის ეტლის უკანა დგანან.) ახველებს.

პ ი რ ვ ე ლ ი ე ქ ი მ ი (მეორეს). ჩემ თავს ნებას მივცემ, ნიკო მიქაძე, და გაგახსენებთ, რომ მე თბილი აბაზანის წინააღმდეგი ვიყავი, მცირეოდენი შეცდომა იქნა დაშვებული საბანაო წყლის ტემპერატურაში, თქვენო მოწყალეობა.


მ ე ო რ ე ე ქ ი მ ი (ასევე ძალიან ზრდილობიანად). ვერასგზით ვერ დაგეთანხმებით, მისა ლოლაძე, საბანაო წყლის ასეთ ტემპერატურას გვირჩევს ჩვენი დიდად სახელოვანი და ძვირფასი მიშიკო ობოლაძე. უფრო, მე მგონი, დაბე დაჰკრა ორპირმა ქარმა, თქვენო მოწყალეობა.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. ბავშვს მიხედეთ, მგონი, სიცხე უნდა ჰქონდეს, გიორგი.

პ ი რ ვ ე ლ ი ე ქ ი მ ი (ბავშვზეა დახრილი). უსაფუძვლოდ თავს ნუ შეიწუხებთ, თქვენო მოწყალეობა, ოდნავ უფრო ცხელი აბაზანა და ყველაფერი გაუვლის.

მ ე ო რ ე ე ქ ი მ ი (გესლიან მზერას ესვრის პირველს). ეს მე არ დამავიწყდება, ძვირფასო მისა, ამაოდ თავს ნუ შეიწუხებთ, თქვენო მოწყალეობა.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. აი-აი-აი-აი! მე როცა ღვიძლში ჩხვლეტას დამიწყებს ხოლმე, ყოველთვის ვამბობ: ორმოცდაათი დარტყმა ექიმს ფეხის გულზე-მეთქი, და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ განაზებულ ეპოქაში ვცხოვრობთ. წინათ ამისათვის მაშინვე თავს წააგდებინებდნენ.



სსრ კავშირის სახალხო არტისტი, შ. რუსთაველის პრემიის
ლაურეატი რეჟისორი დ. ალექსიძე.



ბ. ბრეჰტი. „სამგროშიანი ოპერა“, სცენა სპექტაკლიდან, რეჟისორი დ. ალექსიძე. 1961.



პოლი პიჩემი — მ. ლომიძე-პაჭკორია, ცელთა
პიჩემი — თ. თარხნიშვილი, ჯონათან პიჩემი —
მ. გუგუტკორი.



სცენა სპექტაკლიდან.



მეკი მესერი — რ. ჩხიკვაძე.



სცენები სპექტაკლიდან.




სცენა სპექტაკლიდან.

2.



ქალბატონი პიჩემი — თ. თარხნიშვილი, ჯენი — მ. მიქელაძე, ბეტი — ი. გიგოშვილი.



სცენა სპექტაკლიდან.




სცენა სპექტაკლიდან. პოლი — მ. ლომიძე-პაჭკორია.



ლუსი — ლ. ჭავჭავაძე, პოლი — მ. ლომიძე-
პაჭორია.


ჯენი — ლ. კახანაძე, მეკი — რ. ჩხიკვაძე.




სცენა სპექტაკლიდან.



ლუბი — უ. დუგლაძე, მეკი — რ. ჩიკვაძე.



სცენა სპექტაკლიდან.



სსრ კავშირის სახალხო არტისტი, შ. რუსთაველის
პრემიის ლაურეატი, რეჟისორი რ. სტურუა.



ბ. ბრეჭტი. „კავკასიური ცარცის წრე“, მთხრობელი — ე. ლოლაშვილი, რეჟისორი — რ. სტურუა. 1975.




გიორგი აბაშვილი — გიორგი სალარაძე, თავადი უაზბეგი — გურამ სალარაძე, ნათელა აბაშვილი — მარინე თბილელი.



ეფრეიტორი — გ. სალარაძე, გრუშე — ი. გიგოშვილი, ჯარისკაცი — ი. გოგიტიძე.



ეფრეიტორი — გ. სალარაძე, ჯარისკაცი — ი. გოგიტიძე.




სცენა სპექტაკლიდან.




აზღაკი — რ. ჩხიკვაძე, დიდი თავადი — კ. საკანდელიძე.




აზღაკი — რ. ჩხიკვაძე.



გრუშე ვაჩნაძე — ი. გიგოშვილი, სიმონ ჩაჩავა — კ. კავსაძე



აზღაკი — ე. მანგალაძე.



სცენა სპექტაკლიდან.



სცენა სპექტაკლიდან.



მოსკოვის გასტროლები. დასს მიესალმება ე. გოგოლევა.

გუბერნატორის მეუღლე. ეკლესიაში შევიდეთ, თორემ აქ ორპირი ქარია.

გუბერნატორის ოჯახისა და მსახურთა პერსონალისაგან შემდგარი პროცესია უხვევს ეკლესიის კარიბჭისაკენ. მსუქანი თავადიც მისდევს მათ. ადიუტანტი გამოეყოფა მსვლელობას და მხედარზე მიუთითებს.

გუბერნატორი. ღვთისმსახურების წინ არ შემიძლია, გოგი.

ადიუტანტი (მხედარს). გუბერნატორს არ სურს ღვთისმსახურების წინ მაგ ცნობების კითხვით დაიმძიმოს თავი, მით უმეტეს, რომ ჩემი ვარაუდით, არცთუ გასასხარელნი უნდა იყვნენ ისინი. სამზარეულოში წადი და უთხარი დაგაპურონ, მეგობარო.

ადიუტანტი პროცესიას უერთდება, მხედარი კი ლანძვით მიაშურებს სასახლეს. სასახლიდან გამოდის ჯარისკაცი და თაღის ქვეშ ჩერდება.

მგოსანი.

ქალაქში სიწყნარე სუფევს.

ეკლესიის წინ მოედანზე დაგოგმანებენ მტრედები ლაღად.

სასახლის მცველთაგან ერთი ჯარისკაცი

მზარეულ გოგოს ეარშიყება,

მდინარეზე რომ ყოფილა და ბრუნდება უკან.

ჭურჭლის მრეცხავი გოგო გრუშე ვაჩნაძე თაღის ქვეშ აპირებს გავლას. იღლიის ქვეშ დიდ მწვანე ფოთლებში გამოსვეული რაღაც უჭირავს.

ჯარისკაცი. ეს როგორ, ქალიშვილი საყდარში არ წასულა და წირვას აცდენს?

გრუშე. ის იყო უკვე ჩავიცვი, რომ სააღდგომო ნადიმისათვის ბატი დასჭირდათ და დამავალეს მისი მოტანა. მე კარგად ვიცი ბატების ცნობა.

ჯარისკაცი. ბატი? (ვითომ არ სჯერა). მე ჯერ უნდა ვნახო ის ბატი.

გრუშე ვერ ხვდება, რას ეუბნებიან.

~~ჯარისკაცი. დიაცნი სანდონი არ არიან. იტყვიან, ბატის მოსატანად ვიყავით და მერე აღმოჩნდება, რომ სულ სხვა რამეზე ყოფილახ.~~

გრუშე (ჯიქურად მიაშურებს და ბატს უჩვენებს). აი, შესედე, და თუ ეს ბატი ერთი თხუთმეტი გირვანქა მაინც არ გამოვა და სიმინდით არ არის გასუქებული, მზადა ვარ ამის ბურტყელი სულ მე შევჭამო.

ჯარისკაცი. მართლაც მეფური ბატია! რადგან თვითონ გუბერნატორი მიირთმევს. მაშ, ქალიშვილი ისევ იყო მდინარის პირას?

გრუშე. კი, საფრინველეში.

ჯ არ ის კ ა ც ი. აა, გასაგებია, საფრინველეში, ქვევით მდინარეზე, ხოლო ცოტა უფრო ზევით კი, დინების აღმა, სადაც მისთვის ცნობილი ტირიფებია?

გ რ უ შ ე. ტირიფებთან ხომ მარტოოდენ მაშინა ვარ ხოლმე, როცა სარეცხს ვრეცხავ.

ჯ არ ის კ ა ც ი (მრავალმნიშვნელოვნად). აი, სწორედ ეგ არის საქმე.

გ რ უ შ ე. რა „საქმე“?

ჯ არ ის კ ა ც ი (თვალს უკრავს). რა საქმე და სახელდობრ ის, რომელიც არის.

გ რ უ შ ე. რატომ არ შეიძლება, რომ ტირიფებთან ვრეცხავდე სარეცხს?

ჯ არ ის კ ა ც ი (ჩაიხითხითებს). „რატომ არ შეიძლება, რომ ტირიფებთან ვრეცხავდე სარეცხს“? ეს შესანიშნავია, მართლაც რომ შესანიშნავია.

გ რ უ შ ე. არ მესმის ბატონი ჯარისკაცისა. რა უნდა იყოს ამაში შესანიშნავი?

ჯ არ ის კ ა ც ი (ეშმაკურად). მაგანმა და მაგანმა ქალიშვილმა რომ იცოდეს, რაც მე ვიცი, ალბათ ტანში გააცვივდა და გააცხელებდა.

გ რ უ შ ე. არ ვიცი, რა შეიძლება გავცმა იცოდეს იმ ტირიფების შესახებ.

ჯ არ ის კ ა ც ი. მაშინაც არა, თუ მათ პირდაპირ ბუჩქნარია, საიდანაც ყველაფერი ჩანს? ყველაფერი, რაც იქ ხდება, როდესაც მაგანი და მაგანი ქალიშვილი „სარეცხს რეცხავს“!

გ რ უ შ ე, მერედა, განა რა ხდება იქ? ბარემ თქვას ბატონმა ჯარისკაცმა, რასაც გულისხმობს და მორჩა და გათავდა.

ჯ არ ის კ ა ც ი. ალბათ ხდება ისეთი რამ, რის დროსაც რაღაცის დაწახვა შეიძლება.

გ რ უ შ ე. ბატონი ჯარისკაცი იმას ხომ არ გულისხმობს, რომ ცხელ დღეებში ფეხის თითებს ვყოფ ხოლმე წყალში, თორემ მეტი იქ არა ხდება რა.

ჯ არ ის კ ა ც ი. სწორედ რომ მეტი. ფეხის თითებსაც და კიდევ მეტსაც.

გ რ უ შ ე. მეტს სხვას რაღას? შეიძლება ზოგჯერ მთელი ტერფიც ჩავყო.

ჯ არ ის კ ა ც ი. ტერფიცა და ცოტათი მეტიც. (გულიანად იცინის.)

გ რ უ შ ე (გაჯავრებული). გრცხვენოდეს, სიმონ ჩაჩავა, ბუჩქებში ზიხარ და ელოდები, ვიდრე ცხელ დღეში ქალი მდინარეში ფეხებს ჩაყოფდეს. ალბათ ისიც ვინმე სხვა ჯარისკაცთან ერთად. (გარბის.)

ჯ არ ის კ ა ც ი (მიამახებს). არა, სხვასთან ერთად არა!

და მაშინ, როდესაც მგოსანი განაახლებს თხრობას, ჯ არ ის კ ა ც ი უკან დაედევნება გ რ უ შ ე ს.

მ გ ო ს ა ნ ი.

სიწყინარე სუფიებს ქალაქში, მაგრამ რატომ დადიან აბჯარასხმულნი? გუბერნატორის სრა-სასახლეში მყოფდროებაა გამეფებული, მაგრამ რად ჰგავს ის ციხესიმაგრეს?

მარცხნივ ეკლესიის კარიბჭიდან სწრაფი ნაბიჯით გამოდის მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. ჩერდება და აქეთ-იქით იყურება. მარჯვნივ, თაღის წინ, ორი ა ბ ჯ - რ ო ს ა ნ ი იცდის. თავადი შენიშნავს მათ, ნელა ჩაუვლის გვერდით და თან რაღაცას ანიშნებს. ერთი მათგანი თაღის ქვეშ შედის, მეორე კი მარჯვნივ მიდის. სცენის სიღრმეში სხვადასხვა მხრიდან ყრუდ ისმის შეძახილები: „ად-გილებზე!“ სასახლე გარშემორტყმულია. თ ა ვ ა დ ი სწრაფად გადის. შო-რიდან ეკლესიის ზარების რეკვა მოისმის. გუბერნატორის ოჯახისა და ამა-ლისაგან შემდგარი პროცესია ეკლესიიდან უკან ბრუნდება.

მ გ ო ს ა ნ ი.

აი, დაბრუნდა სასახლეში გუბერნატორი.
აი, ხაფანგად იქცა მისი ციხესიმაგრე.
აი, გაპუტეს და შებრაწეს აღდგომის ბატი,
აი, მათ ვეღარ მიირთვეს ბატი,
აი, შუადღეს ვეღარ დასხდნენ უკვე სადილად,
აი, შუადღე გადაიქცა სიკვდილის უამად.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე (თან მიდის). მართლაც შეუძლებე-ლია ამ ქოხმასში ცხოვრება, მაგრამ გიორგი, რასაკვირველია, მხოლოდ თა-ვისი პატარა მიხეილისათვის აშენებს და არა ჩემთვის. მიხეილი მისთვის ყვე-ლაფერია, ყველაფერი მიხეილისათვის უნდა.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი. გაიგონე, როგორ მოგვილოცა ჩვენმა ყაზბეგმა — ბედნიერ აღდგომას გისურვებთო! ძალიან კარგი და ძალიან მშვენიერი, მაგ-რამ, რამდენადაც ვიცი, ნუქაში წუხელ წვიმა არ ყოფილა. ხოლო სადაც ჩვე-ნი ყაზბეგი იყო, იქ კი წვიმდა. ნეტა სად იყო ჩვენი ყაზბეგი?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი. უნდა გამოვიძიოთ.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი. ჰო, დაუყოვნებლივ. ხვალვე.

პროცესია თაღისკენ უხვევს. მ ხ ე დ ა რ ი, რომელიც ამ დროს სასახლიდან ბრუნდება, მიდის გუბერნატორთან.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი. ხომ არ ინებებთ მოუხმინოთ დედაქალაქიდან დილით წარმოგზავნილ შიკრიკს, თქვენო აღმატებულებავ? იგი ამ დილით ჩამოვიდა საიდუმლო ქაღალდებით.

გუბერნატორი (არ ჩერდება). ჭამის წინ ვერა, გოგი!

ადიუტანტი (მხედარს. ვიდრე ლაპარაკობს, პროცესია სასახლეში უჩინარდება და ალყაფის კარებთან მხოლოდ ორი აბჯროსანი რჩება სასახლის დაცვიდან). გუბერნატორს არ სურს ჭამის წინ გული გაუწყალონ სამხედრო ცნობებით, ხოლო დღის მეორე ნახევარს მისი აღმატებულება მიუძღვნის გამოჩენილ ხუროთმოძღვრებთან მოლაპარაკებას, რომლებიც აგრეთვე სადილადაც არიან დაპატიჟებულნი. აგერ ისინიც.

შემოდის სამი არქიტექტორი. მხედარი მიდის, ადიუტანტი კი ახალმოსულთ ესალმება.

ბატონო ჩემნო, მისი აღმატებულება სადილზე მიგელით. მთელ თავის დროს თქვენ დაგიტომობთ. თქვენა და დიად ახალ გეგმებს! აბა, ვიჩქაროთ!

ერთ-ერთი არქიტექტორი. ჩვენ აღტაცებულნი ვართ, რომ მის აღმატებულებას, მიუხედავად შემაშფოთებელი ხმებისა სპარსეთში ომის ცუდი მსვლელობის შესახებ, განზრახული აქვს მშენებლობა დაიწყოს.

ადიუტანტი. უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა: „შემაშფოთებელი ხმების გამო“. ეს არაფერია, სპარსეთი შორს არის. აქაური გარნიზონი კი მზადაა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს თავისი გუბერნატორისათვის.

სასახლიდან ხმაური ისმის, შემდეგ — ქალის გამყინავი წივილი და ბრძანებები. შემკრთალი ადიუტანტი თაღისკენ გაემართება. წინ გამოდის ერთ-ერთი აბჯროსანი და ლახვარს უღერებს.

რას მიჰქარავ! იქით წაიღე ლახვარი, ძაღლო! (გამძვინვარებული სასახლის მცველთ.) განაიარაღეთ! ვერ ხედავთ, გუბერნატორს ესხმიან თავს?

სასახლის მცველი აბჯროსანი არ ემორჩილებიან. გულგრილად, ცივად უყურებენ ადიუტანტს და დანარჩენ ამბებსაც ჩაურევლად ადევნებენ თვალს. ადიუტანტი ბრძოლით იკაფავს გზას სასახლისაკენ.

ერთ-ერთი არქიტექტორი. ეს თავადების ოინებია! წუხელ დედაქალაქში შეიკრიბნენ თავადები, რომელნიც დიდი თავადისა და მისი გუბერნატორების წინააღმდეგნი არიან. ბატონო ჩემნო, სჯობია დროზე მოვუსვათ აქედან.

სწრაფად გადიან.

მ გ ო ს ა ნ ი.

პოი, რაოდენ ბრძანი არიან ხელისუფალნი ამა ქვეყნისა!
უკვდავთა მსგავსი გულდაჯერებით დააბიჯებენ მორჩილთა მხრებზე.
დაქირავებულ მუშტს ენდობიან და იმედი აქვთ ძალმომრეობის,
ფიქრობენ, რომ მათ ხანგრძლივ პარპაშს არ აქვს საზღვარი,
მაგრამ ხანგრძლივი არ ნიშნავს მარადს.
ჰე, დროებათა ცვალებადობავ, უამთა ტრიალო!
შენ, სასოებავ და სალბუნო წამებულ ხალხის!

თაღის ქვეშ გამოდის გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი, ბორკილები აქვს გაყრილი, სა-
ხეზე მკვდრისფერი დასდებია, აქეთ-იქით ორი კბილებამდე შეიარაღებული
ჯ ა რ ი ს კ ა ც ი მოსდევს.

დაგვილოცნია გზა სამუდამო, აწ უკვე შენთვის, დიდო ბატონო!
ეცადე წელში გამართულმა გამოიარო!
შენ სასახლიდან მრავალ მტერთა თვალები გიმზერს!
ხუროთმოძღვრები აღარ გჭირდება, აწ კმარა შენთვის მესაფლავენიც.
გელარ აიგებ ახალ სასახლეს, გელის პატარა თხრილი მიწაში.
უკანასკნელად მოავლე თვალი, შენს საბრძანებელს, ო, თვალდავსილო!

შეპყრობილი აქეთ-იქით ისელება.

მოგწონს ყოველი, რაღაც გაგაჩნდა? აღდგომა დღესა,
ცისკრის წირვისა და სადილს შორის,
მიდიხარ იქა, საიდანაც არვინ ბრუნდება.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი გაჰყავთ. სასახლის დაცვაც მის ბადრავს უერთდება.
ისმის ბუკის საგანგაშო ხმა. თაღის უკან ხმაურია.

ოდეს დიდკაცის სახლი ინგრევა,
მის ჭერქვეშ ბევრი მდაბიოც ჰყვება.
ბედნიერებას მისას ვინც არ იზიარებდა,
უბედურების მოზიარე ხდება ის ხშირად.
თან მიაქანებს გაოფლილ ცხენებს
ეტლი უფსკრულში გადაჩეხილი.

თაღის ქვეშ გამორბიან პანიკით მოცული მ ს ა ხ უ რ ნ ი.

მ ს ა ხ უ რ ნ ი (ერთმანეთს არ აცლიან). არიქათ, კალათები! ყველაფერი
მესამე ეზოში გადაიტანეთ! ხუთი დღის საგზალი გვინდა.

- ქალბატონი გულწასული გდია.
- უნდა როგორმე გამოვიყვანოთ, მისი აქ დარჩენა არ შეიძლება.
- მერედა, ჩვენ?
- ჩვენ ქათმებივით წაგვაცლიან თავებს, ეს ნაღია.
- დედაო ღვთისა, რა გვეშველება?
- ქალაქში, როგორც ამბობენ, სისხლის მორევი დააყენეს უკვე.
- სისულელეა, გუბერნატორს მხოლოდ ზრდილობიანად სთხოვეს თავადთა თავყრილობაზე გამოცხადდეს. ყოველივე კეთილად მოგვარდება, პირველი წყაროდან ვიცი.

აგრეთვე თ რ ი ვ ე ე ქ ი მ ი ც გამორბის ეზოში.

პ ი რ ვ ე ლ ი ე ქ ი მ ი (ცდილობს შეაჩეროს მეორე). ნიკო მიქაძე, თქვენი, როგორც მკურნალის, მოვალეობაა ქალბატონ ნათელას დახმარება აღმოუჩინოთ.

მ ე თ რ ე ე ქ ი მ ი. ჩემი მოვალეობაა, თუ თქვენი?

პ ი რ ვ ე ლ ი ე ქ ი მ ი. დღეს ვინ უნდა იყოს ბავშვთან, ნიკო მიქაძე, მე თუ თქვენ?

მ ე თ რ ე ე ქ ი მ ი. ნუთუ თქვენ მართლაც ფიქრობთ, რომ იმ ცინგლიანის გულისთვის თუნდაც ერთ წუთს კიდევ გავჩერდები ამ შეჩვენებულ სახლში?

შეებმებიან ერთმანეთს.

პ ი რ ვ ე ლ ი ე ქ ი მ ი. თქვენ დალატობთ თქვენს მოვალეობას!

მ ე თ რ ე ე ქ ი მ ი. რა მოვალეობა, რის მოვალეობა! (მეორე ექიმი ისე გაარტყამს პირველს, რომ წააქცევს.) ეშმაკსაც წაუღიხარ! (გარბის.)

შემოდის ჯარისკაცი ს ი მ თ ნ ჩ ა ჩ ა ვ ა და მოხიშნიმე ბრბოში გრუშეს ეძებს.

მ ს ა ხ უ რ ნ ი. საღამომდე დრო გვაქვს, მანამდე ჯარისკაცები არ დათვრებიან.

- ვინ იცის, იქნებ ჯერ არც კი აჯანყებულან.
- სასახლის მცველები ცხენებზე შესხდნენ და გაქუსლეს.
- ნეტავი არავინ იცის, რა ხდება?

გ რ უ შ ე. მეთევზე მგელიკა ამბობს, დედაქალაქში კუდიანი ვარსკვლავი დაინახესო. მთლად წითელი კუდი პქონდა თურმე. ეს უბედურებას მოასწავებს.

მ ს ა ხ უ რ ნ ი. როგორც ამბობენ, გუშინ დედაქალაქში გამოუცხადებიათ, სპარსეთში ომი პირწმინდად წავაგეთო.

— თავადებს საყოველთაო აჯანყება მოუწყვიათ. დიდი თავადი, როგორც ამბობენ, უკვე გაქცეულა. მის ყველა გუბერნატორს სიკვდილით სჯიან.

— პატარა ხალხს ხელს არ ახლებენ.

— მე ძმა აბჯროსანი მყავს.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი (თაღის ქვეშ გამოჩნდება). ყველაფერი მესამე ეზოში გაიტანეთ! ყველანი ბარგის ჩალაგებაში მიეხმარეთ! (ერეკება ბრბოს.)

სიმონი როგორც იქნა პოულობს გრუშეს.

ს ი მ ო ნ ი. აი, თურმე სად ხარ, გრუშე, რას აპირებ?

გ რ უ შ ე. არაფერს. თუ გაჭირდა, მე ძმა მყავს მთაში, რომელსაც იქ კარმიდამო აქვს. შენ კი რა მოგელის?

ს ი მ ო ნ ი. მე რა უნდა მომელოდეს!? (კვლავ ცერემონიული მოკრძალებით.) გრუშე ვაჩნაძე, შენი შეკითხვა ჩემი გეგმების თაობაზე გულს კმაყოფილებით მივსებს. მე ნაბრძანები მაქვს მცველად გავყვე გუბერნატორის ცოლს, ნათელა აბაშვილს.

გ რ უ შ ე. კი, მაგრამ განა სასახლის დაცვა არ აჯანყებულა?

ს ი მ ო ნ ი (სერიოზულად). აჯანყდა.

გ რ უ შ ე. მერე სახიფათო არ არის გუბერნატორის ცოლის ხლება?

ს ი მ ო ნ ი. თბილისში იცინან ხოლმე თქმა, დანახ ჩხვლეტისა როდი უშინაო.

გ რ უ შ ე. შენ ხომ დანა არა ხარ, შენ ადამიანი ხარ, სიმონ ჩაჩავა. რა გესაქმება იმ ქალთან?

ს ი მ ო ნ ი. არაფერიც არ მესაქმება, მაგრამ მიბრძანეს და მეც მივემგზავრები.

გ რ უ შ ე. მაშინ ბატონი ჯარისკაცი შტერი ყოფილა, რომ ტყუილ-უბრალოდ განსაცდელში იგდებს თავს.

გრუშეს სასახლიდან ეძახიან.

მე უნდა მესამე ეზოში წავიდე. მეჩქარება.

ს ი მ ო ნ ი. რახან გეჩქარება, მაშინ ნუ ვიკამათებთ, რადგან კარგი კამათისათვის დროა საჭირო. შეიძლება ვიკითხოთ, ჰყავს თუ არა ქალიშვილს მშობლები?

გ რ უ შ ე. არა, მარტო ძმა მყავს.

ს ი მ ო ნ ი. ვინაიდან დრო ცოტა იგვაქვს, მეორე კითხვა ასეთი მექნება: ჯანმრთელია ქალიშვილი თუ არა? ისეთი საღია, როგორც თევზი წყალში?

გ რ უ შ ე. აი ხანდახან მარჯვენა მხარში გამტეხავს ხოლმე, თორემ სხვაფრივ ყოველგვარი სამუშაოსათვის მეყოფა ძალა, ჯერ არავინ არ მყოლია მომდურავი.

ს ი მ თ ნ ი. ჰო, ეს ვიცი. თუ აღდგომა დღეს ვინმეს ბატზე გაგზავნა დასჭირდათ, მაშინ მას აგზავნიან. მესამე შეკითხვა: სულწასული ხომ არ არის ქალიშვილი? მარწყვი ხომ არ მოუნდება შუა სამთარში?

გ რ უ შ ე. სულწასული არა, მაგრამ, როდესაც კაცი სულ ტყუილუბრალოდ მიდის ომში და მერე მისგან არაფითარი ამბავი არ მოდის, ეს კი არ ვარგა.

ს ი მ თ ნ ი. ამბავი მოგივა. (სასახლიდან ისევ ეძახიან გრუშეს.) დაბოლოს მთავარი შეკითხვა...

გ რ უ შ ე. სიმონ ჩაჩავა, ვინაიდან მესამე ეზოში უნდა წავიდე და ძალიან მეჩქარება, მე ახლავე გპასუხობ, ჰო-მეთქი.

ს ი მ თ ნ ი (ძალზე დარცხვენილი). ამბობენ, აჩქარება ქარსა ჰგავს, რომელიც ხარჩოებზე ქრისო. მაგრამ იმასაც იტყვიან, მდიდარს არ ეჩქარებაო. მე წარმოშობით ვარ...

გ რ უ შ ე. ოდიშიდან.

ს ი მ თ ნ ი. ქალიშვილს უკვე გამოუძიებია ჩემი ვინაობა. მე ჯანმრთელი ვარ, შესანახი არავინა მყავს, თვეში ას პიასტრს ვიღებ, სოლო თუ ხაზინადრად დამაყენეს, ორასსაც ავიღებ და სულით და გულით გთხოვ ცოლად გამომყვე.

გ რ უ შ ე. სიმონ ჩაჩავა, მე თანახმა ვარ.

ს ი მ თ ნ ი (ყელიდან ისწინის ძეწკვს, რომელზედაც პატარა ჯვარი ჰკიდია). ეს ჯვარი დედაჩემის ნაქონია, გრუშე, ძეწკვი ვერცხლისაა, გთხოვ, ატარო.

გ რ უ შ ე. დიდი მადლობა, სიმონ.

ს ი მ თ ნ ი (თან ძეწკვს ჰკიდებს). სჯობია ქალიშვილი წავიდეს მესამე ეზოში, თორემ შეიძლება უსიამოვნება შეხვდეს. მეც აი, უნდა ცხენები შევაბა, ეს ხომ გასაგებია ქალიშვილისათვის?

გ რ უ შ ე. ჰო, სიმონ.

დგანან და ყოყმანობენ.

ს ი მ თ ნ ი. მე მხოლოდ სამშვიდობოზე გავიყვან გუბერნატორის მეუღლეს, იქ, სადაც ჯარი აჯანყებულთა მხარეზე არ გადასულა. როცა ომი დამთავრდება, უკან დავბრუნდები ორ ან სამ კვირაში. იმედია, ჩემი დანიშნული არ მოიწყენს, ვიდრე დავბრუნდებოდე.

გ რ უ შ ე. სიმონ ჩაჩავა, გწამდეს მე შენ დაგელოდები.

გულარხეინად წადი ომში, ჩემო მებრძოლო,
სისხლიან ომში, უღმობელ ომში,
რომელსაც ყველა ვერ გადურჩება.
როს დაბრუნდები, მე აქ დაგხვდები,

დაგელოდები მწვანე თელასთან,
დაგელოდები შიშველ თელასთან,
დაგელოდები, ვიდრე ყველა არ დაბრუნდება
და მერეც კიდევ.
ხოლო, როდესაც ომიდან მოხვალ,
სარეცელს ჩემსას უბიწოდ ჰპოვებ,
ჩემს სასთუმალზე არვინ იწვება
და ჩემს ბაგეზე თუნდ ერთი კოცნაც
კი არ ექნება სხვას აღბეჭდილი.
როს დაბრუნდები, როს დაბრუნდები,
შენ შეგეძლება თქვა, ყველაფერი
ისევ ისეა, ვით იყო წინათ.

ს ი მ ო ნ ი. გმადლობ, გრუშე, აბა, ნახვამდის!

იგი მდაბლად უკრავს თავს გრუშეს. გრუშეც, თავის მხრივ, ასევე მდაბლად
დაუკრავს თავს. შემდეგ უკან მოუხედავად სწრაფად გარბის. თაღის ქვეშ გა-
მოდის ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი (უხეშად). რაღას უყურებ, შეაბი ცხენები დიდ ოთხ-
თვალაში, ბრიყვო!

სიმონ ჩაჩავა გაჭიმული დგას, მერე გადის. თაღის ქვეშ გამოჩნდება ორი
მ ს ა ხ უ რ ი, რომელთაც, წელში ოთხად მოხრილებს, უშველებელი ზანდუ-
კები მოაქვთ. მათ უკან ბორძიკით შემოდის თავის პირფარეშ ქალებზე დაყრ-
დნობილი ნ ა თ ე ლ ა ა ბ ა შ ვ ი ლ ი. შემდეგ ერთ-ერთ მოახლეს შემოჰყავს
მისი ბ ა ვ შ ვ ი.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. ყველამ დვთის ანაბრად მიმატოვა.
პირდაპირ, აღარ ვიცი, თავი სად მახია. მიხეილი რა იქნა? როგორ უშნოდ
გიჭირავს! ზანდუკები ოთხთვალაზე დააწყეთ! გუბერნატორისა არაფერი ის-
მის, გოგი?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი (თავს გააქნევს). თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავ-
როთ.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. რამე ამბავი მოვიდა ქალაქიდან?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი. არა, ჯერჯერობით სრული სიმშვიდეა, მაგრამ არც ერთი
წუთის დაკარგვა არ შეიძლება. ზანდუკები ვერ დაეტევა ოთხთვალაზე. ამო-
არჩიეთ, რაცა გჭირდებათ. (სწრაფად გადის.)

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. მხოლოდ ყველაზე აუცილებელი

უნდა წავილო!.. შეჩერდით! მარდად გახსენით ზანდუკები! მე გეტყვით, რაც თან უნდა წავილოთ.

მსახურნი ზანდუკებს ძირს დგამენ და ხსნიან.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე (ფარჩის კაბებზე მიუთითებს). აი, ეს მწვანე და, რასაკვირველია, ესეც, ბეწვით გაწყობილი! ექიმები სად არიან? ისევე საშინელი თავის ტკივილი ამივარდა, ყოველთვის საფეთქლებიდან მეწყება ხოლმე. აი, ესეც, მარგალიტისლილებიანი...

შემორბის გრ უ შე.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. შენ გეტყობა არ გეჩქარება, არა? ახლავე სათბურები მომიტანე.

(გრ უ შე გარბის და ცოტა ხნის შემდეგ უკან ბრუნდება სათბურებით ხელში. გუბერნატორის მეუღლე მუნჯურად ხელის ნიშნებითა და შეხედვით ხან რაზე ასაქმებს მას და ხან რაზე.)

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. ნელა, სახელო არ გახიო.

მ ო ს ა მ ს ა ს უ რ ე გ ო გ ო. არსეინად ბრძანდებოდეთ, მოწყალეო ქალბატონო, აი შეხედეთ, კაბას არაფერი არ მოსვლია.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. ეს იმიტომ, რომ დროზე გტაცე ხელი. უკვე დიდი ხანია თვალყურს გადევნებ. თავში სხვა არაფერი გიტრიალებს, იმის გარდა, რომ შალვა აზრეთელს თვალები როგორ დაუბრიცო! მოგკლავ, შე ძუკნა ძაღლო, შენა! (სცემს.)

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი (უკან ბრუნდება). გთხოვთ აჩქარდეთ, ქალბატონო ნათელა, ქალაქში სროლის ხმა ისმის. (ისევე გადის.)

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე (მოსამსახურე გოგოს ხელს გაუშვებს). ღმერთო, სახიერო! როგორა გგონიათ, ჩვენ ხელს გვახლებენ? რისი გულისთვის? რისი გულისთვის? (ყველა დუმს. თვითონ იწყებს ზანდუკში ქექვას.) ფარჩის წელზედა მოძებნე! იმას დაეხმარე! მიხეილი რას შვრება? სძინავს?

მ ო ა ხ ლ ე, რ ო მ ე ლ ს ა ც ბ ა ვ შ ვ ი უ ჭ ი რ ა ვ ს. დიას, მოწყალეო ქალბატონო.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. მაშინ ერთი წამით დაბლა დააწვინე და საძილე ოთახიდან ტარსიკონის წაღები მომიტანე, ჩემს მწვანე კაბას უხდება. (მოახლე ბავშვს აწვევს და გარბის. მოსამსახურე გოგოს.) შენ რაღას გაჩერებულხარ, ჰა?

გ ო გ ო გ არ ბ ის.

შესდექ, თორემ ვუბრძანებ, ჩამოგახრჩონ! (პაუზა.) როგორ არის ჩალაგებუ-
ლი, უსიყვარულოდ და უგუნურად. ყველაფერი შენ თვითონ უნდა უთხრა.
ასეთ დროს გამოჩნდება სოლმე სწორედ, როგორი მსახურები გყავს. ჭამა-
ყლაპვა იცინა მარტო, მაღლიერების გრძნობა კი არ გააჩნიათ. ამას დავიმას-
სოვრებ.

ადიუტანტი (ძალზე აღელვებული). ნათელა, ახლავე გაემგზავრეთ.
ეს-ეს არის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ამბოხებულმა ფეიქრებმა
ჩამოახრჩეს.

გუბერნატორის მეუღლე. რატომ? ვერცხლისფერი უნდა თან
წავიღო, ის ათასი პიასტრი დაჯდა. აი ესეც და ყველა ბეწვიც. შვინდისფერი
სადღაა?

ადიუტანტი (ცდილობს მოაცილოს ტანისამოსის გროვას). ქალაქის
გარეუბანში მღელვარება დაიწყო. უნდა დაუყოვნებლივ გავემგზავროთ, ბავ-
შვი სად არის?

გუბერნატორის მეუღლე (ემახის მოახლეს, რომელიც გადი-
ის მოვალეობას ასრულებს.) მარო! ბავშვი მოამზადე! რა იქენი?

ადიუტანტი (თან გადის). ალბათ ოთხთვალაზე უარის თქმა და ცხე-
ნებით წასვლა მოგვიხდება.

გუბერნატორის მეუღლე კაბებში იქექება. მათგან ზოგიერთს იმ გროვაში
პყრის, რომლის თან წაღებასაც აპირებს. მერე ისევ უკან იღებს. ისმის ხმა-
ური, დაფდაფების ცემა. ცის კაბადონი წითლად იღებება.

გუბერნატორის მეუღლე (სასოწარკვეთილი კვლავ კაბებში
ურევს ხელებს). ვერა და ივერ მიპოვნია შვინდისფერა. (მსახურთაგან ერთი
გარბის. მხრების აჩეჩვით პირველ მოახლეს.) აიღე ეს მთელი გროვა და
ოთხთვალასთან მიიტანე. მარო რატომ არ დაბრუნდა? თქვენ რა, ყველანი შე-
იშალენით? აი, ხომ ვამბობდი, ყველაზე დაბლა დებულა.

ადიუტანტი (უკან ბრუნდება). აბა, ჩქარა, ჩქარა!

გუბერნატორის მეუღლე (პირველ მოახლეს). გაიქეცი! პირ-
დაპირ ჩაყარე ოთხთვალაში!

ადიუტანტი. ოთხთვალათი ვერ წავალთ, წამოდით, თორემ მე მარ-
ტო გავემგზავრები.

გუბერნატორის მეუღლე. მარო! ბავშვი აიყვანე! (პირველ მო-
ახლეს.) მარო მოძებნე, მარო! არა, ჯერ კაბები წაიღე ოთხთვალაში, რა სი-
სულელეა, არაფრის გულისათვის ცხენებით არ გავემგზავრები! (უკან მოტ-
რიალდება, ხედავს ხანძრის ალით შეღებილ ცის კაბადონს და თავზარი ეცე-
მა.) იწვის!

ადიუტანტს გაჰყავს. პირველი მოასლეთ თავის ქნევით მისდევს უკან და თან მიაქვს კაბების მთელი ბლუჯა. თაღის ქვეშ გამოდიან მსახურნი.

მზარეთული ქალი. ეს, მგონი, აღმოსავლეთის კარი იწვის.

მზარეთული. წავიდნენ. სანოვაგით დატვირთული ოთხთვალაც კი მიატოვეს. ახლა ჩვენ როგორღა უნდა დავაღწიოთ თავი?

მეჯინიბე. ჰო, ერთხანს მაინც ამ სახლში გაჩერება შეუძლებელი იქნება, სულიკო, მე რამდენიმე საბანს წამოვიღებ და მოვუსვამ აქედან.

მართ (თაღის ქვეშ გამოდის, ხელში წაღები უჭირავს). აი, მოწყალეო ქალბატონო!

სქელი ქალი. უკვე გაემგზავრა.

მართ. მერედა, ბავშვი? (მიიღებს ბავშვთან და ხელში აიყვანს). დატოვეს მაგ მხეცებმა? (გრუშეს გაუწვდის.) დამიჭირე ერთი წამით. (ცრუდ.) წავალ ოთხთვალას დავხედავ. (დაედევნება გუბერნატორის მეუღლეს.)

გრუშე. რა მოუვიდა ჩვენს ბატონს?

მეჯინიბე (ყელზე ხელს გაისვამს). ხიჩი-ხიჩი უყვეს.

მსუქანი ქალი (მეჯინიბეს უესტზე ისტერიკა დაემართება). ვაიმე, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო! ჩვენი ბატონი გიორგი! ჯერ კიდევ ცისკრის წირვაზე საღ-საღამათი იყო და ახლა კი... წამიყვამთ, წამიყვამთ აქედან. ჩვენ ყველანი დაღუპულები ვართ, უნდა დავიხოცნეთ ცოდვების გამო. როგორც ჩვენი ბატონი გიორგი აბაშვილი.

სულიკო (აწყნარებს). დამშვიდდით, ნინო, თქვენ ხელს არ გახლებენ, თქვენ ცუდი არავისთვის არ გაგიკეთებიათ.

მსუქანი ქალი (ვიდრე სცენიდან გაჰყავთ). ვაიმე, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო! ჩქარა, ჩქარა, წავიდეთ აქედან, ვიდრე მოვიდოდნენ!

ყმაწვილი ქალი. ნინომ უფრო გულთან მიიტანა, რაც მოხდა, ვიდრე გუბერნატორის მეუღლემ, თვით მათი მიცვალებულიც კი სხვამ უნდა დაიტიროს! (შენიშნავს ბავშვს, რომელიც ისევ გრუშეს უჭირავს.) ბავშვი! შენ რატომ გაყავს?!

გრუშე. დატოვეს და...

ყმაწვილი ქალი. ღვთის ანაბრად მიაგდეს, არა? მისხეილი, რომელსაც სულ ახლახან ცივ ნიაფსაც კი არ აკარებდნენ.

მსახურნი ბავშვის ირგვლივ იყრიან თავს.

გრუშე. იღვიძებს.

მეჯინიბე. შენ ეი, სჯობია ეგ სადმე მიაგდო, თორემ გაფიქრებისაც კი მეშინია, რა დღეს დააყრიან იმას, ვისაც ხელში მაგ ბავშვს უნახავენ. მე

წამოვიღებ ჩვენს ბარგი-ბარხანას, თქვენ კი აქ დამიცადეთ. (შედის სასახლეში.)

მზარეული ქალი. მართალს ამბობს. როცა ეგენი ატყდებიან, ერთმანეთს მთელ ოჯახებს უშლენ სოლმე. ძირჩვენია ავიკიდო ჩემი გუღანაბადი.

ყველა მიდის. მხოლოდ ორი ქალი რჩება და გრუშე ბავშვით ხელში.

სულიკო. ვერ გაიგონე, რაც გითხრეს? მოიშორე ბავშვი თავიდან!

გრუშე. გადიამ მთხოვა ერთი წამით ხელში დაიჭირეო.

მზარეული ქალი. ის აღარ დაბრუნდება, შე სულელო!

სულიკო. ხელი აიღე, რა ძალა გადგია.

მზარეული ქალი. მაგას უფრო დაუწყებენ ძებნას, ვიდრე გუბერნატორის მეუღლეს. ეგ ხომ მემკვიდრეა. გრუშე, შენ კეთილი გულისა ხარ, მაგრამ ჭკვიანს კი ვერ დაგიძახებს ადამიანი. გეუბნები, კეთროვანიც რომ იყოს, უფრო საშიში არ იქნებოდა. ფრთხილად იყავი, უბედურებას არ გადაეყარო.

მეჯინიბე უკან ბრუნდება ბოხჩებით დატვირთული და ურიგებს ქალებს. გრუშეს გარდა, ყველანი წასასვლელად ემზადებიან.

გრუშე (ჯიუტად). სულაც არ არის კეთროვანი. ადამიანური გამოხედვა აქვს.

მზარეული ქალი. შენც ნუ უყურებ. ისეთი სულელი ხარ, რომ ყველაფერი შეიძლება თავს მოგახვიოს კაცმა. რაზეც არ უნდა დაგსაქმონ, მაშინვე რაც ძალი და ღონე გაქვს გარბიხარ სოლმე ასასრულებლად, თითქო მუქთა ფეხები გქონდეს. ჩვენ ურმით მივდივართ. შენთვისაც მოიძებნება ზედ ადგილი, თუ იჩქარებ და მოგვისწრებ. ო, იესო, ახლა, როგორც ჩანს, უკვე მთელი კვარტალი იწვის!

სულიკო. შენ რა, ბარგი ჯერ შეგრული არა გაქვს? იცოდე, სადაცაა აბჯროსანნიც მოცვივდებიან ყაზარმიდან.

ორივე ქალი და მეჯინიბე გადიან.

გრუშე. მეც მოვდივარ (ბავშვს დაბლა აწვენს, ერთხანს ზედ დასცქერის, მერე იქვე მდგარი ზანდუკებიდან იღებს რომელიღაც ტანსაცმელს, აფარებს ბავშვს, რომელიც კვლავ ძილს განაგრძობს, და შერბის სასახლეში თავისი ნივთების გამოსატანად.)

ისმის ცხენების თქარათქური და ქალების წივილი. შემოდის მსუქანი თავადი მთვრალ აბჯროსანთა თანხლებით. ერთ-ერთ მათგანს

შუბზე წამოგებულ გუბერნატორის თავი მოაქვს!

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. აი, აქ, შუაში!

ერთ-ერთი ჯარისკაცი მხრებზე ადგება მეორეს, იღებს მოჭრილ თავს და სინჯავს თაღზე რომელ ადგილზე მიაკრას.

არა, ეგრე შუაში არ იქნება, მარჯვნივ გასწიე. ჰო, ახლა კარგია. მე რასაც ვაკეთებ, ძვირფასებო, ყოველთვის ლაზათიანად ვაკეთებ.

ჯარისკაცი ჩაქუჩს და ლურსმანს მოიმარჯვებს და მოჭრილ თავს თმით ამავრებს.

დღეს დილით საყდრის კარიბჭესთან გიორგი აბაშვილს ვუთხარი: „მოწმენდილი ცა მიყვარს-მეთქი, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მე უფრო მეხი მიყვარს, მოწმენდილი ციდან ჩამოვარდნილი. აფსუს, რომ ბიჭის წაყვანა მოასწრეს, უთუოდ ხელში უნდა ჩაფიგდო, მთელ საქართველოში ეძებეთ! ათას პიასტრს ვიძლევი! (გადის ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ე ბ თ ა ნ ერთად.)“

ისევ ცხენების თქარათქური მოისმის. თაღის ქვეშ შემოდის გ რ უ შ ე. ხელში ბოხჩა უჭირავს. ფრთხილად იხედება აქეთ-იქით და საყდრის მიმართულებით მიდის. გასასვლელთან უკვე სულ ახლოს მყოფი უკან ტრიალდება, რათა ნახოს ბავშვი ისევ იქ არის, თუ არა. აქ მგოსანი იწყებს სიმღერას.
გ რ უ შ ე გაუნძრევლად დგას.

მ გ ო ს ა ნ ი.

და აი, როცა წასასვლელად უკვე მზად იყო,
მოეჩვენა, რომ გაიგონა ბავშვის ჩუმი ხმა.

ის მოუხმობდა, კი არ ტიროდა, ევედრებოდა ალალი სიტყვით:
„მიშველე, ქალო, დამიხსენი დადუჰვისაგან!“

და განაგრძობდა, — კი არ ტიროდა, ევედრებოდა ალალი სიტყვით:

„იცოდე: ქალო, გაჭირვებულს ვინც პირს არიდებს,
ვინც მის ძახილზე ყურს იყრუებს შეუბრალებლად,
ის ვერასოდეს ვერ მოიხმენს სატრფოს ტკბილ ჩურჩულს,
ვერც განთიადზე შაშვის ჭახჭახს, ვერც შფებით ფშვინვას
მწუხრის ჟამს შრომით დამაშვრალი მევენახისა.
ეს რომ იხმინა...“

გ რ უ შ ე რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს ბავშვისაკენ და მისკენ დაიხრება.

უკან დაბრუნდა, რათა ბავშვი ერთხელ მაინც კიდევ ენახა.
დარჩენილიყო მასთან მხოლოდ რამდენიმე წამს,

ვიდრე სხვა ვინმე გამოჩნდებოდა,
ან ბავშვის დედა და ან კიდევ სხვა რომელიმე.

იგი ბავშვის გვერდით ჯდება და ზანდუკს ეყუდება.

წასვლის წინ, რადგან საშიშროებით იყო აღსავსე მთელი
ქალაქი, შიგ ბობოქრობდა ხანძარი და უბედურება.

სინათლე კლებულობს, თითქოს საღამო და მერე ღამეც ჩამომდგარიყოს.
გრუშე სასახლეში შედის, იქიდან ფარანი და რძე გამოაქვს და ბავშვს
ასძევს.

მგოსანი (ხმამაღლა).

საშინელია, როს სიკეთე გავდუნებს კაცსა!

ჩანს, როგორ ფხიზლობს გრუშე. იგი ღამეს უთევს ბავშვს, ხან ფარანს
ანთებს, რათა მძინარე ბავშვს დახედოს, ხან უფრო თბილად ფუთნის,
თანაც გამუდმებით ყურს უგდებს და აქეთ-იქით იხედება, ხომ არაფინ მო-
დისო.

ხანგრძლივად იჯდა იგი ჩვილ ყრმასთან.

დადგა საღამო, ჩამოდგა ღამეც,

მერე ინათლა და ის კი ისევ

ჩვილ ყრმასთან იჯდა.

დიდხანს უჭვრეტდა მის წყნარ სუნთქვას, პაწია მუშტებს,

ვიდრე ცდუნებამ არ წასძლია და განთიადზე

პაწია ბალღი ოხვრით ხელში არ აიტაცა

და არ განშორდა იქაურობას.

გრუშე იქმს იმას, რასაც მგოსანი აღწერს.

როგორც ნადავლი მკერდზე ისე მიიკრა ბავშვი

და როგორც ქურდი, გაიპარა მერე იქიდან.

ბაქცემა ჩრდილოეთის მთებში

მ გ ო ს ა ნ ი.

როცა ქალაქი მიატოვა გრუშე ვაჩნაძემ
და საქართველოს სამხედრო გზას დაადგა იგი,
შორს ჩრდილოეთით მიმავალი მაღალ მთებისკენ,
ის ერთ სიმღერას მღეროდა და რძეს ყიდულობდა.

მ უ ს ი კ ო ს ე ბ ი.

„ადამიანი როგორ უნდა დაუსხლტეს ამდენ
სისხლისმსმელ ძაღლებს და ხაფანგის გულბოროტ დამგებთ?
ის მიდიოდა უკაცრიელ მწვერვალებს შორის,
ის მიდიოდა საქართველოს სამხედრო გზაზე,
თან ერთ სიმღერას მღეროდა და რძეს ყიდულობდა.“

გ რ უ შ ე ვ ა ჩ ნ ა ძ ე ს ზურგზე წამოკიდებულ ტომარაში უზის ბავშვი, ცალ
ხელში ბოხჩა უჭირავს, მეორეში ვეება ჯოხი და ისე მიდის.

გ რ უ შ ე (მღერის).

ერთხელ ოთხმა გენერალმა
საომრად ირანს გასწია.
ერთი ომს თავს არიდებდა,
მეორე ვერ იმარჯვებდა,

მესამემ ამინდს უყურა,
მეთხეს ჯარმა უმტყუნა
და ვერც ერთმა ჩენერალმა
სახლში ვეღარ მიაღწია.

ერთხელ სოსო რობაქიძემ
საომრად ირანს გასწია.
ის იბრძოდა ძლიერ მარჯვედ.
მან უმაღვე გაიმარჯვა.

მან არც ამინდს არ უყურა,
მას არც ჯარმა არ უმტყუნა.
ჩვენი სოსო რობაქიძე
გმირთა გმირი ვაუკაცია.

გზაზე გამოჩნდება გლეხის ქობი.

გ რ უ შ ე (ბავშვს). შუადღეა. ხალხი ამ დროს სადილობს. აბა, მოდი აქ
ბალახზე დავსხდეთ და დაველოდოთ, ვიდრე ჩვენი კეთილი გრუშე ერთ პა-
ტარა ტოლჩა რძეს გააჩენდეს. (ბავშვს მიწაზე სვამს და ქობის კარზე აკაკუ-
რებს. მოხუცი გლეხი უღებს კარს.) ერთ პატარა ტოლჩა რძეს ხომ ვერ მომ-
ცემ, პაპა, და შეიძლება ერთი მჭადის კვერიც გქონდეს?!

მ თ ხ უ ც ი. რძე? ჩვენ რძე ვინ მოგვცა! ქალაქიდან მოსულმა ბატონმა
ჯარისკაცებმა წაასხეს ჩვენი თხები. ბატონ ჯარისკაცებთან მიდი, თუ რძე
გინდა.

გ რ უ შ ე. კი, მაგრამ ერთი პაწაწკინტელა ტოლჩა მაინც გექნებათ კი-
დეგ. ბავშვისთვის მიინდა, პაპა.

მ თ ხ უ ც ი. მერედა, „ღმერთი გადაგიხდისო“ — ამის ფასად, არა?

გ რ უ შ ე. ადამიანო, ვინ გითხრა „ღმერთი გადაგიხდისო“? (საფულეს
იღებს.) ჩვენ თავადურად ვიცით ფულის გადახდა. პირს არ შევირცხვენთ.

გ ლ ე ხ ს ბუზღუნით გამოაქვს რძე.

რამდენი უნდა მოგცე მაგ ტოლჩაში?

მ თ ხ უ ც ი. სამი პიასტრი. რძე ასლა ძალიან ძვირია.

გ რ უ შ ე. სამი პიასტრი? ამ ერთ ყლუბში?

მოხუცი უსიტყვოდ ზედ ცხვირწინ მოუხურავს კარს.

მიხეილ, გაიგონე? სამი პიასტრი! არ შეიძლება ამის უფლება მივცეთ
ჩვენს თავს. (უკან ბრუნდება ბავშვთან, ჯდება და ძუძუს უღებს პირში.) მო-
დი ისევ ძველებურად ვცადოთ. მოსწოვე და თანაც სამ პიასტრზე იფიქრე!

ძიგ არაფერი, მაგრამ თავს მოიტყუებ და ებიჯ უკვე რამეს ნიშნავს. (ხედავს, რომ ბავშვი აღარა სწოვს და თავს იქნევს, მერე დგება, კართან მიდის და ისევ აკაკუნებს.) პაპა, გააღე კარი, ფულს მოგცემთ. (ხმადაბლა.) გაწყდეს შენი სინსილა!

მოხუცი კარს აღებს.

მე მეგონა, ნახევარ პიასტრზე .მეტი არ ეღირება-მეთქი, მაგრამ რას იზამ, ბავშვს ხომ რძე უნდა დავაღვიწიო. ერთ პიასტრს არ დასჯერდები?

მოხუცი. ორზე ნაკლები არ იქნება.

გრუშე. მოიცა, ისევე არ დახურო კარი. (დიდხანს იქექება საფულეში.) აჰანდო, ორი პიასტრი. ნუთუ რძე არ გაიაფდება, ჩვენ ჯერ კიდევ იმოდენა გზა გვიდევს წინ. ეს ხომ ყელის გამოჭრაა ჩვენთვის და შეცოდება ღმერთის წინაშე.

მოხუცი. ჯარისკაცები დახოცეთ, თუ რძე გინდათ გქონდეთ.

გრუშე (ასმევს ბავშვს). ძვირად კი გვიჯდება ეგ შენი ერთი ყელის ჩაკოკლოზინავება, მაგრამ დალიე, მიხეილ. ეს ჩემი ნახევარი კვირის ჯამაგირია. ამ ხალხს ჰგონია, რომ ჩვენ ფული უკანალითა გვაქვს ნაშოვნო. ეჰ, მიხეილ, მიხეილ, ეს რა ტვირთი აგიკიდე! (ფარჩის მოსასხამს ათვალიერებს, რომელშიც ბავშვია გამობვეული.) ათასპიასტრიან ფარჩის საბანში ხარ გამობვეული და რძისათვის კი ერთი პიასტრიც არ გაგვაჩნია. (სცენის სიღრმეში იხედება.) იქ კი, მაგალითად, მდიდარი ლტოლვილების ოთხთფალა დგას. მოდი ჩვენც იქ წავიდეთ.

ფუნდუკის წინ ორი ბანოვანი დგას. მათთან მიდის გრუშე, თავზე ფარჩის მოსასხამი ახვევია და ხელში ბავშვი უჭირავს.

ო, ალბათ ქალბატონებიც აქ აპირებენ ღამის გათევას. რა საშინელებაა, აქაურობა ყველგან ხალხით არის გაჭედოილი და თანაც ეკიპაუსაც ვერ იშოვი ადამიანი. ჩემმა მეეტლემ არც აცივა, არც აცხელა, ისე გატრიალდა უკან და მე მთელი ნახევარი ვერსის ფეხით გამოვლა მომიხდა. თანაც ფეხშიშველს! აფსუს, ჩემი ირანული მაშეები! იცით, აი მაღალქუსლებიანი იყო. ეჰ, რა ვუყოთ, ეგეც არაფერი, მაგრამ აქ მაინც რატომ არაფინ არ გამოიხედავს გარეთ?

ხანდაზმული ბანოვანი. მეფუნდუკე გვაცდევინებს. მას შემდეგ, რაც დედაქალაქში ეს ამბები დატრიალდა, ყველგან დაკარგეს ზრდილობა.

გამოდის მეფუნდუკე, ღირსებით აღსავსე გრძელწვერიანი ჭადარა მოხუცი, მას მოსდევს მოჯამაგირე.

მეფუნდუკე. მომიტევეთ მე, ბერიკაცს, რომ ამდენი ხანი გალოდინეთ, მანდილოსნებო, ჩემმა პატარა შვილიშვილმა აყვავებული ატმის ხე მან-

ვენა, აგერ იქ, ფერდობზე, სიმინდის ყანების მიღმა. იქ ხეხილი გვაქვს გაშენებული, რამდენიმე ძირი ალუბალი. უფრო იქით, დასავლეთით კი (უჩვენებს.) ნიადაგი ქვიანი ხდება და იქ გლეხები ცხვარს წაასხამენ ხოლმე. ნეტა განახათ აყვავებული ატმის ხე. რა ნატიფი ვარდისფერია მისი ყვავილი.

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი ბ ა ნ თ ვ ა ნ ი. ნაყოფიერი ველ-მინდვრები გქონიათ ირგვლივ.

მ ე ფ უ ნ დ უ კ ე. ღვთით კურთხეულნი. უფრო სამხრეთით როგორღაა საქმე, იქაც უკვე აყვავდებოდა ალბათ ხეხილი. თქვენ ხომ სამხრეთიდან მოდიხართ, არა, ქალბატონებო?

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ბ ა ნ თ ვ ა ნ ი. უნდა გამოვტყდე, რომ გზაში ყურადღებით არ ვათვალიერებდი სანახებს.

მ ე ფ უ ნ დ უ კ ე (ზრდილობიანად). მესმის, მტვერი იყო ალბათ. ჩვენს სამხედრო გზაზე სჯობია ნელა იმგზავრო, ოღონდ, რასაკვირველია, თუ არსად არ გეჩქარება.

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი ბ ა ნ თ ვ ა ნ ი. კარგად მოიხვიე ყელზე მერდინი, საყვარელო, თორემ აქ სადამოობით, ეტყობა, გრილი სით იცის.

მ ე ფ უ ნ დ უ კ ე. ეს სით იანგა-ტაუს მყინვარიდან უბერავს, ქალბატონებო.

გ რ უ შ ე. ჰო, მეშინია შვილი არ გამიცვიდეს.

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი ბ ა ნ თ ვ ა ნ ი. აი, საკმაოდ მოზრდილი ფუნდუკია. გინდათ შევიდეთ შიგ.

მ ე ფ უ ნ დ უ კ ე. ო, ქალბატონებს ოთახები სჭირდებათ? მაგრამ ვაი, რომ მთელი ფუნდუკი გაჭედილია, მანდილოსნებო, და მსახურებიც გაიქცე-გამოიქცნენ. პირდაპირ უნუგეშო მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი. ველარავის ველარ მივიღებ, სარეკომენდაციო წერილებითაც კი ვერა...

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ბ ა ნ თ ვ ა ნ ი. კარგი, მაგრამ ქუჩაში ხომ ვერ გავათევთ ღამეს?

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი ბ ა ნ თ ვ ა ნ ი (მშრალად). რა ეღირება?

მ ე ფ უ ნ დ უ კ ე. ქალბატონებო, თქვენ ალბათ გამიგებთ, რომ ასეთ დროს, როდესაც ამდენი ლტოლვილი, ამდენი უთუოდ ერთობ პატივისცემი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელისუფალთათვის მაინც არასასურველი პირი ეძებს თავშესაფარს, სასტუმროს პატრონს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. ამის გამო...

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი ბ ა ნ თ ვ ა ნ ი. ჩემო კარგო, ჩვენ ლტოლვილები არა ვართ. ჩვენ მთაში მივემგზავრებით, ჩვენს საზაფხულო რეზიდენციაში. ეს არის და ეს. ისე რომ იყოს საქმე, როგორც თქვენ გგონიათ, აზრადაც არ მოგვივიდოდა თქვენი სტუმართმოყვარეობით გვესარგებლა.

მ ე ფ უ ნ დ უ კ ე (თავს უქნევს თანხმობის ნიშნად). ეჭვიც არ მეპარება,

რომ ეს ასე იქნებოდა. მე მხოლოდ ის მაღონებს, რომ შეიძლება ის ერთადერთი პაწაწკინტელა ოთახი, რომელიც კიდევ დარჩა თავისუფალი, ქალბატონებს არ მოეწონოთ. სულზე სამოცი პიასტრი ეღირება. ქალბატონები ხომ ერთად ბრძანდებიან?

გ რ უ შ ე. ჰო, ასე ვთქვათ, მეც მჭირდება ღამის გასათევი ადგილი.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი. სამოცი პიასტრი! ეს ხომ ყელის გამოჭრაა!

მ ე ფ უ ნ დ უ კ ე (ცივად). ქალბატონებო, მე სრულებითაც არა მსურს ვინმეს ყელი გამოვჭრა, ამის გამო... (გატრიალდება წასასვლელად.)

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი. ასეთი ლაპარაკი რა საჭიროა. წამოდი. (შედის ფუნდუკში მოჯამაგირის თანხლებით.)

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი (სასოწარკვეთილი). ასოთხმოცი პიასტრი ერთ ოთახში! (გრუშეს გადახედავს.) თანაც ბავშვთან ერთად რა საშინელებაა! ტირილი რომ მორთოს, მერე?

მ ე ფ უ ნ დ უ კ ე. ოთახი ასოთხმოცი პიასტრი ღირს, გინდა ორი სული შევიდეს შიგნითა და გინდა სამი.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი (გრუშეს უკვე სულ სხვა კილოზე). მეორე მხრივ, ხომ არ შეიძლება ქუჩაში დაგტოვოთ, ჩემო კარგო, გთხოვთ, წამოხვიდეთ.

ყველანი ფუნდუკში შედიან. სცენის სიღრმეში მეორე მხრიდან გამოჩნდება მოჯამაგირე ბარგით ხელში, მას მოსდევს ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი.

მერე გამოჩნდება მეორე ბ ა ნ ო ვ ა ნ ი და გ რ უ შ ე ბავშვით ხელში. ასოთხმოცი პიასტრი! მე ეგრე იმის შემდეგ არ ხვდელგებულვარ, რაც ჩემი საყვარელი ზაალი მობრუნეს სახლში.

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი. აბა, აქ რა ზაალზე ლაპარაკის ადგილია!

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი. არა, ისე რომ ვთქვათ, ჩვენ ოთხი სული ვართ. ბავშვიც ხომ უნდა მივათვალოთ, ასე არ არის? (გრუშეს.) არ შეგიძლიათ ბავშვში ნახევარი ფასი მაინც გაიღოთ?

გ რ უ შ ე. ეს შეუძლებელია. იცით, სასწრაფოდ მომიხდა წამოსვლა და ადიუტანტს დაავიწყდა საკმარისი ფული მოეცა.

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი. თქვენ რა, არც სამოცი პიასტრი გაქვთ?

გ რ უ შ ე. არა, სამოცს გადავიხდი.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი. საწოლები სად არის?

მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე. საწოლები არ არის. აი, საბნები და ტომრები. თქვენ

თვითონ მოეწყვეთ როგორმე. უნდა გიხაროდეთ, რომ მიწაში არ გაწვენენ, როგორც სხვა მრავალი ჩააწვინეს. (გადის.)

ყმაწვილი ბანოვანი. გაიგონე? ახლავე მეფუნდუკესთან წავალ, რომ ცემით სული ამოხადოს მაგ უტიფარს.

ხანდაზმული ბანოვანი. როგორც შენს ქმარს ამოხადეს?

ყმაწვილი ბანოვანი. რა გულქვა ხარ! (ტირის.)

ხანდაზმული ბანოვანი. როგორ გავშალო ისე, რომ ცოტათი მაინც ლოგინს დაემსგავსოს?

გრუშე. ეგ ჩემზე იყო. (ბავშვს დაბლა სვამს.) როცა მარტო არა ხარ, ყოველთვის უფრო იოლად გახვალ ფონს. თანაც თქვენ ოთხთვალა გაქვთ. (თან იატაკს გვის.) ვერ წარმოიდგენთ, როგორი მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ამბები! „საყვარელო, — იცოდა ხოლმე თქმა ჩემმა ქმარმა სადილის წინ, — ცოტა ხანს კიდევ წამოწეპი, თორემ, ხომ იცი, ისევე აგიტყდება თავის ტკივილი“. (მოათრევს ტომრებს და შლის ლოგინს, ბანოვანი თვალს ადევნებენ მის საქმიანობას და თან ერთმანეთს უყურებენ.) „გიორგი, — ვეტყოდი ხოლმე გუბერნატორს, — როგორ წამოგწევე, როცა სამოც კაცს ველით სადილად. მსახურების იმედზე ხომ ვერ იქნები ადამიანი და თანაც მიხეილიც უჩემოდ არაფერს არ ჭამს“. (მიხეილს.) ხედავ, მიხეილ, როგორ გაიჩინა საქმე, ხომ გითხარი! (ანაზღეულად შენიშნავს, რომ ბანოვანი გაკვირვებულები ადევნებენ თვალს და თან რაღაცას ჩურჩულებენ.) ესეც ასე. ყოველ შემთხვევაში ცარიელ იატაკზე არ ვიწვებით. მე ორად გავკეცე საბნები.

ხანდაზმული ბანოვანი. ძალიან გაწაფული კი ყოფილხართ ლოგინის გაშლაში, ჩემო ძვირფასო. აბა, ერთი ხელები მაჩვენეთ!

გრუშე (შეშინებული). რა გინდათ მაგითი თქვათ?

ყმაწვილი ბანოვანი. ახლავე გვაჩვენეთ ხელები!

გრუშე აჩვენებს ბანოვანთ ხელებს.

ყმაწვილი ბანოვანი (ზეიმით). სულ გადატყავებული აქვს! მოახლე ყოფილა!

ხანდაზმული ბანოვანი (მიდის კართან და ყვირის). ეჰეი, მსახურნო!

ყმაწვილი ბანოვანი. ხო გაები, შე არამზადავ, ახლავე გამოტყდი, რა გქონდა განზრახული.

გრუშე (დაბნეული). რა უნდა მქონოდა განზრახული, მე ვფიქრობდი, იქნებ ოთხთვალათი წამიყვანონ-მეთქი. ცოტაოდენ მანძილს მაინც ფეხით აღარ გავივლიდი. ძალიანა გთხოვთ, აურზაურს ნუ ატეხავთ, მე თვითონ წავალ.

ყმაწვილი ბანოვანი (მაშინ როდესაც ხანდაზმული კვლავ

მსასურებს ეძახის). პო, წახვალ, მაგრამ პოლიციის თანხლებით. ჯერჯერობით კი აქ დარჩი, ფეხი არ მოიცივლო, გესმის!

გრუშე. კი, მაგრამ მე ხომ სამოცი პიასტრის გადახდა მინდოდა. (ურჩევნებს საფულეს.) თქვენ თვითონ ნახეთ, მე მაქვს ფული. აი, ოთხი ცალი ათპიასტრიანი და ესეც ერთი ხუთიანი, არა, ესეც ათიანია. ხედავთ, სულ სამოცია. მე მხოლოდ მინდოდა, რომ ოთხთვალაზე მომეთავსებინა ბავშვი. სიმართლე თუ გინდათ, ეს არის.

ყმაწვილი ბანოვანი. აჰ, მაშ შენ ოთხთვალაზე გინდოდა მოკალათებულებიყავი! ახლა ცხადია ყველაფერი.

გრუშე. მოწყალეო ქალბატონო, მე ვაღიარებ, რომ მდაბიო წარმოშობისა ვარ, ძალიან გთხოვთ, პოლიციას ნუ დაუძახებთ. ბავშვი მაღალ წოდებას ეკუთვნის, აი, ნახეთ როგორ საფენებშია გამოსვეული. ისიც ისეთივე ღვთაებურია, როგორც თქვენ.

ყმაწვილი ბანოვანი. ჰმ, მაღალი წოდების! ვიცით, ვიცით თქვენი ოინები. მამა ალბათ თავადი ჰყავს, არა?

გრუშე (გამწარებული ხანდაზმულ ბანოვანს). კარგი, რა გაყვირებთ! ნუთუ გული არა გაქვთ?

ყმაწვილი ბანოვანი (ხანდაზმულს). ფრთხილად იყავი, რამე არ აგიტეხოს. საშიშია. ვაიმე, გვიშველეთ! გვხოცავენ!

მოჯამაგირე (შემოდის). რა მოხდა?

ხანდაზმული ბანოვანი. ეს ქალბატონი შემოიპარა ჩვენთან, ბანოვნად ასაღებდა თავს, ეტყობა, ქურდია.

ყმაწვილი ბანოვანი. და თანაც საშიში, მაგას ჩვენი დახოცვა უნდოდა. ეს საქმე პოლიციამ უნდა გამოიძიოს. აჰ, ღმერთო, უკვე გგრძნობ, როგორ მიტყდება ისეგ ჩემი შაკიკი.

მოჯამაგირე. პოლიციას ამჟამად სად ნახავ. (გრუშეს.) აიკიდე შენი გუდა-ნაბადი, ჩემო დაო, და მოუსვი აქედან.

გრუშე (ბრაზმორეული იყვანს ბავშვს). თქვე არაადამიანებო, თქვენა! დაიცაო, თქვენ თავებსაც მიაღურსმავენ კედელზე.

მოჯამაგირე (გარეთ მიათრევს). ენა დააყენე, თორემ ბერიკაცი მოვა და იმას ხუმრობა არ უყვარს.

ხანდაზმული ბანოვანი (ყმაწვილს). ერთი ნახე, რამე ხომ არ მოიპარა უკვე.

მაშინ როდესაც ორივე ბანოვანი გაფაციცებით სინჯავს, რამე ხომ არ აკლია მათ ბარგს, მარცხნივ ჭიშკრიდან გადის მოჯამაგირე გრუშესთან ერთად.

მთჯამაგირე. განა არ იცი, რომ ჯერ უნდა დახედო, ვისთან გაქვს საქმე და მერე ისე ენდო? იცოდე, მომავალში ფრთხილად იყავი.

გრუშე. მე მეგონა, რომ თავიანთ თანასწორს უფრო ღირსეულად მოექცეოდნენ.

მთჯამაგირე. მაგის მეტი დარდი არა აქვთ! დამიჯერე, ზარმაც და უსარგებლო ადამიანად თავის გასაღებაზე ძნელი არაფერია. თუ მათ ეჭვი შეეპარათ, რომ სსხვას არ აწმენდინებ უკანალს, ანდა თუნდაც ცხოვრებაში ერთხელ საკუთარი ხელით გიმუშავია, მორჩა, ველარაფერი გიშველის. ერთ წამს დაიცა, მჭადსა და ორიოდე ვაშლს გამოგიტან.

გრუშე. არა, არ გინდა. უმჯობესია წავიდე, ვიდრე მეფუნდუკე მოვიდოდეს. თუ მთელი ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ ვივლი, მე მგონი, უკვე სამშვიდობოზე გავალ. (მიდის.)

მთჯამაგირე (ხმადაბლა მიაძახებს). მარჯვნივ გაუხვიე პირველსავე გზაჯვარედინზე.

გრუშე უჩინარდება.

მგოსანი.

გრუშე ვაჩნაძე ჩრდილოეთს რომ მიაშურებდა,
თავად ყაზბეგის აბჯროსანნი მისდევდნენ უკან.

მუსიკოსები.

ვით გაექცევა ფესშიშველი აბჯროსან მხეცებს,
სისხლისმსმელ ძაღლებს და საფანგის გულბოროტ დამგებთ?
დამლამობითაც კი სდევნიდნენ შეუსვენებლივ.
მათ არ უწყოდნენ, რა არის დაღლა.
ჯალათთა ძილი ხანმოკლე არის.

ორი აბჯროსანი მთალაჯებს სამხედრო გზაზე.

ეფრეიტორი. ოჰ, შე რეგვენო, შენა! შენგან ტყუილია არაფერი არ გამოვა. მერედა, რატომ? იმიტომ, რომ საქმეზე გული ისე არ შეგტკივა, როგორც საჭიროა. მეთაური ამას ყოველ წვრილმანზე ამჩნევს. გუშინწინ, როცა მე იმ სქელი ქალით ვიყავი გართული, მართალია, გეჭირა მისი ქმარი, როგორც გიბრძანე, და მუცელზედაც კი დააბიჯე ფესი, მაგრამ განა ამას ხალხით იქმოდნი, როგორც კარგ ჯარისკაცს შეეფერება, თუ მხოლოდ მორჩილება გინდოდა გამოგესატა? მე თვალყურს გადავნივლი, შე რეგვენო, შენა! არა, შენ ვერ დაწინაურდები, თავი ჩაღითა გაქვს გამოტენილი. (ერთხანს მდუმარედ განაგრძობენ გზას.) არ გეგონოს, ვერ ვამჩნევდე, რომ აღარ იცი, რა გააკეთო ჩემს საწინააღმდეგოდ. მე კოჭლობას გიკრძალავ, შენ კი მაინც

განგებ კოჭლობ. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ცხენები გაგყიდე, გაგყიდე კი იმიტომ, რომ ასეთ ფასს არსად არ მომცემდნენ. კოჭლობით გინდა მაგრძნობინო, რომ ფეხით სიარული არ გსიამოვნებს, კარგად გიცნობ. ასეთი მოქცევა არას გარგებს, პირიქით გავნებს. აბა, ერთი სიმღერა შემოგვახსოთ!

ო რ ი ვ ე ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი (მღერიან).

სალაშქროდ მივალ და იმას ვდარდობ,
რომ გულის სატრფო დავტოვე მარტო.
მისი ნამუსი ჩავაბარე სიყრმის მეგობრებს,
ვიდრე ომიდან ისევ სახლში დავბრუნდებოდე.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. უფრო ხმამაღლა!

ო რ ი ვ ე ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი (მღერიან უფრო ხმამაღლა).

სასაფლაოზე თუ ოდესმე ვიწვები მარტო,
მე ერთ პეშვ მიწას მომაყრის სატრფო.
იტყვის, აქ წვანან ის ფეხები, ჩემსკენ რომ რბოდნენ,
აქ კი მკლავები, ნეტარებით რომ მეხვეოდნენ.

ერთხანს კვლავ მღუმარედ განაგრძობენ გზას.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. კარგი ჯარისკაცი სულითა და გულით არის მოწადინებული, მეთაურის გულისთვის თავი ასო-ასოდ ააკუწინოს და უკვე ჩამქრალი თვალებით მაინც დაინახავს, როგორც დაუქნევს თავს მისი ეფრეიტორი მოწონების ნიშნად. ეს მისთვის საკმარისი ჯილდოა, მას სხვა არა უნდა რა, მაგრამ შენ კი არავინ დაგიქნევს თავს, ჩაძაღლებით კი, უთუოდ ჩაძაღლები. ჯვარო პატიოსანო, გამაგებინეთ ერთი, როგორ უნდა ვიპოვო ასეთი ხელქვეითის გადამკიდემ გუბერნატორის ნაბიჭვარი?

განაგრძობენ სვლას.

მ გ ო ს ა ნ ი.

როს მდინარემდე მიაღწია გრუშე ვაჩნაძემ,
ძლიერ უმძიმდა მას უკვე სრბოლა, ხელით უმწეო ბაღლის ტარება.

მ უ ს ი კ ო ს ე ბ ი.

სიმიინდის ყანებში ვარდისფერ განთიადს
მხოლოდ სიცივე მოაქვს დამენათევისათვის.
გლეხის ეზოში სარძევეთა მხიარულ ჟღარუნს
მუქარის მეტი სხვა რა მოაქვს ლტოლვილისათვის.
ის, ვისაც ხელში აყვანილი ჩვილი ყრმა მოჰყავს,
სიმძიმის გარდა, არ გრძნობს არაფერს.

გრუშე გლეხის კარ-მიდამოს წინ დგას. სქელ დედაკაცს სასლში შეაქვს რძით სავსე საწველელი. გრუშე იცდის, ვიდრე ქალი შიგნით შევიდოდეს, შემდეგ ფრთხილად უახლოვდება სახლს.

გრუშე. ეჰ, ისევ დაისველე, თითქო არ იცოდე, რომ მეტი საფენები არა მაქვს. მიხეილ, უნდა დავშორდეთ ერთმანეთს. ქალაქიდან უკვე საკმაოდ შორსა ვართ. შენისთანა მოცუცქნულს ასე შორს არ გამოედევნებიან. ამ გლეხის ქალს კეთილი სახე აქვს და თანაც გრძნობ, როგორ არის რძის სუნით გაუფენთილი აქაურობა? მაშ ასე, კარგად იყავი, მიხეილ. მე დაფიფიწყებ, როგორ მიცემდი მთელი ღამის განმავლობაში ფეხებს ზურგში, რათა კარგად მერბინა, ხოლო შენ კი დაიფიწყე, რომ ცუდად გკვებავდი. სამაგიეროდ, რასაც გაჭმევდი, სულითა და გულით მემეტებოდა შენთვის. დიდი სიამოვნებით დაგიტოვებდი კიდეც, აი მაგ პაჭუა ცხვირის გამო, მაგრამ არ შეიძლება. „აჩუ, აჩუ ცხენოს“ გათამაშებდი და გასწავლიდი გადაყენების მოთხოვნას, რომ საფენები აღარ დაგესველებინა ხოლმე, მაგრამ უკან უნდა გავტრიალდე, რადგან ჩემი მიჯნური სადაცაა უკან დაბრუნდება და განა იქ არ უნდა დავხვდე? ეს არ შეიძლება ჩემგან მოითხოვო, მიხეილ.

(კართან მივა ფეხაკრეფით და ბავშვს ზღურბლთან აწვენს, შემდეგ ხის უკან იმალება, იცდის, ვიდრე გლეხის ქალი კარს არ გამოადებს და საფენებში გამოსვეულ ბავშვს არ იპოვნის.)

გლეხის ქალი. ო, იესო, ამას რას ვხედავ! გარეთ გამოიხედე, კაცო! გლეხი (გამოდის). რა მოხდა? არ დამაცლი წვნიანი დაფხვრიპო?

გლეხის ქალი (ბავშვს). სად არი დედაშენი? არა გყავს განა? ბიჭია საწყალი. ნახე, როგორ ძვირფას საფენებშია გამოსვეული! ეტყობა კეთილშობილი წოდებისა უნდა იყოს. აიღეს და მოგვიგდეს კარზე. რა დროში ვცხოვრობთ!

გლეხი. თუ ჰგონიათ, რომ შევინახავთ, ვასმევთ და ვაჭმევთ, ძალიან შემცდარან. წაიყვანე სოფელში, მღვდელთან, მორჩა და გათავდა.

გლეხის ქალი. რა უნდა უყოს მერე მღვდელმა? ბავშვს დედა სჭირია. უყურე, იღვიძებს. მოდი ავიყვანოთ, ჰა, რას იტყვი?

გლეხი (ყვირილით). რასა და არა-მეთქი!

გლეხის ქალი. მე კუთხეში, სავარძლის გვერდით, მოვუწყობდი ლოგინს. მხოლოდ კალათი დამჭირდებოდა და როცა მინდორში წავიდოდი, თან წავიყვანდი. ხედავ, როგორ იცინის? კაცო, მადლობა ღმერთს, თავზე ჭერი გვხურავს და შეგვიძლია ეს კეთილი საქმე გავაკეთოთ. იცოდე, ხმა არ ამოიღო. (აიყვანს ბავშვს და შინ შედის. გლეხი უკან მისდევს, თან ხელებს ასავსავებს პროტესტის ნიშნად.)

გრუშე გამოდის სამალავიდან, გაიცინებს და საწინააღმდეგო მიმართულებით გაეშურება.

მ გ ო ს ა ნ ი.

რა გიხარია, ლტოლვილო ქალო?

მ უ ს ი კ ო ს ე ბ ი.

ის, რომ უმწეო ბაღღმა ახალ მშობლებს შესცინა,
ის, რომ საყვარელ ყრმისაგან
უკვე გავთავისუფლდი.

მ გ ო ს ა ნ ი.

დამწუხრებული რატომღა ჩანხარ?

მ უ ს ი კ ო ს ე ბ ი.

დამწუხრებული ვარ, რადგან დაგრჩი მე მთლად მართო
და ხელცარიელი,
ვით განწირული,
ვით განძარცვული.

მცირეთდენი მანძილის გავლას ვერ მოასწრებს გრუშე, რომ ორ აბჯრო-სანს გადაეყრება, რომელნიც შუბებით გადაულობავენ გზას.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. ქალიშვილო, შენ წინაშეა სამხედრო ხელისუფლება. გვითხარი, საიდან მოდიხარ? მტერთან კავშირი ხომ არა გაქვს გასაკიცხავი? სად არის იგი განლაგებული? რა მოძრაობებს ადასრულებს იგი შენს ზურგში? რა ბედი ეწიათ ბორცვებს, რა დაემართათ ხეობებს? კარგად არიან გამაგრებულნი შენი წინდები?

გრუშე შეშინებული დგას.

გრუშე. კარგად არიან. ის გირჩევნიათ, უკან დაიხიოთ.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. მე ყოველთვის უკნიდან ვუტევ. ამის იმედი გქონდეს. (ჯარისკაცს.) ბიჭო, რას მისჩერებინხარ შუბს? „ლაშქრობაში მყოფი ჯარისკაცი თავის შუბს ერთი წამითაც კი არ უნდა უშვებდეს ხელიდან“. ამას გვკარნახობს წესდება. ზეპირად ისწავლე, რეგენო! მაშ ასე, ქალიშვილო, აბა, გვითხარი, სად მიდიხარ?

გრუშე. ჩემს დანიშნულთან, ბატონო ჯარისკაცო, სიმონ ჩაჩავასთან, რომელიც ნუქაში მსახურობს სასახლის მცველად. იცოდეთ, თუ მივწერე, ძვალსა და რბილს ერთს გაგიხდით.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. სიმონ ჩაჩავა? მართალია, ვიცნობ ასეთს. მან გასაღები მომცა, რომ უამიდან უამზე გავსინჯო ხოლმე. რეგენო, ხომ ხედავ, რომ არ ვუყვარვართ. ამიტომ უნდა განვაცხადოთ, რომ პატიოსნური განზრახვები

გვამოძრავებს. ქალიშვილო, ჩემს სუმრობათა მიღმა სერიოზული ბუნების კაცი იმალება. ასე რომ, ოფიციალურად მოგახსენებ, შენგან ბავშვი მინდა.

გრუშე ხმადაბლა წამოიყვირებს.

ხედავ გაგვიგო, რეგვენო. ნეტარების თრთოლამ აგიტანა, არა? „ჯერ უნდა ნამცხვარი გამოვიღო ღუმელიდან, ბატონო ოფიცერო. ჯერ უნდა დახეული პერანგი გამოვიცვალო, ბატონო პოლკოვნიკო!“ სუმრობა იქით იყოს და შუბიც განზე გავწიოთ. ქალიშვილო, ჩვენ ერთ ბავშვს ვეძებთ ამ მხარეში. ხომ არ გაგიგონია რამე, ძვირფას საფენებში შესვეული, კეთილშობილი ბავშვის შესახებ, რომელიც უეცრად გაჩნდა აქ ქალაქიდან?

გრუშე. არა, არაფერი გამიგონია.

მგოსანი.

გაიქეც, ძვირფასო, მკვლევები მოდიან.

იხსენი უმწეო, თაფადაც უმწეოვ!

აი, ის უკვე აღგა და გარბის!

გრუშე უცბად შეტრიალდება და პანიკური შიშით მოცული გარბის უკან. აბჯროსნები ერთმანეთს გადახედავენ და ლანძღვით დაედევნებიან.

მუსიკოსები.

ყოვლად შემზარავ და სისხლიან დროებშიაც კი

შესვდები კაცი გულისხმიერ ადამიანებს.

გლეხის სახლი. სქელქალს ბავშვი კალათაში ჩაუწვენია და თავს დასტროილებს. უეცრად ოთახში გრუშე გაჩნდა შემოიჭრება.

გრუშე. სასწრაფოდ დამალე ბავშვი. აბჯროსნები მოდიან. ეგ მე დაგაწვინე თქვენ კარებწინ, მაგრამ ჩემი კი არ არის, მისი მშობლები მაღალი წოდებისანი არიან.

გლეხის ქალი. ვინ მოდის? რომელი აბჯროსნები?

გრუშე. ახლა ნურაფერს მკითხავ. აი, აბჯროსნები, რომლებიც მას ეძებენ.

გლეხის ქალი. ჩემს სახლში მათ არაფერი აქვთ საძებარი, მაგრამ შენთან კი, როგორც ჩანს, დამჭირდება ლაპარაკი.

გრუშე. გამოსხენ ძვირფასი საფენებიდან, თორემ ეგ გაგვცემს.

გლეხის ქალი. რას ჩააცივდი მაგ საფენებს. ამ სახლში მე ვარ უფროსი. აი, ესეც ახალი შარი! უკეთესია ის მითხრა, რატომ მომიგდე ეს ბავშვი, რატომ ჩაიდინე ცოდვა?

გრუშე (გარეთ იხედება). სადაცაა ხეების ტევრიდან გამოვლენ. არ უნდა გამოვქცეულიყავი, ამან საქმე უფრო გაამწვავა, რა უნდა ვქნა?

გლესის ქალი (ისიც იხედება გარეთ და ანაზდეულად ძალზე შეშინდება). დედაო ღვთისა, აბჯროსნები!

გრუშე. ბავშვს ეძებენ.

გლესის ქალი. მერედა, შინ რომ შემოვიდნენ?

გრუშე. არაფრის გულისათვის არ დაანებო. უთხარი ჩემია-თქო.

გლესის ქალი. კარგი.

გრუშე. იცოდე, შუბზე წამოაგებენ, როგორც კი ბავშვს მათ გადასცემ.

გლესის ქალი. მაგრამ, რომ მოითხოვონ, მერე? მთელი ფული, რაც მოსავალში ავიღე, შინა მაქვს.

გრუშე. როგორც კი ბავშვს დაანებებ, მაშინვე შუბზე წამოაგებენ, აქვე, შენს სახლში. უნდა უთხრა, ჩემი შვილია-თქო.

გლესის ქალი. კარგი, მაგრამ რომ არ დამიჯერონ?

გრუშე. დაგიჯერებენ, თუ მტკიცედ ეტყვი.

გლესის ქალი. ცეცხლს წაგვიკიდებენ. უსახლკაროდ დაგვტოვებენ.

გრუშე. სწორედ ამიტომ უნდა უთხრა, ჩემია-თქო, ბავშვს მიხეილი ჰქვია... აი, ეს კი არ უნდა მეთქვა შენთვის.

გლესის ქალი თავს აკანტურებს.

თავს ნუ აქნევ, ეგრე ნუ კანკალებ, თორემ მიხვდებიან.

გლესის ქალი. კარგი.

გრუშე. რა სულ „კარგის“ და „კარგის“ გაიძახი. აღარ შემიძლია მაგის მოსმენა. (შეანჯღრევს.) შენ თვითონ შვილები არა გყავს?

გლესის ქალი (სლუკუნით). ომშია.

გრუშე. მაშინ შეიძლება ისიც აბჯროსანია ახლა. ნუთუ ისიც შუბზე წამოაგებს ბავშვებს? შენ ხომ მაშინვე ლაგამს ამოსდებდი ძას? „ახლავე თავი ანებე შუბის ქნევას ჩემს სახლში, — ეტყოდი ძას, — განა მაგისათვის გაგზარდე? ჯერ პირი გამოირეცხე, ვიდრე დედაშენს დაელაპარაკებოდე!“

გლესის ქალი. მართალია, ჩემთან ის ასეთ რამეს ვერ გაბედავს.

გრუშე. პირობა მომეცი, რომ იტყვი ჩემია-თქო.

გლესის ქალი. კარგი, ვიტყვი.

გრუშე. აი, მოდიან კიდევ.

კარზე კაკუნი ისმის. ქალები არ უპასუხებენ. შემოდინ აბჯროსნები.

გლესის ქალი მდაბლად უკრავს თავს.

ეფრეითორი. აგერ, აქ არის, რას გეუბნებოდი? ისეთი ყნოსვა მაქვს რომ... ჩემი შეცდენა არ შეიძლება. ქალიშვილო, ერთი კითხვა მაქვს შენთან:

რატომ გამოიქეცი? რა იფიქრე, რა მინდოდა შენგან? სანამღვთოს ვდებ, რა-
ღაც უზნეო რამ გაივლე გულში, არა? გამოტყდი!

გ რ უ შ ე (მაშინ, როდესაც გლეხის ქალი განუწყვეტლივ თავს უკრავს
აბჯროსნებს). უცებ გამახსენდა, რომ რძე მქონდა შედგმული ცეცხლზე.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. მე კი მეგონა, იმიტომ გაიქეცი, რომ მოგეჩვენა, თით-
ქო რაღაც უზნეოდ შემოგხედე. აი ისე, თითქო რაღაცა მდომებოდეს. ხომ
გესმის, თითქო ხორციელი მზერით შემომეხედოს.

გ რ უ შ ე. არა, მაგდაგვარი რამ არ შემინიშნავს.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ასე ყოფილიყო, არა? ეს უნ-
და აღიარო, რომ შეიძლებოდა ღორი გამოვმდგარიყავი, აი, სრულიად გულ-
ახდილად გელაპარაკები: მე შეიძლება მართლაც რაღაც გამეველო გულში,
მარტონი რომ ვყოფილიყავით. (გლეხის ქალს.) ეზოში არაფერი საქმე არა
გაქვს? წადი, ქათმებს საკენკი დაუყარე.

გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი (მოულოდნელად მუხლებზე დაეცემა). ბატონო ჯა-
რისკაცო, მე არაფერი არ ვიცოდი. ცეცხლი არ წამიკიდოთ, უსახლკაროდ არ
დამტოვოთ!

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. რას ამბობ?

გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. მე არაფერ შუაში არა ვარ, ბატონო ჯარისკაცო. ეს
მაგან მომიგდო კარზე, გეფიცები.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი (შენიშნავს ბავშვს და გაკვირვებისაგან დაუსტვენს).
ბიჭოს, იმ კალათაში ხომ რაღაც პატარა წევს. რეგვენო, მე უკვე ათასი პიას-
ტრის სუნი მომდის, გაიყვა ეგ დედაბერი გარეთ და მაგრად გეჭიროს. რო-
გორც ვატყობ, დაკითხვის ჩატარება მომიხდება.

გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი უსიტყვოდ ემორჩილება აბჯროსანს და გარეთ
მიჰყვება.

მაშ, აი, ის ბავშვი, რომელსაც შენგან მოვითხოვდი. (კალათასთან მი-
დის.)

გ რ უ შ ე. ბატონო ოფიცერო, ეს ჩემი შვილია. ის არ არის, ვისაც
თქვენ ეძებთ.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. აბა, ერთი შევხედო. (დაიხრება კალათაზე. გრუშე სა-
სოწარკვეთილი იხედება აქეთ-იქით.)

გ რ უ შ ე. ჩემია, ჩემი!

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. ძვირფას საფენებშია გამოხვეული.

გ რ უ შ ე დაემკერება ეფრეიტორს, რათა კალათას მოაცილოს, მაგრამ ეფ-
რეიტორი განზე გაისვრის მას და ისევ კალათაზე დაიხრება. სასოწარკვეთი-
ლი გრუშე აქეთ-იქით იხედება და თვალს მოჰკრავს ვეება შეშის ნაჭერს,

უმაღ დასტაცებს ხელს, მოუღერებს ეფრეიტორს უკნიდან და ისე ძლიერად დასცხებს თავში, რომ ეფრეიტორი იქვე ჩაიკეცება. გრუშე აიყვანს ბავშვს და გარეთ გარბის.

მ გ ო ს ა ნ ი.

და გაურბოდა რა აბჯაროსანთ,
ოცდარი დღის ხეტიალის და ტანჯვის შემდეგ,
მყინვარ იანგა-ტაუს ძირას
გრუშე ვაჩნაძემ იშვილა ბავშვი.

მ უ ს ი კ ო ს ე ბ ი.

უმწეომ უმწეო იშვილა ბავშვი.

ნახევრად გაყინული ნაკადულის პირას ჩაცუცქებულა გ რ უ შ ე და პეშვით წყალს იღებს ბავშვისათვის.

გ რ უ შ ე.

რადგან შენი აყვანა
ქვეყნად არვის სურდა,
იცოდე, ჩემო ერთავ,
ჭირი თუ ლხინი ერთად
გავიაროთ უნდა.
ისე დიდხანს გატარე,
ისე გავიტანჯე,
ისე ძვირი ღირდა რძე,
რომ უშენოდ ვერ გავძლებ,
ჩემთან უნდა დარჩე.
ძვირფას პერანგს გაგხდი, რომ
ჩვრებში გაგახვიო.
გაგაბანებ, მოგნათლავ
მთის ნაკადში, რადგან მას
უნდა მიეჩვიო.

(გამოსხნის ძვირფასი საფენებიდან და ძონძებში ახვევს.)

მ გ ო ს ა ნ ი.

როს აბჯროსანთაგან დევნილი გრუშე ვაჩნაძე
მიადგა მყინვარზე გადებულ მსახვრალ ბეწვის ხიდს,
რომელზეც ფერდობს შეფენილი სოფლებისაკენ

ადმოსავლეთით მიმავალი გზა გადიოდა,
მან ბეწვის ხიდზე იმღერა და
ორი სიცოცხლე შეისროლა ბედის სასწორზე.

ქრის ქარი. ბინდბუნდში ჩანს მყინვარზე გადებული ბეწვის ხიდი, რომელსაც ერთ-ერთი ბაგირი გასწყვეტია და ამიტომ ნახევრად ჩაკიდული ქანაობს უფსკრულზე. ვაჭრები, ორი კაცი და ერთი ქალი, გაუბედავად დგანან ხიდის წინ. შემოდის გრუშე ბავშვით ხელში. კაცთაგან ერთ-ერთი ცდილობს ჭოკით დაიჭიროს გაწყვეტილი ბაგირის ბოლო.

პირველი ვაჭარი. ნუ ჩქარობ, ყმაწვილო ქალო, სულ ერთია, გაღმა მაინც ვერ გახვალ.

გრუშე. მე ჩემი პაწია ბაღლით უნდა უთუოდ გავადწიო ადმოსავლეთის მხარეს. იქ ჩემი ძმა ცხოვრობს.

ვაჭარი ქალი. ჰმ, უნდაო! რას ჰქვია, ქალო, „უნდა“! აი, მეც უნდა გავიდე გაღმა, ჩემო კარგო, ვინაიდან ორი ხალიჩა მაქვს საყიდელი ქალისაგან, რომელმაც უნდა გაყიდოს ისინი, რადგან ქმარი მოუკვდა, მაგრამ განა შემიძლია ის მოვიმოქმედო, რაც მიმაჩნია, რომ უნდა მოვიმოქმედო? ან განა იმ ქალს შეუძლია? აგერ ანდრო უკვე ორი საათია, რაც ეწვალემა და ვერ დაუჭერია გაწყვეტილი ბაგირის ბოლო, ან რომც დაიჭიროს, გეკითხები, როგორ უნდა დავამაგროთ?

გრუშე (ხმამაღლა). ხიდი არცთუ ისე დამპალი უნდა იყოს. მე მგონი, შეიძლება ვცადო გახვლა.

ვაჭარი ქალი. მაგას მაინც ვერ გავბედავდი, თუნდაც ეშმაკი მომდევდეს კვალდაკვალ. ეს ხომ თვითმკვლელობას უდრის.

პირველი ვაჭარი (ხმამაღლა გასძახებს). ეპეი!

გრუშე. ნუ ეძახი! (ვაჭარ ქალს). უთხარი, ნუ ეძახის.

პირველი ვაჭარი. კი, მაგრამ ქვევით ვიღაცა იძახის. შეიძლება გზა აებნა ვინმეს.

ვაჭარი ქალი. და ან რატომ არ უნდა გამოეხმაუროს? შენ რა, ცუდად ხომ არ არის შენი საქმე? შენ ხომ არ მოგდევენ?

გრუშე. ეჰ, რაც არის, არის, სიმართლე უნდა გითხრათ, აბჯროსნები მომდევენ. ერთ-ერთ მათგანს შეშის ნაჭერი ჩაუშვი თავში.

მეორე ვაჭარი. არიქა, საქონელი დამალეთ!

ვაჭარი ქალი ლოდის უკან მალავს ტომარას.

პირველი ვაჭარი. რატომ მაშინვე არ გვითხარი? (დანარჩენებს.) ახლა რომ ეს იმათ ხელში ჩაუვარდეთ, იცოდეთ, საკატლეტე სორცივით აკეპავენ.

გ რ უ შ ე. ჩამომეცალეთ გზიდან. ხიდზე უნდა გავიდე.

მ ე ო რ ე ვ ა ჭ ა რ ი. რას გახვალ, ორი ათასი ფუტის სიღრმე უფსკრულია.

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. მაშინაც კი, ჩვენ რომ გაწყვეტილი ბაგირი დაფიჭირით, ასეთი ცდა უაზრო იქნებოდა. ბაგირს ხელთ დაგიჭერდით, მაგრამ მაშინ ხომ ამნაირადვე აბჯროსნებიც შეძლებდნენ ხიდზე გამოსვლას.

გ რ უ შ ე. ჩამომეცალეთ!

ა ბ ჯ რ ო ს ა ნ თ ა ხ მ ე ბ ი (შორიდან). აგერ იქ, მაღლა!

ვ ა ჭ ა რ ი ქ ა ლ ი. უკვე საკმაოდ ახლოს არიან. მაგრამ ხიდზე ბავშვის გაყვანა არ შეიძლება, უთუოდ ფეხქვეშ გამოგეცლებათ, აბა ერთი, ქვევით გადაიხედე!

გრუშე უფსკრულში იხედება. ქვევიდან ისევ აბჯროსანთა შეძახილები მოისმის.

მ ე ო რ ე ვ ა ჭ ა რ ი. ორი ათასი ფუტის სიღრმეა.

გ რ უ შ ე. ჰო, მაგრამ ჩემი მდეგრები კიდევ უფრო საშიშნი არიან.

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. ბავშვთან ერთად მაინც არ შეიძლება ასეთი რამის გაბედავა. თუ გინდა, შენი სიცოცხლე გასწირე, რახან მოგდევნენ, მაგრამ ბავშვს რას ემართლები?

მ ე ო რ ე ვ ა ჭ ა რ ი. თანაც ბავშვთან ერთად ხომ უფრო მძიმე იქნება.

ვ ა ჭ ა რ ი ქ ა ლ ი. იქნებ მართლაც ურჩევნია, რომ გადავიდეს? მომეცი ბავშვი, მე დავმაღავ. შენ კი მარტო გადი ხიდზე.

გ რ უ შ ე. არა, ბავშვს ვერავის ვერ დავანებებ. (ბავშვს.) ან ერთად დავიღუპოთ, ან ერთად გადავრჩეთ.

შვილო, ღრმაა უფსკრული,
ბეწვის ხიდი ძალაღი;
უნდა განვლო ვერანი,
რადგან ჩვენს ხელთ არ არის
ჩვენი გზის არჩევანი.
შენც იმავე გზით ივლი,
მე რომ მქანცავს სიშორით;
შენც იმავე პურს შეჭამ,
რომელსაც მე ვიშოვი.
ერთ ლუკმას, თუ მე შევჭამ,
სამი შენი იქნება,
თუმცა მათი სიდიდე,
შვილო, მეც მეფიქრება.

გ რ უ შ ე. ვცდი.

ვ ა ჭ ა რ ი ქ ა ლ ი. ღმერთს ნუ სცოდნავ.

ქვევიდან შეძახილები მოისმის.

გ რ უ შ ე. გეგედრებით ჭოკი გადააგდეთ, თორემ ბაგირს მოიწოდებენ და უკან დამედევნებიან. (ფეხს დგამს ხიდზე, რომელიც თითქოს საცაა უნდა ჩაინგრეს. ვაჭარი ქალი დაიკივლებს, მაგრამ გრუშე გაივლის ხიდს და მშვიდობით აღწევს გაღმა ნაპირს.)

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. უკვე გაღმაა.

ვ ა ჭ ა რ ი ქ ა ლ ი (მუხლებზე იყო დაჩოქილი და ლოცულობდა, გაჯავრებით). მაინც ეს მისგან შეცოდება იყო.

გამოჩნდებიან ა ბ ჯ რ თ ს ნ ე ბ ი. ეფრეიტორს თავი შესვეული აქვს.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. აქ ბავშვიანი ქალი ხომ არ დაგინახავთ?

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ჭ ა რ ი (მაშინ, როდესაც მეორე ვაჭარი ჭოკს აგდებს უფსკრულში). კი, აგერ, გაღმა ივაფიდა. თქვენ კი ვერ გაგიძლებთ ხიდი.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. რეგვენო, მაგას გაზღვევინებ, დამაცა.

გ რ უ შ ე გაღმა მხარეს დგას, სიცილით ანახვებს აბჯროსნებს ბავშვს და მერე გზას განაგრძობს. ხიდი უკან რჩება. ქარი ქრის.

გ რ უ შ ე (მიხეილისაკენ მიაბრუნებს თავს). ქარისა არასოდეს არ შეგეშინდეს. ისიც შავ დღეშია. ნაგაზივით მიერეკება ღრუბლებს და ყველაზე ძალიან თვითონვე ითოშება.

ბარდნის.

და თოვლიც, მიხეილ, ყველაზე საშინელი რამ როდია. მან მხოლოდ პატარა ფიჭვები უნდა დაფაროს, რათა ზამთარში არ დაიდუპონ. მოდი რამეს გიმღერებ. აბა, ყური დამიგდე (მღერის.)

მამაშენი ყაჩაღია,
დედაშენი კახპა არი,
შენ წინაშე კი თავს დახრის
სათნოცა და ქედმაღალიც,
შმაგი ფეფხვის ნაშიერი
თმობს და კვიცებს არ იმეტებს.
ხოლო გველის წიწილი კი
რძეს მიუტანს მშვიდ დედებს.

ჩ რ ღ ი ლ ო მ თ ი ს მ თ ე ბ შ ი

მ გ ო ს ა ნ ი.

და შვიდი დღე-ღამე იარა გზაში,
 მყინვარს გადასცდა და ფრიალო ფერდობებს დაჰყვა.
 — როცა ჩემი ძმის სახლში მივალ, — ფიქრობდა იგი, —
 ძმა მაგიდიდან ადგება და გადამეხვევა.
 — შენა ხარ, დო? — მიეტყვის მე იგი. —
 დიდი ხანია, რაც უკვე გიცდი. აი, ეს ჩემი ძვირფასი ცოლი
 და ესეც ჩემი კარ-მიდამო, მისი მზითვევი,
 თერთმეტი ცხენი და ეს ოცდათერთმეტი ძროხა.
 ბავშვით მაგიდას მიუჯექ და შეჭამე რამე.
 ძმის სახლი ტურფა ხეობაში მდებარეობდა.
 როცა და თავის ძმასთან მივიდა, სიარულისაგან ავადლა იყო.
 აი, წამოდგა ძმა მაგიდიდან.

ჩასუქებული გლეხი ცოლ-ქმარი ეს-ეს არის შემოსხდომია მაგიდას.
 ლავრენტი ვაჩნაძე ჭამის დაწყებას აპირებს, მაგრამ ამ დროს შემო-
 ჯის გრუშე ბავშვით ხელში, მოჯამაგირის ხელზე დაყრდნობილი
 და ძალზე გაფითრებული.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. საიდან მოდიხარ, გრუშე?

გ რ უ შ ე (მისუსტებული ხმით). მე იანგა-ტაუს მყინვარზე გადმოვედი,
 ლავრენტი.

მოჯამაგირე. სათიფესთან დაგდებული ვნახე, პატარა ბავშვი ჰყავს თან.

რძალი. წადი და ზერღაგი გაწმინდე. (მოჯამაგირე გადის.)

ლავრენტი. ეს ჩემი ცოლია, ანიკო.

რძალი. ჩვენ გვეგონა, ნუქაში მსახურობდი.

გრუშე (ფეხზე ძლივსა დგას). ჰო, იქ ვიყავი.

რძალი. რა, შენი სამსახური არ ვარგოდა? ჩვენ ისე გვქონდა განაგონი, რომ ძალიან კარგი იყო.

გრუშე. გუბერნატორი მოკლეს.

ლავრენტი. ჰო, იქ დიდი ამბები ყოფილა. შენმა მამიდამაც გვიამბო, გახსოვს, ანიკო?

რძალი. ჩვენთან სრული სიწყნარეა. ეს ქალაქელებს უნდა აუტყდეთ ხოლმე მუდამ რაღაც. (კართან მივა და გასძახებს). სოსო, სოსო, ჯერ არ ამოიღო კეციდან მჭადი. გესმის? სად დაიკარგე? (გადის.)

ლავრენტი (ხმადაბლა, ნაჩქარევად). მამა თუ ჰყავს მაგ ბავშვს?

გრუშე უარის ნიშნად თავს გააქნევს.

ასეც ვფიქრობდი, უნდა რაზე მოვიგონოთ, თორემ ჩემი ცოლი სათნოების განსახიერებაა.

რძალი (უკან დაბრუნდება). ეჰ, ეს მოჯამაგირეები! (გრუშეს.) შენ რა, ბავშვი გყავს?

გრუშე. ჰო, ჩემია. (ჩაიკეცება, ლავრენტი ფეხზე წამოაყენებს.)

რძალი. ღმერთო ძლიერო, მაგას რაღაც საღმობა აქვს, რა უნდა ვქნათ?

ლავრენტის უნდა გრუშე კერასთან მდგარ სკამლოგინთან მიიყვანოს, აღშფოთებული ანიკო ხელებით ანიშნებს, არაო და კედელთან დაგდებულ ტომარაზე მიუთითებს.

ლავრენტი (გრუშე კედელთან მიჰყავს). დაჯექი, დაჯექი, სისუსტისაგან მოგდის.

რძალი. ნეტა ქუნთრუშა მაინც არ იყოს!

ლავრენტი. მაშინ გამონაყარი ექნებოდა. არხეინად იყავი, დასუსტებულია და სხვა არაფერი. (გრუშეს.) როცა დაჯექი, უკეთ გახდი, ხომ მართალია?

რძალი. ბავშვი მაგისია?

გრუშე. ჰო, ჩემია.

ლავრენტი. ქმართან მიმავალს გამოუგლია ჩვენთან.

რძალი. მაშ, ასე, ხორცი გაგიციფდა.

ლავრენტი მაგიდას მიუჯდება და ჭამას იწყებს.

შენთვის არ შეიძლება ციფრი საჭმლის ჭამა, ცხიმი უკვე ფაიფინებოდა, სომ იცი, კუჭი არ გივარგა. (გრუშეს.) შენი ქმარი ქალაქში არ არის? მაშ, სადაა?

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. ამ მთას იქით გათხოვილა, როგორც ამბობს.

რ ძ ა ლ ი. მაშ, ასე. ამ მთას იქით. (თვითონაც მაგიდას მიუჯდება.)

გ რ უ შ ე. ნეტა სადმე დამაწვევდეთ როგორმე, ლავრენტი.

რ ძ ა ლ ი (განაგრძობს დაკითხვას). ჭლექი რომ გამოდგეს, ყველას გა-
დაგვედება. ქმარს ადგილ-მამული აქვს?

გ რ უ შ ე. ის ჯარისკაცია.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. მაგრამ მამისაგან პატარა კარ-მიდამო რგებია.

რ ძ ა ლ ი. განა ის ომში არ არის? რატომ არ არის ომში?

გ რ უ შ ე (თავს ძალას ატანს). როგორ არა, ომშია.

რ ძ ა ლ ი. მერე რატომღა მიდიხარ მის მამულში?

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. როცა ამის ქმარი ომიდან დაბრუნდება, ისიც თავის სო-
ფელში ჩავა.

რ ძ ა ლ ი. შენ კი უკვე ახლავე მიდიხარ იქა?

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. ჰო, იქ უნდა დაელოდოს.

რ ძ ა ლ ი (გამყინავი ხმით დაიყვირებს). ბიჭო სოსო, მჭადს მიხედე!

გ რ უ შ ე (სიცხისაგან აბოლებს). ადგილ-მამული, ჯარისკაცი. უნდა და-
ველოდო. დაჯექი, ჭამე.

რ ძ ა ლ ი. ეს ქუნთრუშაა.

გ რ უ შ ე (ზეზე წამოვარდება). ჰო, ადგილ-მამული აქვს.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. მე კი მგონია, გადაღლისაგან არის ეგრე, ანიკო. წადი,
მჭადს მიხედე, საყვარელო.

რ ძ ა ლ ი. მერე როდის დაბრუნდება მაგისი ქმარი, თუკი, როგორც ამ-
ბობენ, ომი ხელახლა გაჩაღდა? (ყვირილით მიბაჯბაჯდება კართან.) სოსო,
სად დაიკარგე, სოსო! (გადის.)

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი (სწრაფად წამოდგება და გრუშესთან მიდის). ახლავე და-
გაწვევთ ლოგინში. საკუჭნაოში მოგათავსებთ. ჩემს ცოლს კეთილი გული
აქვს, მაგრამ მხოლოდ ჭამის შემდეგ.

გ რ უ შ ე (ბავშვს გაუწვდის). აჰა, გამომართვი!

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი აიყვანს ბავშვს და აქეთ-იქით იხედება.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. მაგრამ დიდხანს ვერ დარჩებით აქ. იცოდე, ჩემი ცო-
ლი სათნოების განსახიერებაა.

გრუშე ლამის წაიქცეს, ძმა დაიჭერს.

მ გ ო ს ა ნ ი.

და ერთობ ავად იყო და მაშინ

მხდალი ძმა იძულებული გახდა თავშესაფარი მიეცა მისთვის.

გავიდა შემოდგომა, დადგა ზამთარი.
ზამთარი ხანგრძლივი იყო.
ზამთარი ხანმოკლე იყო.
ხალხი ვერაფერს ვერ გაიგებდა,
თავგები კბენას ვერ გაბუღავდნენ,
გაზაფხული რომ არ დამდგარიყო.

გრუშე საკუჭნაოშია, საქსოვ დაზგას უზის. ისა და ბავშვი, რომელიც იატაკზე
ზის, საბნებში არიან შეფუთვნილნი.

გრუშე (ქსოვს და თან მღერის).

ლაშქრად მიჰყავდათ სატრფო გულისა,
სასძლო მუდარით მისდევდა უკან,
ტირილითა და ხვეწნა-მუდარით,
ტირილითა და დარიგებებით,
— ჩემო ძვირფასო, ჩემო ძვირფასო,
თუკი შენ ახლა ომში მიდიხარ,
თუკი შენ ახლა მტერს შეებმები,
ომში სხვებზე წინ ნუ გაიჭრები,
ნურც ბრძოლის უკან ნუ მოექცევი.
წინ აღისფერი ცეცხლი გიზგიზებს,
უკან წითელი გუბდება კვამლი.
ბრძოლის შუაში იყავ ყოველთვის,
შენ მედროშესთან იყავ ყოველთვის,
პირველნი მუდამ იხოცებიან,
უკანასკნელთაც სიკვდილი ელით,
ვინც შუაშია, უვნებელი ბრუნდება სახლში.

მიხეილ, ეშმაკობა უნდა ვიხმაროთ. თუ ფურნის ჭიებივით ვიქნებით გა-
სუსულნი, რძალს დაავიწყდება, რომ მის სახლში ვიმყოფებით. მაშინ იქამდე
შეგვეძლება აქ დარჩენა, ვიდრე თოვლი დნობას დაიწყებდეს. აი, ნურც ტირიხარ
სიცივისაგან. როცა ღარიბი ხარ და თან გცივა კიდევ, მაშინ არავის უყვარ-
ხარ.

შემოდის ლავრენტი და დის გვერდით ჯდება.

ლავრენტი. რატომა ზისხართ ეგრე მეეტლეებივით შეფუთვნილები?
იქნებ ძალიან ცივა საკუჭნაოში?

გრუშე (სწრაფად გადაიძრობს საბანს). არა, არ ცივა, ლავრენტი.

ლავრენტი. ძალიან რომ ციოდეს, მაშინ ბავშვთან ერთად შენი აქ

დარჩენა შეუძლებელი იქნებოდა, ანიკო საყვედურებით აიკლებდა თავის თავს.

პაუზა.

იმედია, ხუცესი ბავშვზე არას შეგეკითხა.

გრუშე. შემეკითხა, მაგრამ არაფერი არ ვუთხარი.

ლაგრენტი. ძალიან კარგი. მე მინდოდა შენთან ანიკოზე მელაპარაკა. კეთილი გულისაა, თღონდ ძალიან, ძალიან ფაქიზი და მგრძობიარეა. ხალხს ჯერ არავის არაფერი ცუდი არ უთქვამს სოლმე ჩვენს ოჯახზე და მას უკვე წინასწარ ეშინია. იცი, ძალიან ღრმად განიცდის ყველაფერს. ერთხელ მენახირე გოგოს ეკლესიაში დახეული წინდები ეცვა. მას შემდეგ ჩემი საყვარელი ანიკო ორ-ორ წყვილ წინდას იცვამს სოლმე, როცა ეკლესიაში მიდის. დაუჯერებელია, მაგრამ ძველი ოჯახიდანაა და სომ იცი (ყურს უგდებს.) დარწმუნებული ხარ, რომ აქ ვირთაგვები არ არიან? მაშინ თქვენი აქ ცხოვრება არ შეიძლება. (სახურავიდან ჩამოღვენილი წვეთების მაგვარი ხმა ისმის). რა, წვეთავს?

გრუშე. ალბათ კასრს თუ ვასდის. სალტე მოეშვებოდა.

ლაგრენტი. ჰო, კასრი უნდა იყოს. უკვე ნახევარი წელია, რაც აქა ხარ, არა? მართლა, რას გეუბნებოდი? ჰო, ანიკოზე. მე, რასაკვირველია, არაფერი არ მითქვამს, რომ აბჯროსანს შეშის ნაჭერი დაარტყი. სუსტი გულის პატრონია და გაუფრთხილდი. ამიტომ არ იცის, რომ არ შეგიძლია შენთვის ადგილი გამონახო, ჰოდა, ამის გამო გუშინ ბუზღუნებდა.

კვლავ ისმის, როგორ იღვენიება გამდნარი თოვლის წვეთები.

დაიჯერებ, შენს ჯარისკაცზედაც კი ზრუნავს. „ქმარი რომ დაბრუნდეს და ეგ იქ არ დახვდეს, მერეო?“ — ამბობს და ძილი უფრთხება. გაზაფხულამდე ვერ დაბრუნდება-მეთქი, — ვეუბნები. რა კეთილი გულისაა!

წვეთები უფრო სწრაფად ცვივა.

შენ როგორ გგონია, როდის დაბრუნდება?

გრუშე ღუმს.

ვგონებ, გაზაფხულზე ადრე არა, შენც სომ ასე ფიქრობ?

გრუშე ღუმს.

როგორც ვხედავ, შენ თვითონ არ გჯერა, რომ უკან დაბრუნდება.

გრუშე არაფერს არ ამბობს.

ჰოდა, როცა გაზაფხული დადგება და ჩვენთან უღელტეხილებზე თოვლი გადნება, შენი აქ დარჩენა აღარ შეიძლება, რადგან მაშინ შეუძლიათ აქაც მოგძებნონ და ხალხი კი უკვე ლაპარაკობს უკანონო შვილზე.

ახლა კი უკვე განუწყვეტლივ და უფრო ხშირად ცვივა წვეთები.

გრუშე, ეს თოვლი დნება სახურავზე და, მაშასადამე, გაზაფხული კარზე მოგვდგომია.

გრუშე. ჰო.

ლაგრენტი (მხიარულად). ყური დამიგდე. აი, როგორ უნდა მოვიქცეთ. შენ თავშესაფარი გჭირდება და ვინაიდან ბავშვიც გყავს (ამოიოხრებს.) ქმარიც, რათა ხალხი არ აალაპარაკო. მე ჩუმად მივიკითხ-მოვიკითხე და იცი, გრუშე, საქმრო გიშოგე. მე ველაპარაკე ერთ ქალს, რომელსაც ვაჟი ჰყავს და აქვე, მთის გადაღმა, პატარა კარ-მიდამოც აქვს. ის თანახმაა.

გრუშე. მაგრამ მე რომ არ შემიძლია სხვა კაცს ვაფყვე ცოლად, მე სიმონ ჩაჩავას უნდა დაველოდო.

ლაგრენტი. რა თქმა უნდა, ყველაფერი წინასწარ არის მოფიქრებული. შენ ქმარი ქალაღზე გჭირდება და არა ლოგინში. მეც სწორედ ასეთი გიშოგე. იმ გლეხის ქალს, რომელსაც შევუთანხმდი, ვაჟი მომაკვდავი ჰყავს. როგორია, ჰა? სადსცხა სული ამოუვა. და თანაც ყველაფერი ისეა, როგორც ვამბობდი, ქმარი ამ მთის გადაღმა ჰყავსო! შენ მიხვალ მასთან, ის სულს დალევს და შენც დაქვრივდები. ჰა, რას იტყვი?

გრუშე. მე ალბათ მისხეილისათვის ბეჭდიანი ქალაღი დამჭირდება.

ლაგრენტი. ბეჭედს ყველაფერი შეუძლია. ქალაღზე დაწერილი მოწმობის გარეშე ალბათ სპარსეთის შაჰიც ვერ დაამტკიცებდა, რომ ნამდვილად შაჰის და თანაც თავშესაფარი გექნება.

გრუშე. მერე რამდენად კისრულობს ამას ის ქალი?

ლაგრენტი. ოთხას პიასტრად.

გრუშე. მერე საიდანა გაქვს ამდენი ფული?

ლაგრენტი (დამნაშავის სახით). რძეში აიღო ანიკომ.

გრუშე. ჩვენ იქ არავინ გვიცნობს. თანახმა ვარ.

ლაგრენტი (წამოდგება). მაშინ ახლავე შევატყობინებ იმ ქალს.

(სწრაფად გადის.)

გრუშე. მიხეილ, ხომ ხედავ, რამდენ დავიდაზრბას გადამიკიდე. მე ისე მოგვევლინე, როგორც მსხლის ხე ბელურებს. ასეა მარად: ჭეშმარიტი ქრისტიანი ყოველთვის დაიხრება და აიღებს ძირს დაგდებულ პურის ქერქს, რათა

უქმად არაფერი არ დაიკარგოს. მიხეილ, ისა სჯობდა, რომ იმ აღდგომა დღეს რაც შეიძლება მალე წამოვსულიყავი ნუქიდან. ახლა კი გაბრიყვებული დავრჩი.

მ გ თ ს ა ნ ი.

ნეფე სიკვდილის სარეცელზე იწვა, როდესაც სასძლო მოვიდა.

ნეფეს დედა კი კარებწინ იდგა და აჩქარებდა ცერემონიას.

ჩვილი ყრმა მოჰყვა თან პატარძალსა. ქორწინების დროს

მაჭანკალმა დამალა იგი.

შუაში გადატიხრული ოთახი. ცალ მხარეს საწოლი დგას. გამჭვირვალე ფარდის მიღმა გაუნძრევლად წევს მძიმედ ა ვ ა დ მ ყ თ ფ ი კ ა ც ი. მეორე მხარეს შემოვარდება დ ე დ ა მ თ ი ლ ი, თან ხელით გ რ უ შ ე ს მოათრევს. უკან ლ ა ვ რ ე ნ ტ ი მოსდევთ ბ ა ვ შ ვ ი თ ხელში.

დ ე დ ა მ თ ი ლ ი. ჩქარა, ჩქარა, თორემ ჯვრისწერამდე თქვენს ჭირს წაიღებს. (ლაგრენტის.) მაგრამ ამას რომ ბავშვი ჰყოლია, შენ კრინტი არ დაგიძრავს.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. მერედა, განა სულ ერთი არ არის? (მომაკვდავზე მიუთითებს.) მაგის მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?

დ ე დ ა მ თ ი ლ ი. მაგისათვის კი, მაგრამ მე ამ შერცხვენას ვერ გადავიტან. ჩვენ პატივცემული სალხი ვართ. (ტირილს იწყებს.) რა გასჭირებია ჩემს იოსებს ისეთი, რომ ბავშვიანი ქალი შეირთოს?

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. კარგი, თრახ პიასტრს დაგიმატებ. ესეც ხელწერილი, რომ კარ-მიდამო შენზე გადმოვა, მაგრამ ამას უფლება აქვს ორი წლის განმავლობაში აქ იცხოვროს.

დ ე დ ა მ თ ი ლ ი (ცრემლებს იმშრალებს). მთელი ეს ფული დასაფლავებასაც არ ეყოფა. იმედია, მუშაობაში მაინც მხარში ამომიდგება. ნეტავი ბერი რაღა იქნა? ნამდვილად სამხარეულოს კარიდან გადაძვრა და გამეპარა. ახლა მთელი სოფელი ჩვენ დაგვედება, როგორც კი ყურს მოჰკრავენ, რომ იოსები სულსა ლევს. აჰ, ღმერთო! წავალ და მოვიყვან ბერს, ოღონდ ბავშვი არ დაანახსოთ.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. მაგაზე მე ვიზრუნებ. მაგრამ რაღა მაინცდამაინც ბერი და მღვდელი არა?

დ ე დ ა მ თ ი ლ ი. ვითომ ბერი რითია ნაკლები? ოღონდ ერთი შეცდომა მომივიდა, გასამრჯელოს ნახევარი ჯვრისწერის წინ არ უნდა მიმეცა, რომ სამიკიტნოში არ გამეპარვოდა, მაგრამ იმედია... (გარბის.)

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. მღვდლისათვის არ დაუძახია მაგ გაჭირვებულს, ძვირი დამიჯდებო და ბერს გარიგებია იაფად.

გ რ უ შ ე. თუ სიმონ ჩაჩავა მაინც გამოჩნდა, ჩემთან გამოგზავნე.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. კარგი. (ავადმყოფზე მიუთითებს.) არ გინდა, ერთი მაინც შეხედო?

გრუშე მიხეილს იყვანს ხელში და თავს აქნევს უარყოფის ნიშნად.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი. აღარც კი ინძრევა. იმედია, გვიან არ მოვსულვართ. (ყურს უგდებენ.)

მეორე მხრიდან შემოდის მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი, აქეთ-იქით იხედებიან და კედლების გასწვრივ დგებიან. მერე ხმადაბლა იწყებენ ლოცვანის დუდუნს. შემოდის დ ე დ ა მ თ ი ლ ი ბ ე რ თ ა ნ ერთად.

დ ე დ ა მ თ ი ლ ი (პირკატა ეცემა სტუმრების დანახვაზე და ბერს მიმართავს). აი, ხომ ხედავ. (თავს დაუკრავს სტუმრებს.) გთხოვთ ერთი წაბით მოითმინოთ. ჩემი ვაჟის სასძლო ჩამოვიდა ქალაქიდან და სასწრაფოდ ჯვარს დაიწერენ. (ბერთან ერთად ავადმყოფთან გადის.) ეგრეც ვიცოდი, რომ ენაზე არ დაგადგებოდა. (გრუშეს.) ახლავე შეგიძლიათ ჯვარი დაიწეროთ. აი, საბუთი. მე და სასძლოს ძმა... (ამასობაში ლავრენტი გრუშეს ხელიდან ართმევს მიხეილს და ცდილობს სცენის სიღრმეში მიიმალოს. დედამთილი ანიშნებს, რომ არ გამოჩნდეს ბავშვით ხელში.) მე და სასძლოს ძმა მოწმეები ვართ. (გრუშე თავყვანსა სცუმს ბერს. ისინი მიდიან ავადმყოფის სარეცელთან. დედამთილი ფარდას გადასწევს. ბერი საქორწინო ლოცვანს მოჰყვება გაბმით. ლავრენტის, რათა როგორმე გაართოს ბავშვი, რომელიც ატირებას აპირებს, უნდა საქორწინო ცერემონიალი დაანახოს. დედამთილი კი გამუდმებით ანიშნებს, ბავშვი ვინმეს გადაეცით. გრუშე ერთხელ გადახედავს ბავშვს და ლავრენტი ბავშვის ხელს დაუქნევს მას.)

ბ ე რ ი. თანახმა ხარ, იყო შენი ქმრის ერთგული, გამგონე და კეთილი მეუღლე და ეკუთვნოდე მას, ვიდრე სიკვდილი არ გაგყრიოთ?

გ რ უ შ ე (თან ბავშვს უყურებს). კი.

ბ ე რ ი (მომაკვდავს). და შენც თანახმა ხარ, იყო კეთილი, მზრუნველი ქმარი შენი ცოლისა, ვიდრე სიკვდილი არ გაგყრიოთ? (რადგან მომაკვდავი არ პასუხობს, ბერი გაიმეორებს თავის შეკითხვას და შემდეგ უხერხულად უკან მოიხედავს.)

დ ე დ ა მ თ ი ლ ი. რასაკვირველია, თანახმაა. ვერ გაიგონე, „ჰო“ როგორ გითხრა?

ბ ე რ ი. ძალიან კარგი. თქვენ დაქორწინებული ხართ. უკანასკნელი მირონცხების საქმე როგორღაა?

დედამთილი. აღარაფერი აღარ დამრჩა. ისედაც ჯვრისწერა დაჯდა ძალიან ძვირი. ახლა უნდა ჭირისუფლად მოსულ სტუმრებს ვიზრუნო. (ლავრენტი.) ჩვენ შეიდასად შევთანხმდით?

ლავრენტი. ექვსასად. (აძლევს ფულს.) მე არ დავჯდები სტუმრებთან. მომიწყენია ათასი ახალი ცინმეს გაცნობა. ჰოდა, თუ ჩემი დაქვრივებული და ჩემთან მოსვლას განიზრახავს, ჩემი ცოლი „კეთილი იყოს შენი მობრძანებაო“, — ამ სიტყვებით შეეგებება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე გავჯავრდები. (მიდის. სამძიმარზე მოსული სტუმრები გულგრილად გააყოლებენ თავს, როცა მათ გვერდით ჩაივლის.)

ბერი. შეიძლება იკითხოს კაცმა, ეს ფისი ბავშვია?

დედამთილი. რა ბავშვი, რის ბავშვი? მე ვერსად ვხედავ ბავშვს! და ვერც შენ ხედავ, გასაგებია? თორემ იქნებ მეც დავინახე, რაც სამიკიტნოს უკან ხდებოდა. ახლა კი წაფიდიეთ.

გრუშე იატაკზე სვამს ბავშვს და აწყნარებს. მერე გადიან მეორე ოთახში, სადაც დედამთილი მეზობლებს წარუდგენს რძალს.

დედამთილი. ეს ჩემი რძალი ვახლავთ. მან ჩემს საყვარელ იოსებს ჯერ კიდევ ცოცხალს მოუსწრო.

ერთ-ერთი ქალი. შენი ვაჟი უკვე ერთი წელია რაცა წევს, არა? როცა ჩემი ვასო წაიყვანეს, ის გამოსათხოვარ ვახშამზე იყო.

მეორე ქალი. ოჯახისათვის იმაზე უარესი არა არის რა, როცა სიმინდი მოსაჭრელია და გლეხკაცი კი ლოგინად არის ჩავარდნილი. მაგ საწყლისათვის იქნებ მაღლიც იყოს, რაც უფრო ნაკლებ დაიტანჯება და ძალე განისვენებს, ღმერთმანი!

პირველი ქალი (გულახდილად). თავდაპირველად, იცით, ჩვენ ისიც კი გვეგონა, ჯარში წაყვანას თავს არიდებს და იმიტომ ჩაწვა ლოგინშიო. ახლა კი საწყალი სიცოცხლეს ესალმება!

დედამთილი. გთხოვთ დაბრძანდეთ და ცოტაოდენი ქადა მიირთვათ. (დედამთილი ანიშნებს გრუშეს და ორივენი მეზობელ ოთახში გადიან, იატაკიდან ხონჩებზე დალაგებულ ქადაებს იღებენ, სტუმრები, მათ შორის ბერიც, სხდებიან და ხმადაბლა მასლაათს იწყებენ.)

გლეხი (რომელსაც ბერი ანაფორის ქვეშ დამალულ ბოთლს მიაწოდებს). რაო, თქვენ ამბობთ, ბავშვი ჰყავსო? მერედა, როდის შეიძლებოდა იოსებს ასეთი რამ შემთხვეოდა?

ერთ-ერთი ქალი. ასეა თუ ისე, მაგ ქალს მაინც ბედმა გაუღიმა, რომ თავი გაასალა. რა ვუყოთ, რომ საქმრო არაფრად არ ვარგა.

დედამთილი. ახლა ალბათ უკვე მოხსნეს გუდას პირი და ყბედობენ.

თანაც სააღაპო ქაღებსაც შესანსლავენ და თუ დღესვე არ მოკვდა, ხვალაც დამჭირდება მათი გამოცხობა.

გ რ უ შ ე. მე გამოვაცხობ.

დ ე დ ა მ თ ი ლ ი. გუშინ საღამოს ჩვენ წინ აბჯროსნებმა ჩიარეს და გარეთ გავედი საყურებლად. როცა უკან შემოვტრიალდი, ვხედავ, მკვდარივით გაშეშებული წევს, აღარ ინძრევა. იმიტომ გამოვგზავნე კაცი თქვენს დასაძახებლად. არა, დიდხანს ველარ გაატანს. (ყურს უგდებს.)

ბ ე რ ი. ძვირფასო სტუმრებო, ქორწილსა და ქელესზე მობრძანებულნო, გულაჩქროლებულნი ვდგავართ ჩვენ სასიკვდილო და საქორწინო სარეცლის წინაშე, ვინაიდან პატარძალი სასძლოდ ემზადება და ნეფე კი საიქიოს გასამგზავრებლად. სიძე უკვე განბანილია, ხოლო პატარძალს კი სული კბილით უჭირავს, რამეთუ საქორწინო სარეცელზე უკანასკნელი საწადელი განისვენებს და ეს კი ხორციელ გრძნობებს უღვივებს ადამიანს. ეჰ, რაოდენ განსხვავებულია, ძვირფასნო ჩემნო, კაცთა ხვედრი. ერთი კვდება იმისათვის, რომ სამუდამო ნავსაყუდელი მოიძიოს, ხოლო მეორე ჯვარს იწერს, რათა მტვრად აქციოს ხორცი თვისი, მტვრად, რომლისგანაც არის შექმნილი. ამინ!

დ ე დ ა მ თ ი ლ ი (გაიგონა ბერის სიტყვები). შურს ძიობს. ასე იაფად არ უნდა დამექირავებინა და აი, ვიწვინე კიდევ. ვინც ძვირს იღებს, იმათ თავდაჭერაც იციან. სურამში არის ერთი, ლამის წმინდანის სახელი დაუვარდეს, მაგრამ იმდენს იღებს, რომ მთელი ჩემი სარჩო-საბადებელი არ ეყოფა. ასეთ ორმოცდაათბიასტრიან სულიერ მამას კი ღირსების გრძნობის ნატამალიც არ გააჩნია და სათნობაც მხოლოდ ორმოცდაათი პიასტრისა აქვს, არც მეტი და არც ნაკლები. როცა მის წამოსაყვანად მივედი სამიკიტნოში, ის იყო სიტყვას ამბობდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა: ომი დამთავრდა, უფრთხოდეთ მშვიდობასაო! წამო, გავიდეთ სტუმრებთან.

გ რ უ შ ე. (ქადას მოუტეხავს მიხეილს). აი, ქადა ჭამე და წყნარად იჯექი, მიხეილ. ჩვენ ახლა პატრივცემული ხალხი ვართ. (მათ ქაღები გააქვთ სტუმრებთან.)

მომაკვდავი წამოიწევს ფარდის მიღმა, თავს გამოყოფს იქიდან და ორივეს თვალს გააყოლებს. შემდეგ უკან გადაუვარდება ბალიშზე თავი. ბერი ანაფორის ქვეშიდან ორ ბოთლს იღებს და გვერდით მჯდომ გლეხს აწვდის. შემოდის სამი მუსიკოსი, რომელთაც ბერი ღრეჭით ხელს უქნევს.

დ ე დ ა მ თ ი ლ ი (მუსიკოსებს). რაზე გარჯილხართ? საკრავებით აქ რამ მოგიყვანათ?

მ უ ს ი კ ო ს ე ბ ი. აი, ბერმა ნიკიფორემ (მიუთითებენ ბერზე.) გვითხრა თქვენზე, ქორწილი აქვთო.

დედამთილი. რაო, შენ კიდევ სამი კაცი მოგყავს ჩემს კისერზე? (მუსიკოსებს.) განა არ იცით, რომ აქ მომსკვდავი წევს?

ბერი. დიახაც მაცდუნებელი ამოცანაა ხელოვანისთვის. შეიძლება შესრულდეს ხმადასშული საზეიმო მარში, ანდა ანცი სამგლოვიარო ფერხული.

დედამთილი. ცოტა მაინც დაუკარით რაიმე, თორემ სულ ერთია მუცლებს მაინც ამოიყორავთ.

მუსიკოსები რაღაც გაურკვეველ მუსიკას უკრავენ. ქალები ქადებს არიგებენ.

ბერი. ზურნის ჭყვიტინი პატარა ბავშვის ტირილს წააგავს და შენ კი, დიპლიპიტოვ, რას აუწყებ ქვეყნიერებას?

ბერი. გვერდით მჯდომი გლეხი. რა იქნება, პატარძალი გვერდით რომ მოუწვევს ნეფეს ლოგინში?

ბერი. ლოგინში თუ საფლაფში?

ბერი. გვერდით მჯდომი გლეხი (მღერის).

თემოსრული ქალიშვილი ბებრუსანას გაჰყვა ცოლად.

მთავარია გავთხოვდეო — თქვა და აღარ დააყოვნა.

ამის შემდეგ თავშექცევის დაფარვასაც კი არ ცდილობს

და თავდებად გაუხდია მას მოწიბობა საქორწინო.

სანთლებზე კარგი გამართობი სადღა გინდა აძებნინო?!

დედამთილს გაჰყავს მთვრალი გლეხი, რომელიც ბერის გვერდით იჯდა, მუსიკა წყდება. სტუმრები უხერხულად გრძნობენ თავს.

სტუმრები (ხმამაღლა). ვაიგეთ, დიდი თავადი დაბრუნებულა.

— კი, მაგრამ თავადები რომ მისი წინააღმდეგნი არიან?

— ო, სპარსეთის შაჰს თურმე ურიცხვი ჯარი გამოუყოლებია, რათა წესრიგი დაამყაროს საქართველოში.

— რას ამბობ, კაცო, სპარსთა შაჰი ხომ მტერია დიდი თავადისა?!

— მაგრამ მტერია უწესრიგობისაც.

— ასეა თუ ისე, ომი დამთავრდა. ჩვენი ჯარისკაცები უკვე შინ ბრუნდებიან.

გრუმეს ქადებით სავსე ხონჩა ხელიდან უვარდება.

ერთ-ერთი ქალი (გრუმეს). ცუდად ხომ არა ხარ? ალბათ შენს ძვირფას იოსებზე ფიქრობ და იმის გამოა. დაჯექი და ცოტა დაისვენე, საყვარელო.

გრუმე რეტდასხმული დგას.

ს ტ უ მ რ ე ბ ი. ახლა ყველაფერი ძველებურად წავა.

— ოღონდ გადასახადები გაიზრდება, რათა ომის ხარჯები ავანაზღაუროთ.

გ რ უ შ ე (მისუსტებული ხმით). ვინა თქვა, ჯარისკაცები შინ ბრუნდებიანო?

ე რ თ-ე რ თ ი ს ტ უ მ ა რ ი. მე.

გ რ უ შ ე. შეუძლებელია.

ი გ ი ვ ე ს ტ უ მ ა რ ი (ერთ-ერთ ქალს). აბა, გვაჩვენე შენი შალი! ჩვენ ეს ერთი ჯარისკაცისაგან ვიყიდეთ. სპარსულია.

გ რ უ შ ე (შალს ათვალიერებს). ჰო, დაბრუნებულან. (ჩამოვარდება ხანგრძლივი დუმილი. გრუშე მუხლთ მოიყრის, თითქოს ქალების აკრეფა სურდეს იატაკიდან. ამასთან საკინძიდან იღებს ვერცხლის ჯვარს, რომელიც ძეწკვით ჰკიდია, ემთხვევა და ლოცვას იწყებს.)

დ ე დ ა მ თ ი ლ ი (რადგან სტუმრები მდუმარედ შესცქერიან გრუშეს). რა დაგემართა? რატომ არ გაუმახპინძლები სტუმრებს? შენ რა გენადვლება რამდენი სისულელეც მოხდება ქალაქში?

სტუმრები ხედავენ, რომ გრუშე იატაკზე შუბლით განრთხმულა და არ იმბრევა, სმამალა განაგრძობენ საუბარს.

ს ტ უ მ რ ე ბ ი.

სპარსული უნაგირების ყიდვა შეიძლება ჯარისკაცებისაგან.

— ზოგი მათგანი ყავარჯენში ცვლის მათ.

— უფროსებს მხოლოდ ერთ მხარეზე შეუძლიათ ომი მოიგონ, მაგრამ ჯარისკაცები ორივე მხარეზე აგებენ მას.

— ყოველ შემთხვევაში, ომი დამთავრდა. ჯერ მარტო ის რაღა ღირს, რომ ჯარში აღარ გაიწვევენ ხალხს.

ავადმყოფი ლოგინში წამოჯდება და ყურს უგდებას.

— ახლა ორიოდ კვირა კარგი ამინდი გვჭირდება და სხვა არაფერი.

— წელს ხეხილს თითქმის სულ არ ესხა.

დ ე დ ა მ თ ი ლ ი (ქალებს სთავაზობს სტუმრებს). მიირთვით, მიირთვით, ძალიან გემრიელია. გადაიღეთ, კიდევა გვაქვს. (დედამთილი ცარიელი ხონჩით გადის მეზობელ ოთახში, ვერ შენიშნავს, რომ ავადმყოფი ლოგინში წამოძვდარა და დაიხრება, რათა სავსე ხონჩა აიღოს. ამ დროს იოსები ხმაჩახლელი იწყებს ლაპარაკს).

ი ო ს ე ბ ი. მაინც რამდენი ქაღა გინდა ჩაახეთქო მაგ ოხრებს? თუ გგონია, ფულსა ვშვრები, რამდენჯერაც გარეთ გავაღ?

დედამთილი საშინლად შეხტება მოულოდნელობისაგან და პირდაღებული შესცქერის შვილს, რომელიც ფარდიდან თავს გამოყოფს. მეორე ოთახში საუბარს განაგრძობენ.

პირველი ქალი (გრუშეს მეგობრულად). ეტყობა, ვიღაცა გყავთ ჯარში?

იგივე სტუმარი. მაშ, თქვენთვის გასახარელი ცნობა უნდა იყოს, რომ ჯარისკაცები ბრუნდებიან, ასე არ არის?

იოსები. რას მომიჩერებისხარ! აბა, სად არის ის ასული, ცოლად რომ ამკიდე. (რადგან დედა არ უპასუხებს, იოსები საცვლების ამარა დგება ლო- გინიდან, ბარბაცით ჩაუვლის გვერდით და მეორე ოთახში გადის. დედაც კანკალით გაჰყვება უკან, ხელში ქაღებით სავსე ხონჩა უჭირავს.)

სტუმრები (აგადმყოფის დანახვაზე შესძახებენ). ღმერთო, იოსები!

— უი, დედაო დვთისა!

— ღმერთმანი, საოცარია!

ყველაფერი აირ-დაირევა. სტუმრები ფეხზე დგებიან, ქალები კარისაკენ მიიწევენ. გრუშე, ჯერ კიდევ მუხლებზე დაჩოქილი, თავს მიაბრუნებს და იოსებს მიაჩერდება.

იოსები. ქელები გაგიმართავთ უკვე, არა?! მე თქვენ გიჩვენებთ სე- ირს. გაეთრიეთ გარეთ, ვიდრე მადგრად მიგბრეგვავდეთ ყველას!

სტუმრები საჩქაროდ მიდიან.

იოსები (პირქუშად გრუშეს). კოვზი ნაცარში ჩაგიფარდა, არა? (გრუშე არ უპასუხებს. იოსები გატრიალდება და ქადას აიღებს ხონჩიდან, რომელიც დედამთილს უჭირავს.)

მგოსანი.

დაბნეულობაგ! ცოლი იტყობს, რომ მას ქმარი ჰყავს.

დღისით ბავშვს უნდა მიხედოს და ღამით კი ქმარსა.

გულის სატრფო კი დღე და ღამე გზაშია ისევე.

ერთიმეორეს უჭვრეტს ცოლ-ქმარი. რა ვიწრო არის მათი სენაკი!

იოსები შიშველი ზის მაღალ საბანაო გეჯაში და დედამთილი ტოლჩით წყალს უსხამს. მეზობელ ოთახში მიხეილის გვერდით, რომელიც ჭილოფის დაკემ- სვით ერთობა, ფეხმორთხმული ზის გრუშე.

იოსები. ეს იმის საქმეა და არა შენი. სად ჯანდაბაში გღია?

დედამთილი (ეძახის). გრუშე! იოსები გეძახის.

გრუშე (მიხეილს). აი, კიდევ ორგან არის გახვრეტილი. ესენიც უნდა დააკერო. (გადის ქმართან.)

იოსებო. მოდი, ზურგზე წამისვი!

გრუშე. ბატონო ჩემო, ნუთუ თქვენ თვითონ არ შეგიძლიათ ზურგის დაბანა?

იოსებო. „ბატონო ჩემო, ბატონო ჩემო“... აიღე ხელში ქისა, დალახვროს ეშმაკმა! ჩემი ცოლი ხარ, თუ რა ხარ? (დედამისს.) წყალი ცვივია!

დედამთილი. ახლავე გავიქცევი და ცხელ წყალს მოვიტან.

გრუშე. მე გავიქცევი.

იოსებო. არა, შენ აქ დარჩი!

დედამთილი გარბის.

უფრო მაგრად წამისვი! თავს ნუ იკატუნებ, ალბათ წინათაც ბევრჯერ გინახავს შიშველი მამაკაცი, თორემ შენი ბავშვი მაშ, ციდან ხომ არ არის ჩამოფრენილი?

გრუშე. ეჰ, ვინ იცის, ეგ ბავშვი რა ჭირის დღეში ავიკიდე, თუ თქვენ ამას გულისხმობთ, ბატონო ჩემო.

იოსებო (ღრეჭით მიბრუნდება გრუშესაკენ). ზედ რომ არ გეტყობა მერე?

გრუშე თავს ანებებს ქმრის ბანგას და ელდანაკრავივით უკან დაიწევს. შე-
ძოდის დედამთილი.

იოსებო. არა, მაინც სად მოძებნე ასეთი ჯიშისა?! ცოლი კი არა, ნამდვილი ფიტულია!

დედამთილი. რა ვიცი, მონდომების ნატამალიც კი არ გააჩნია.

იოსებო. დამისხი, ოღონდ ფრთხილად, უჰ, უჰ! ხომ გითხარი ფრთხილად-მეთქი! (გრუშეს.) არაფრის გულისათვის არ დაგიჯერებ, რომ ქალაქში არაფერი არ შეგმთხვევია, თორემ მაშ, რა გაჩერებს აქ? მაგრამ ამაზე არაფერს არ ვამბობ. მე არც იმაზე მითქვამს რამე, როცა შინ უკანონო შვილი მომიყვანე. ოღონდ შენით კი, იცოდე, მალე ამევისება მოთმინების ფილა. არ შეიძლება წინაღუდგე ბუნებას. (დედას.) კიდევ დამისხი! (გრუშეს.) რა გამოვა, გინდაც ის შენი ჯარისკაცი უკან დაბრუნდეს, შენ ხომ ჯვარდაწერილი ხარ.

გრუშე. ჰო.

იოსებო. თანაც ის უკვე აღარ დაბრუნდება, ტყუილად ნუ გაქვს იმედი.

გრუშე. არა.

იოსებო. თავლაფს მასხამ. ჩემი ცოლიცა ხარ და არცა ხარ. სადაც შენ წევხარ, ვითომც არავინ არ წოლილა და ამავე დროს იქ სხვასაც ვერ დააწვენ. როცა სისხამ დილით მინდორში მივდივარ, მკვდარივით ვარ ხოლმე

მისაგათებული. როცა საღამოთი უკან ვბრუნდები და ლოგინში ვწვეები, ქაჯივით თვალებდაჭყეტილი ვაგდივარ და ძილი არ მეკარება. ღმერთმა ქალობა მოგანიჭა და შენ კი აბა, რასა სჩადიხარ? ჩემი მამული იმდენს არ იძლევა, რომ ქალაქში წავიდე ხოლმე და ქალებში ვხარჯო ფული. ჯერ მარტო გზას რამდენი უნდა. ცოლი მარგლავს ყანას და გვერდით უწვება ქმარსო, ასე წერია ჩვენს კალენდარში. გეყურება?

გ რ უ შ ე. ჰო. (ხმადაბლა.) ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემს გამო პირში ჩალაგამოვლებული დარჩი.

ი ო ს ე ბ ი. ერთი უყურეთ, ეს წუხს თურმე!.. კიდევ დამისხი! (დედაპთილი ასხმას წყალს.) უჰ! უჰ!

მ გ ო ს ა ნ ი.

როცა წყაროზე სარეცხს რეცხავდა,
ის წყლის ნაკადში სატრფოს სახეს ხედავდა მუდამ.
მაგრამ თვეები გადიოდნენ და მისი სახე ფითრდებოდა
თანდათანობით.

როცა სარეცხის გასაწურავად შემდეგ ის წელში იმართებოდა,
ნეკერჩხლის ფოთოლთა შრიალში ისმენდა მის ხმას.
მაგრამ თვეები გარბოდნენ და ხმა სუსტდებოდა
უფრო და უფრო.

თავის დაძვრენას, ოხვრასა და წუხილს უმატა,
უფრო მეტ ცრემლსა და ოფლსა ღვრიდა.
ხოლო თვეები გარბოდნენ და ყრმა იზრდებოდა.

გ რ უ შ ე წყაროს პირას ჩაცუცქებულა და სარეცხს ავლებს წყალში. ოდნავ მოშორებით რამდენიმე ბ ა ვ შ ვ ი დგას. გ რ უ შ ე მ ი ხ ე ი ლ ს ე ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა.

გ რ უ შ ე. შეგიძლია მათთან ითამაშო, მიხეილ, ოღონდ თავი არ დააბრიყვებინო, რახან ყველაზე პატარა ხარ.

მიხეილი თავს დაუქნევს და ბავშვებს მიაშურებს. პატარები თამაშს აჩაღებენ.

ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ი დ ი ბ ი ჭ ი. დღეს თავის მოკვეთა ვითამაშოთ (სქელ ბიჭს.) შენ თავადი იყავი. უნდა გაიცინო ხოლმე. (მიხეილს.) შენ გუბერნატორი იქნები. (გოგონას.) შენ კი გუბერნატორის ძეგულე. შენ უნდა ატირდე, როცა გუბერნატორს თავს მოაჭრიან, ხოლო თავს მე მოგკვეთავ. (აჩვენებს ბავშვებს ხის მახვილს.) აი, ამით. ჯერ გუბერნატორი ეზოში უნდა გავიყვანოთ. ყველაზე წინ წავა თავადი, ხოლო ყველაზე ბოლოს გუბერნატორის ცოლი.

ბავშვები პროცესიად ეწყობიან. მსუქანი ბიჭი ყველაზე წინ მიდის და იცინის. მას მისდევს მიხეილი, შემდეგ ყველაზე დიდი ბიჭი და ბოლოს გოგონა, რომელიც ტირის.

მიხეილი (გაჩერდება). მეც მინდა თავი მოგკვეთო!

ყველაზე დიდი ბიჭი. არა, მე, შენ ყველაზე პატარა ხარ და გუბერნატორად ყოფნა ყველაფერზე ადვილია. უნდა დაიჩოქო და თავი მიუშვირო, რომ მოგკვეთონ. ეს არის და ეს.

მიხეილი. მეც მინდა მახვილი.

ყველაზე დიდი ბიჭი. არა, მახვილი ჩემია. (პანდურს ამოჰკრავს მიხეილს.)

გოგონა (გრუშეს გასძახებს). არ უნდა ჩვენთან თამაში.

გრუშე (იცინის). ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო.

ყველაზე დიდი ბიჭი. გინდა, თავადი იყავი, თუ სიცილი შევიძლია.

მიხეილი თავს გააქნევს.

სქელი. ბიჭი. ყველაზე უკეთ მე ვიცი. ერთხელ მოაკვეთინე თავი და მერე შენ მოჰკვეთე, მერე მე.

ყველაზე დიდი ბიჭი გულდაწყვეტილი აძლევს მიხეილს ხის მახვილს და იჩოქებს. მსუქანი ბიჭი მიწაზე ჯდება, ხელებს მუცელზე იტყაპუნებს და რაც ძალი და ღონე აქვს იცინის. გოგონა ხმამაღლა მოთქვამს. მიხეილი მოიქნევს ვეება მახვილს და დასცხებს ბიჭს, მაგრამ თვითონვე წაიქცევა.

ყველაზე დიდი ბიჭი. ვაიმე, მე შენ გიჩვენებ, ნამდვილად დარტყმა როგორ უნდა!

მიხეილი გარბის. ბავშვები დაედევნებიან. გრუშე თვალს გააყოლებს მათ და იცინის. როცა ისევ უკან მოაბრუნებს თავს, დაინახავს, რომ წყაროს გაღმა ჯარისკაცი სიმონ ჩაჩავა დგას. დაგლეჯილი ფორმა აცვია.

გრუშე. სიმონ!

სიმონი. ეს გრუშე ვაჩნადე ბრძანდება?

გრუშე. სიმონ!

სიმონი (ოფიციალურად). ღმერთმა ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა ნუ მოაკლოს ქალიშვილს.

გრუშე (გახარებული ხეზე წამოდგება და მდაბლად დაუკრავს თავს). ღმერთმა ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა ნუ მოაკლოს ბატონ ჯარისკაცს მადლობა ღმერთს, რომ უვნებლად დაბრუნდა.

ს ი მ თ ნ ი. მათ უკეთესი თევზი ნახეს და ამის გამო ჩემი შეჭმა აღარ ინდომესო, თქვა კაპარჭინამ.

გ რ უ შ ე. სიმამაცის ბრალიაო, თქვა მზარეულის შეგირდმა, ყისმათისაო, თქვა გმირმა.

ს ი მ თ ნ ი. აქ როგორღაა საქმეები? როგორი ზამთარი იყო? როგორი მეზობლები ჯყავს?

გ რ უ შ ე. ზამთარი ცოტა მკაცრი იყო, სიმონ, ხოლო მეზობლები კი ისეთნი არიან, როგორიც ყველგან.

ს ი მ თ ნ ი. შეიძლება იკითხოს კაცმა, მაგან და მაგან ასულს კიდევ სჩვევია სარეცხის რეცხვის დროს ფეხების წყალში ჩაყოფა?

გ რ უ შ ე. მაგაზე პასუხი უარყოფითი იქნება, ვინაიდან თურმე ბურქებს თვალეები აქვთ.

ს ი მ თ ნ ი. ქალიშვილს ჯარისკაცი ჰყავს მხედველობაში. მაშინ დაე, იცოდეს, რომ მის წინაშე საზინადარი დგას.

გ რ უ შ ე. ეს მგონი, ორას პიასტრს უნდა ნიშნავდეს?

ს ი მ თ ნ ი. და ბინასაც.

გ რ უ შ ე (თვალცრემლიანი). ყაზარმის უკან, პალმების ქვეშ.

ს ი მ თ ნ ი. სწორედ იქ. მე როგორც ვხედავ, უკვე შეუთვალეირებიათ ის ადგილი.

გ რ უ შ ე. ჰო.

ს ი მ თ ნ ი. მაშასადამე, არაფერი არ დავიწყნიათ.

გ რ უ შ ე თავს გააქნევს.

მაშ, ყველაფერი, როგორც იტყვიან, თავის ადგილზეა?

გ რ უ შ ე მდუმარედ მიაჩერდება სიმონს და მერე ისევ გააქნევს თავს.

რაო, ყველაფერი წესრიგში არ არის?

გ რ უ შ ე. სიმონ ჩაჩავა, მე ისეთი რამ შემემთხვა, რომ ველარასოდეს ვერ დავბრუნდები ნუქაში.

ს ი მ თ ნ ი. რა შეგემთხვა?

გ რ უ შ ე. მოხდა ისე, რომ ერთ აბჯროსანს შეშის ნაჭერი დავარტყი თავში.

ს ი მ თ ნ ი. ესე იგი, გრუშე ვაჩნამეს საამისო საბაბი ჰქონდა.

გ რ უ შ ე. სიმონ ჩაჩავა, მე ახლა გვარიც ის აღარა მაქვს, რაც მქონდა.

ს ი მ თ ნ ი (პაუზის შემდეგ). ეს უკვე აღარ მესმის.

გ რ უ შ ე. განა არ იცი, სიმონ, როდის იცვლიან ქალები გვარს? ახლავე აგისხნი ყველაფერს. დამიჯერე, ჩვენ შორის არაფერი არ მომხდარა. ყველაფერი ძველებურადაა ჩვენს შორის, ამაში უნდა მენდო.

ს ი მ ო ნ ი. როგორ შეიძლება ჩვენს შორის არაფერი არ მომხდარიყოს და მაინც ყველაფერი ძველებურად არ იყოს?

გ რ უ შ ე. აბა, როგორ უნდა ავიხსნა ასე სასწრაფოდ. თანაც წყალგაღმა დგახარ. არ შეგიძლია ბოგირზე გადმოსვიდე?

ს ი მ ო ნ ი. იქნებ ასეთი რამ სულაც აღარ არის საჭირო?

გ რ უ შ ე. საჭიროა, ძალიან საჭიროა. გადმოდი, სიმონ, ჩქარა გადმოდი!

ს ი მ ო ნ ი. რა, ქალიშვილს უნდა თქვას, რომ გვიან მოვედი?

გრუშე სასოწარკვეთილი შეჰყურებს სიმონს, სახეზე ცრემლების ნიაღვარი ჩამოსდის. სიმონი ერთ წერტილს მისჩერებია სივრცეში, ხის ნატეხი აუღია მიწიდან და ჩორკნის.

მ გ ო ს ა ნ ი.

ბევრი რამ ითქვა, ბევრი რამეც უთქმელი დარჩა.
ლაშქრად წასული უკან დაბრუნდა, მაგრამ საიდან,
არ ამბობს ამას.

ყური დაუგდეთ, რას ფიქრობდა, რას არ ამბობდა:
ბრძოლა დაიწყო გარიჟრაჟზე და შუადღისას წინ უკვე
სისხლის მორევი დადგა.

პირველი ჩემ წინ დაეცა მკვდარი, მეორე უკან,
ხოლო მესამე სწორედ ჩემ გვერდით.

პირველს მე ფეხი გადავაბიჯე, მეორე უკან მოვიტოვე,
ხოლო მესამე კაპიტანმა მიასაკლავა.

ერთი ჩემი ძმა იმსხვერპლა რკინამ, მეორე ძმა კი
კვამლმა დაახრჩო.

ქედიდან უხვად მცვიოდა ცეცხლი,
ხელთათმანებში მაძრებოდა თითქმის ხელები
და წინდებში კი ფეხის თითები.

ცერსვის კვირტებით ვიკვებებოდი,
ვსვამდი ნეკერჩხლის ფოთლების ნახარშს,
ქვებზე და წყალში მეძინა ხოლმე.

ს ი მ ო ნ ი. ბალახში ქუდსა ვხედავ. ბაღდიც ხომ არა გყავს უკვე?

გ რ უ შ ე. ჰო, მყავს, სიმონ, ვერ დაგიმაღავ, მაგრამ ნურას ინაღვლი, ჩემი არ არის.

ს ი მ ო ნ ი. ნათქვამია, თუ ერთი ქარმა დაჰბერა, ყველა დარანში გა-
ატანსო. მეტს ნულარაფერს მეტყვი.

გრუშეს თავი დაუხრია და დუმს.

მ გ ო ს ა ნ ი.

ქალი ნაღვლობდა, დაცდით კი მას ვერ დაუცადა.
ფიცი გატეხა, რისთვის? — მას არ გაუზიარა.
ყური დაუგდეთ, რას ფიქრობდა, რას არ ამბობდა:
იმ დროს, როცა შენ მტერთან იბრძოდი,
სისხლიან ომში, მძვინვარე ომში,
მე უპატრონოდ დაგდებულ ბავშვს გადავეყარე.
გულმა არ მიქნა, რომ გულცივად გვერდით ჩამეგლო.
ზრუნვა დავიწყე მე იმაზე, ვისაც უჩემოდ ალბათ
დაღუპვა არ ახცდებოდა.
მისთვის ნამცეცეებს ვკრებდი ძირიდან;
ქანცს ვიწყვეტავდი მისთვის, ვინაც არც ღვიძლი
შვილი იყო ჩემი,

არც ნათესავი.

სომ ვინმე უნდა გამოუჩინდეს ყველას მშველელი?
პაწია ხეს სომ მორწყვა სჭირდება?
სბო გზას დაკარგავს თუ მწყემსი ჩასთვლემს
და ბლავილს მისას ვერ გაიგონებს.

ს ი მ ო ნ ი. დამიბრუნე ჩემი ნაჩუქარი ჯვარი. ანდა, უკეთესია, ემაგ
რუში გადააგდე! (გატრიალდება წასასვლელად.)

გ რ უ შ ე (ზეზე წამოვარდება). სიმონ ჩაჩავა, არ წახვიდე. ეს ჩემი შვი-
ლი არ არის, არ არის-მეთქი! (ბავშვების შეძახილებს გაიგონებს.) რა იყო,
ბავშვებო?

ს მ ე ბ ი. ჯარისკაცები მოვიდნენ.

— მიხეილი მოჰყავთ!

გრუშე თავზარდაცემული დგას. მისკენ მოეშურება ო რ ი ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი,
რომელთაც მიხეილი მოჰყავთ.

ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. შენა ხარ გრუშე? (გრუშე თავს უქნევს). ეს შენი შვი-
ლია?

გ რ უ შ ე. ჰო.

სიმონი მიდის.

სიმონ!

ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. ჩვენ სასამართლოს ბრძანება გვაქვს, ქალაქში ჩავიყ-
ვანოთ ბავშვი, რომელიც შენი მეურვეობის ქვეშ იმყოფება, ვინაიდან არსე-

ბობს ეჭვი, რომ იგი მისეილ აბაშვილია, ვაჟი გუბერნატორ გიორგი აბაშვილისა და მისი მეუღლე ნათელა აბაშვილისა. აი სურათი ბეჭდებითურთ.

ა ბ ჯ რ ო ს ნ ე ბ ს მიჰყავთ ბ ა ვ შ ვ ი.

გ რ უ შ ე (დაედევნება მათ და უყვირის). ხელი გაუშვით, გევედრებით, ხელი გაუშვით, ეგ ბავშვი ჩემია!

მ გ ო ს ა ნ ი.

მისი საუნჯე, მისი ბავშვი აბჯაროსნებმა წაიყვანეს და უბედური
ხიფათით სავსე ქალაქისკენ მათ დაედევნა.

ბავშვი უკანვე მოითხოვა მშობელმა დედამ, აღმზრდელი დედა
სასამართლოს წინაშე წარდგა.

ამ საქმეს ნეტავ ვინ განიხილავს, ბავშვს რომელ მათგანს
მიაკუთვნებენ?

ან ვინ იქნება იქ მოსამართლე, გულისხმიერი თუ გულქვა ვინმე?
საქმის გარჩევას შეძლებს თუ ვერა?

ქალაქი ხანძრით იყო მოცული და მოსამართლის სკამზე ვინმე
აზდაკი იჯდა.

ა მ ბ ა ვ ი მ ო ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა

მ გ ო ს ა ნ ი.

ახლა ისმინეთ თქვენ ამბავი მოსამართლისა:

თუ როგორ გახდა ის მოსამართლე, ან განაჩენი
ვით გამოჰქონდა,

ან კიდევ კაცად როგორი იყო.

იმ აღდგომა დღეს, როცა დიდი ამბოხი მოხდა,

როცა დაამხეს საძულველი დიდი თავადი,

ხოლო გიორგი აბაშვილს კი, მის გუბერნატორს,

ჩვენთვის ცნობილი ბავშვის მამას

თავი მოჰკვეთეს,

სოფლის მწერალმა აზდაკმა ბნელ ფარდულში მყოფი

ლტოლვილი ნახა

და თავისთან დამალა იგი.

აზდაკს, რომელსაც დაგლეჯილი ტანისამოსი აცვია და გადაკრულშია, თავის
ქოხში შემოჰყავს მოხუცი მათხოვარი.

აზდაკი. რა გაფრუტუნებს, ცხენი ხომ არა ხარ! და თანაც იცოდე,
გაქცევას ნუ ლამობ, როგორც ცინგლი ჩამოღვენთვას აპრილში, თორემ უთუ-
ოდ პოლიციას ჩაუვარდები ხელში. გაჩერდი-მეთქი, გეუბნები. (დაიჭერს მო-
ხუცს, რომელიც ისევ განაგრძობს სვლას, თითქოს პირდაპირ ქოხის კედელ-
ში აპირებდეს გასვლას.) დაეგდე და ხეთქე. აი, ყველის ნაჭერი. (ყუთიდან,
რომელსაც ფალასები აფარია, ამოიღებს ყველის ნაჭერს და მათხოვარი ხარ-

ბად იწყებს ჭამას.) დიდი ხანია, რაც არ გამტყვერალხარ? (მოსუცი რაღაცას წამოიღმუვლებს.) არა, მაინც რას გამოიბოდი ეგრე დამთხვეულივით, ჰა, შენ ხვის ჭიავ, შენა? პოლიციელი ზედაც არ შემოგხედავდა.

მოსუცი. გაჭირვებული ვიყავი.

აზდაკი. რა, ქვეშ ხომ არ გაგდიოდა? (მოსუცი გაოგნებული შესცქერის.) პატარა გინდოდა, თუ დიდი? თუ შიში მოგარბენინებდა? ჰმ... პირს ნუ აწლაპუნებ, თითქო დიდი თავადი იყო, ანდა ღორი! მაგას ვერ ვიტან. მხოლოდ მაღალკეთილშობილი მძორი შეიძლება კაცმა აიტანო ისეთი, როგორც ღმერთს გაუჩენია, შენ კი არა. აი, თურმე ერთი უზენაესი მოსამართლე ჭამის დროს ჰაერს აფუჭებდა ხოლმე ბაზარში, აქაოდა ჩირადაც არავინ მიმარნიხართო. შენს ჭამას რომ ვუყურებ, პირდაპირ საშინელი აზრები მომდის თავში. რატომ კრინტს არა სძრავ? (მკვასხედ.) აბა ერთი, შენი ხელი მაჩვენე! არ გეყურება? ხელი მაჩვენე-მეთქი! (მოსუცი ჭოჭმანით გაუშვერს ხელს.) თეთრია. მაშ, შენ გლახა არა ყოფილხარ! ჰოი, სიყალბევ! მოარულო სიცრუევ! მე კიდევ პოლიციისაგან გმაღავ, როგორც პატიოსან ადამიანს. მაშ, რაღას გამოიბოდი, თუკი მემამულე ხარ, ხოლო მემამულე კი ნამდვილად ხარ. არ იუარო, ამას სახეზე გატყობ, მაშინვე ფერი გეცვალა დამნაშავესავით. (დგება.) გაეთრიე! (მოსუცი გაუბედავად შესცქერის.) რაღას უცდი, შე გლეხების სულთამსუთავო?

მოსუცი. მე დამეძებენ. გთხოვთ... სამაგიეროდ წინადადებას ვიძლევი...

აზდაკი. რაო, რას ვიძლევიო? წინადადებასაო? ამაზე მეტი უტიფრობა აღარც შეიძლება! ჰმ, წინადადებას იძლევა! კაცი ფხანით ისისხლიანებს ნაკბენ ადგილს და წურბელა კი წინადადებას აძლევს. გაეთრიე-მეთქი!

მოსუცი. მესმის. ასეთია თქვენი თვალსაზრისი, რწმენა. ასი ათას პიასტრს ვიძლევი ღამის გათევილებაში, ყაბულსა ხართ?

აზდაკი. ვითომ რა, შენა გგონია, ჩემი მოსყიდვა შეიძლება? თანაც ასი ათას პიასტრად, რომლითაც ერთი გაოხრებული ადგილ-მამული თუ მოვა? ბარემ ასორმოცდაათი ათასი იყოს. აბა, სადა გაქვს?

მოსუცი. რა თქმა უნდა, ზედ არა, მაგრამ გამომიგზაფნიან. ამის იძედი მაქვს. ეჭვიც არ შეგეპაროს.

აზდაკი. დიასაც რომ მეპარება. გაეთრიე!

მოსუცი წამოდგება და კარისაკენ წაჩაკჩაკდება. გარედან ვიღაცის ძახილი მოისმის.

ხმა. აზდაკ!

მოსუცი უკან გამოტრიალდება და მოპირდაპირე კუთხეში გაილურსება.

აზდაკი (გასძახებს). რა იყო, არა მცალია! (მიდის კართან.) ისევ დასუნსულებ, შალვა?

პოლიციელი შალვა (საყვედურობს). ისევ დაგიჭერია კურდღელი, აზდაკ. ხომ დამპირდი, ასეთი რამ აღარ განმეორდებაო.

აზდაკი (მკაცრად). ისეთ რამეზე ნუ ლაპარაკობ, რისაც არაფერი არ გაგეგება, შალვა. კურდღელი ერთობ საშიში და მავნე ცხოველია. იგი მცენარეებს სანსლაფს, განსაკუთრებით კი ეგრეთ წოდებულ სარეველებს და ამის გამო უნდა გაიჟლიტოს.

პოლიციელი შალვა. აზდაკ, ასე ულმობელიც ნუ იქნები ჩემს მიმართ. ადგილს დავკარგავ, თუ შენს წინააღმდეგ ზომები არ მივიღე. მე ხომ ვიცი, რომ კეთილი გულის პატრონი ხარ.

აზდაკი. სულაც არა ვარ კეთილი გულის პატრონი. რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ჭკუის კაცი ვარ და არა გრძობისა?

პოლიციელი შალვა (ემშაკურად). ვიცი, აზდაკ, ვიცი, შენ სხვებზე მაღლა დგახარ; ამას ხომ შენ თვითონაც ამბობ ხოლმე. ჰოდა, მე, უსწავლელი ქრისტიანი, გეკითხები: ვთქვათ, თავადს კურდღელი მოჰპარეს და მე პოლიციელი ვარ, რა უნდა ვუყო დამნაშავეს, პა?

აზდაკი. ეჰ, შალვა, შალვა, გრცხვენოდეს, ბიჭო! დამდგარხარ და ისეთ კითხვას მაძლევ, რომელზედაც უფრო მაცდუნებელი არა არის რა. წარმოიდგინე, რომ ქალი ხარ, ვთქვათ, აი ის შეჩვენებული ნაზიბროლა, და მე ბარძაყს მაჩვენებ, ე. ი. შენ კი არა, ნაზიბროლა მაჩვენებს და მეკითხება, რა მოვუხერხო ამ ჩემს ბარძაყს, პირდაპირ მოსვენებას არ მაძლევსო. როგორ გგონია, ბრალი არ მიუძღვის, როცა ასეთ რამეს იქმს? მიუძღვის. მე კურდღელს ვიჭერ, შენ კი ადამიანს. და ხომ იცი, რომ ადამიანი შექმნა ღმერთმა ხატად თავისად და არა კურდღელი. მე კურდღლისჭამია ვარ, შენ კი, შალვა, კაციჭამია. დაე, ღმერთმა განგიკითხოს. გასწი შინ და მოინანიე ცოდვები. არა, მოიცა, აქ მგონი, საშენო ლუკმა უნდა იყოს! (უყურებს მოხუცს, რომელიც შისისაგან კანკალებს.) არა, არა, საშენო არაფერია. გასწი შინ და მოინანიე. (ზედ ცხვირწინ მიუხურავს კარს.) გიკვირს განა, რომ არ გაგეცი? მე მაგ პირუტყვთან ბაღლინჯოსაც კი არ გავცემდი. ასეთ რამეს ვერ ვიტან. რა გაკანკალებს პოლიციელის დანახვაზე. ასეთი მოხუცი ხარ და, ამავე დროს, ასეთი მხდალი. განაგრძე ყველის ჭამა, ოღონდ იცოდე, ისე ჭამე, როგორც გლახას შეეფერება, თორემ ერთხელაც იქნება ჩაგავლებენ. ახლა ის უნდა გასწავლო, გლახა როგორ იქცევა? (ხელებს მხრებზე ადებს მოხუცს, სვამს და ხელში ყველის ნაჭერს აჩერებს.) ეს ყუთი მაგიდაა. იდაყვები მაგიდას დააბჯინე და ხელებით ისე ჩაბლუჯე ჯამი, რომელზედაც ყველი დევს, თითქო ყოველ წამს გეშინოდეს, ვინმემ არ წამართვასო. აბა, როგორ შეიძლება გლახა გულდამშვიდებით იყოს? დანა კი ისე დაიჭირე, თითქო პატარა ნამგალი იყოს და

ყველს უფრო ნაღვლიანად უყურე, რადგან სადაცაა გაქრება, როგორც ყველაფერი მშვენიერი ამქვეყნად. (აცქერდება მოხუცს.) რომ გეძებენ, ეს შენს სასარგებლოდ ლაპარაკობს, მაგრამ რა ვიცი, რომ ისინი არ ცდებიან? თბილისში ერთხელ თურქი მეძამულე ჩამოახრჩვეს. მან შეძლო დაემტკიცებინა, რომ თავის გლეხებს ოთხად აკვეთინებდა სოლმე და არა მხოლოდ ორად, როგორც ეს მიღებულია. გადასახადებსაც ორჯერ მეტს ახდევინებდა თურმე, ვიდრე დანარჩენები. ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ მართლაც ძალიან მოწადინებული იყო, მაგრამ მაინც ჩამოახრჩვეს, როგორც დამნაშავე, მხოლოდ იმიტომ, რომ თურქი იყო. ამაში კი ნამდვილად ბრალი არ მიუძღოდა და ამდენად მისი დასჯაც უსამართლო იყო. სასწრაფოებლად სულ ტყუილუბრალოდ ჩამოჰკიდეს. ერთი სიტყვით, არ გენდობი.

მ გ ო ს ა ნ ი.

აი, ამგვარად მისცა აზდაკმა მოხუც მათხოვარს თავშესაფარი.

მაგრამ, როდესაც შეიტყო, იგი სულთამხუთავი თავადი იყო,

შერცხვა, თავის თავს მან ბრალი დასდო და პოლიციელს

უბრძანა მყისვე:

ნუქას წამიყვა და სასამართლოს გადამეცით მსჯავრდასადებად.

სასამართლოს ეზოში ს ა მ ი ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი ზის, ღვინოს სვამენ. ერთ-ერთ სვეტზე მოსამართლის შესამოსელში გამოწყობილი კაცი ჰკიდია. შემოდის ბორკილებგაყრილი ა ზ დ ა კ ი და თან შ ა ლ ვ ა ს მოათრევს.

ა ზ დ ა კ ი (ყვირის). ხალხნო, მე დიდ თავადას დავეხმარე გაქცევაში, დიდ მძარცველს, დიდ ჯალათსა და სულთამხუთავს! სამართლიანობის სახელით მოვითხოვ სახალხოდ გამასამართლონ და თანაც რაც შეიძლება მკაცრად!

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. ბიჭოს, ეს აყირავებული ჯველი ვინდაა?

პ ო ლ ი ც ი ე ლ ი შ ა ლ ვ ა. ჩვენი სოფლის მწერალია, აზდაკი.

ა ზ დ ა კ ი. ჰო, ეს მე ვარ, საზიზღარი მოღალატე და თავლაფდასხმული დამნაშავე! ჩაფარო, ხეპრევე, მე მოვითხოვე, რომ ბორკილებგაყრილი ჩამოგეყვანე დედაქალაქში, რადგან, როგორც შემდგომ გავიგე, უნებლიეთ შევიფარე დიდი თავადი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიდი ავაზაკი. აი, მიყურეთ, ბოროტმოქმედი თავის თავს თვითონ ადანაშაულებს! ჩაფარო, აბა თქვი, როგორ გაიძულე მთელი ნახევარი დამე გერბინა ჩემთან ერთად, რათა ეს ამბავი განგვეცხადებინა.

პ ო ლ ი ც ი ე ლ ი შ ა ლ ვ ა. თან სულ მეძუქრებოდი, რაც კარგი არ არის, აზდაკ.

ა ზ დ ა კ ი. ხმა გაიკმინდე, შალვა, შენ არაფერი არ გაგეგება. ახალი დროება დადგა და გაგთელავს. შენი საქმე გათავებულია. პოლიციელებს

მუსრს გაავლებენ. ფიშტ! ყველაფერს გამოიძიებენ, ყველაფერს დღის სინათლეზე გამოიტანენ. ასე რომ, უკეთესია კაცი თვითონ გამოცხადდეს, თორემ ხალხს მინც ვერსად დაეძალები. (შალვას.) ჩაფარო, აბა ერთი, თქვი, როგორ ვყვიროდი, ხარაზების უბანში რომ გამოვიარეთ! (ყვირის თვითონვე, თან ხელებს პარჭყავს და დროდადრო აბჯროსნებისაკენ აპარებს ძზერას.) „მე დიდზე დიდ ავაზაკს დავეხმარე გაქცევაში, რადგან არ ვიცოდი, ვინ იყო. ჩამქოლეთ, ძმებო!“ ამით ყველას დავასწარი, თორემ ხომ შეიძლება ბრალდება წამოეყენებინათ ჩემთვის.

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი, მერედა, რას გპასუხობდნენ?

შ ა ლ ვ ა. ჯალათების უბანში ანუგეშებდნენ, ხოლო ხარაზების უბანში კი სიცილით იგუდებოდნენ. ეს იყო და ეს.

ა ზ დ ა კ ი. მაგრამ თქვენ სხვანაირად მოიქცევით, მე ვიცი, თქვენ რკინასავით მაგრები ხართ, ძმებო. მოსამართლე სად არის, მე უნდა დამკითხონ.

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი (ჩამოსხრებილზე მიუთითებს). აგერ მოსამართლე, და „ძმებოს“ ძახილს თაფი ანებე, თორემ ისედაც უკვე მთელი დღეა ყურები გვაქვს გამოჭედილი.

ა ზ დ ა კ ი. აგერ მოსამართლეო! — ასეთი პასუხი საქართველოში ჯერ არავის გაუგონია. მოქალაქენო, სად არის მისი აღმატებულება ბატონი გუბერნატორი? (სახრებილზე მიუთითებს.) აქ არის მისი აღმატებულება, გამგლელო. სად არის მთავარი გადასახადთა ამკრეფი? ციხის ზედამხედველი? პოლიციის უფროსი? აქ, აქ, აქ არიან ყველანი, ძმებო. აი, სწორედ ეს არის, რასაც თქვენგან მოფელოდი!

მ ე თ რ ე ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი. მოიცა! რაო, რას მოფელოდი ჩვენგან, ჩიტუნი?

ა ზ დ ა კ ი. იმას, რაც სპარსეთში მოხდა, ძმებო, რაც სპარსეთში მოხდა.

მ ე თ რ ე ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი. მერედა, რა მოხდა სპარსეთში?

ა ზ დ ა კ ი. ამ ორმოცი წლის წინათ იქ ყველანი ჩამოახრჩვეს. ვეზირები, გადასახადთა ამკრეფი. პაპაჩემი, მართლაცდა საკვირველი ადამიანი, თვითონ მოსწრებია ამ ამბავს. სამი დღის განმავლობაში ყველანი გაუუყეს თურმე.

მ ე თ რ ე ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი. მაშ, ვინდა განაგებდა, თუკი ვეზირები ჩამოახრჩვეს?

ა ზ დ ა კ ი. გლეხი.

მ ე თ რ ე ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი. ჯარს ვინდა სარდლობდა?

ა ზ დ ა კ ი. ჯარისკაცი, ერთ-ერთი ჯარისკაცი.

მ ე თ რ ე ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი. ჯამაგირს ვინდა იძლეოდა?

ა ზ დ ა კ ი. მღებავი, ერთი მღებავი იძლეოდა ჯამაგირს.

მეორე აბჯროსანი. მესალიჩე სომ არ იყო ნეტავი?

პირველი აბჯროსანი. რის გამო დატრიალდა მერე ეგ ამბები, ჰა, შე თათარო, შენა?!

აზდაკი. რის გამო დატრიალდა? განა ამისათვის რაიმე საგანგებო მიზეზია საჭირო? რატომ იფხან შენ, ძმობილო? თმია, არა?! დიდხანს გასტანა თმმა, არა?! სოლო სამართლიანობის ნასახიცი კი არ მოიძეგება! პაპაჩემს თან სიმღერა ჩამოჰყვა იქაურ ამბებზე. მე და ჩემი მეგობარი პოლიციელი გიმღერებთ, (შალვას.) შენ კი თოკი მაგრად გეჭიროს, სიმღერას მოუხდება. (მღერის. შალვას ის თოკზე მიბმული უჭირავს.)

რად დბიცაღენ სისხლისაგან ჩვენი კაცები,

რად დაეშრიტათ ცრემლი ჩვენს ქალებს?

მხოლოდ ხბორები თუ ღვრიან სისხლს სასაკლაოზე.

მხოლოდ ძეწნები აფრქვევენ ცრემლს ურმის ტბის პირას.

თურმე შაჰინშაჰს ახალ ქვეყნის დაპყრობა უნდა,

გლეხი კი ისდის ახალ-ახალ გადასახადებს.

რათა დაიპყრონ სახურავი ქვეყნიერების,

ქოხმასებს ჰგლეჯენ დღეს სახურავებს.

ჩვენ გვისტუმრებენ ზეცის ყველა მიმართულებით,

იმისათვის რომ დიდკაცობა შინ სუფრას უჯდეს.

ჯარისკაცები მუსრს ავლებენ ერთიმეორეს,

მხედართმთავარნი კი ერთმანეთს სალამს უძღვნიან.

ქვრივის გაღებულ გადასახადს კბილით სინჯავენ,

რომ ყალბი გროშიცი არ ჩაიჯიბონ,

სოლო ხმლები კი ჯახაჯუსში მთლად ჩლუნგდებიან.

ლაშქრობა წაგებულია, მაგრამ

მუზარადების ფული განადღებული არის.

ასე არ არის? ხალხნო, განა ასე არ არის?

პოლიციელი შალვა. ჰო, ჰო, ჰო, სწორედ ეგრეა, ეგრე.

აზდაკი. გინდათ ბოლომდე მოისძინოთ?

პირველი აბჯროსანი თავს უქნევს.

მეორე აბჯროსანი (პოლიციელს). რა, მაგან გასწავლა ეს სიმღერა?

პოლიციელი შალვა. დიახ, ოღონდ ხმა არ მივარგა.

მეორე აბჯროსანი. მაშ, ნუ იმღერებ. (აზდაკს.) შენ კი განაგრძე.

აზდაკი. მეორე სტროფი მშვიდობაზეა. (მღერის.)

სამსახურები გაჭედლია, ლამის ქუჩებშიც კი ჩამოსხდნენ
მოსელები.
ნაპირებიდან გადმოდიან მდინარეები და მინდორ-ველებს
აპარტახებენ.

ისინი, ვისაც შარვლის ჩახდაც კი არ ძალუძდათ,
სახელმწიფოთა განმგებლებად დაბრძანებულან.
ოთხამდე დათვლაც კი არ იციან, მაგრამ რვა თავ კერძს
ნთქავენ ერთ ჯერზე.
გლეხი სიმიინდის მუშტარს დაეძებს, მაგრამ დამშეულთ
პოულობს მხოლოდ.

საქსოვ დაზგებს კი ჩამოძონძილი მუშა ქალები
დასტრიალებენ,
ასე არ არის? ხალხნო, განა ასე არ არის?

პოლიციელი შალვა. ჰო, ჰო, ჰო, სწორედ ეგრეა, ეგრე.
აზდაკი.

აი, ამიტომ დაიცალნენ მთლად სისხლისაგან ჩვენი კაცები,
აი, ამიტომ დაეშრიტათ ცრემლი ჩვენს ქალებს.
აი, ამიტომ მხოლოდ სბორები დვრიან დღეს სისხლსა სასაკლაოზე.
აი, ამიტომ მხოლოდ ძეწნები აფრქვევენ ცრემლებს ურმის ტბის პირას.

პირველი აბჯროსანი. აქ, ქალაქში, ხომ არ გინდა ეგ სიმღერა
იმღერო?

აზდაკი. რა, ყალბია შიგ რამე?

პირველი აბჯროსანი. ხედავ, როგორ წითლად ღვივის? (აზდაკი
უკან მიიხედავს. ცა ხანძრისაგან წითლად არის შეფერილი.) ქალაქის გარე-
უბანშია. მესხალიჩებსაც შეეყარათ „სპარსული სენი“ და იკითხეს, თავადი
ყაზბეგიც სომ ერთობ ბეფრ კერძს არ სახსლავსო, და მეორე დღეს დილით
ქალაქის მოსამართლე ჩამოაკონწიალეს. მაგრამ ჩვენ ისინი მიწასთან გავას-
წორეთ. ას-ასი პიასტრი მოგვცეს თითო მესხალიჩეში. გასაგებია?

აზდაკი (პაუზის შემდეგ). გასაგებია. (შეშინებული უყურებს აბჯროს-
ნებს; მერე განზე გაიძურწება, დაჯდება მიწაზე და თავს ხელებში ჩარგავს.)

პირველი აბჯროსანი (მესამეს, მას შემდეგ, რაც ყველანი თითო
სასმისს გამოცლიან კიდეგ). შენ ახლა უყურე, რა ხეირი იქნება. (პირველი და
მეორე აბჯროსანი მივლენ აზდაკთან და გასაქცევ გზას მოუჭრიან.)

შალვა. ბატონებო, არა მგონია, რომ ეგ მთლად ცუდი კაცი იყოს. აი,
შეიძლება ხანდახან ქათამი მოიპაროს, ანდა ათასში ერთხელ კურდღელი
აწაპნოს.

მეორე აბჯროსანი (ზედ თავზე წაადგება აზდაკს). იმიტომ ჩამოხვედი, რომ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირო, არა?

აზდაკი (აზდაკს). არ ვიცი, რისთვის ჩამოვედი.

მეორე აბჯროსანი. მაშ, ეგ სიმღერა რა იყო?

აზდაკი. მაგას პაპანემი მღეროდა ხოლმე. ერთი უბირი და უგუნური კაცი.

მეორე აბჯროსანი. სწორია, მაგრამ იმ მღებავს რაღა ვუყოთ, ჯამაგირს რომ არიგებდა.

აზდაკი. ეგ სპარსეთში იყო.

პირველი აბჯროსანი. საკუთარ თავს რომ ადანაშაულებდი, რატომ დიდი თავადი ჩემივე ხელებით არ ჩამოგასრჩეო?

აზდაკი. განა არ გითხარით, გაქცევაში დავეხმარე-მეთქი.

შალვა. მე ვარ მოწმე, რომ მართლაც დაეხმარა გაქცევაში.

აბჯროსნები სასრხობელისაკენ მიათრევენ აზდაკს, რომელიც ყვირის. შემდეგ გაუშვებენ და გულიანად იცინიან. აზდაკიც აჰყვება და ყველაზე ხმამაღლა იცინის. ხელებს გაუხსნიან და ღვინის სმას იწყებენ. შემოდის მსუქანი თავადი ყაზბეგი ყმაწვილი კაცი ს თანხლებით.

პირველი აბჯროსანი (აზდაკს). აგერ, მოვიდა შენი ახალი დროება. (ხელასლა იცინიან.)

მსუქანი თავადი. ნეტავი რა გაცინებთ, მეგობრებო? ნება მიბოძეთ, სერიოზული რამ მოგახსენოთ. გუშინ დილით საქართველოს თავადებმა დაამხეს დიდი თავადის ომისმოსურნე მთავრობა და თავიდან მოიცილეს მისი გუბერნატორები. თვითონ დიდი თავადი, სამწუსაროდ, ხელიდან დაგვისხლტა. ასეთ საბუდისწერო ჟამს ჩვენმა მესალიჩებმა, რომლებიც მარად თავიანთი დაუდევრობით გამოირჩევიან, უგუნურება გამოიჩინეს, აჯანყდნენ და ყველახათვის საყვარელი ქალაქის მოსამართლე — ჩვენი ძვირფასი ილო ორბელიანი ჩამოასრჩევს. ჩუ, ჩუ, ჩუ, მეგობრებო, ჩვენ მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა და კიდევ მშვიდობა გვჭირდება საქართველოში... და სამართალიც. აი, ჩემი ძვირფასი ძმისწული ბიზერგან ყაზბეგი მოგიყვანეთ. ნიჭიერი ადამიანია. ეს დაგაყენოთ მოსამართლედ. დაე, ხალხმა გადაწყვიტოს.

პირველი აბჯროსანი. ესე იგი, როგორ უნდა გავიგოთ, ჩვენ უნდა ავირჩიოთ მოსამართლე?

მსუქანი თავადი. ჰო, თქვენ. ხალხი აყენებს ნიჭიერი კაცის კანდიდატურას. მოილაპარაკეთ ერთმანეთში, მეგობრებო, და მორჩა და გათავდა.

მაშინ, როდესაც აბჯროსნები ერთმანეთს თავებს მიადებენ და ჩურჩულებენ.

არხეინად იყავი მელაკუდავ, მოსამართლის ადგილი უკვე შენია. და როცა დიდ თავადსაც ჩაფაფლებთ, მაშინ უკვე აღარ დაგვეჭირდება ამ ვიგინდარებს უკან შევუძვრეთ ხოლმე.

ა ბ ჯ რ თ ს ნ ე ბ ი (ერთმანეთში). მაგათ უკვე გაისვარეს შარვლებში, ვინაიდან დიდ თავადს ვერ ჩააფლეს.

— რასაც ამ სოფლის მწერალს უნდა ვუმაღლოდეთ. ამან გააქცია ის თავადი.

— თავს ამტკიცედ ვერა გრძნობენ და ამიტომ არის, რომ „ჩემო მეგობრებოსა“ და „ხალხმა გადაწყვიტოსო“ იძახიან.

— ახლა უკვე სამხართალიც კი მოინდომა საქართველოში.

— მაგრამ ხაფანგი მაინც ხაფანგია და ხაფანგად დარჩება.

— მოდი ამ სოფლის მწერალს ვკითხოთ, სამართლის საქმეში კარგად ერკვევა. შენ ეი, ჩანჩურავ, გინდა მსუქანი თავადის ძმისწული მოსამართლედ დავაყენოთ?

ა ზ დ ა კ ი. თქვენ მე გყვევართ მხედველობაში?

ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი (განაგრძობს). გინდა მსუქანი თავადის ძმისწული მოსამართლედ დავაყენოთ?

ა ზ დ ა კ ი. მე მეკითხებით? მე არ მეკითხებით, ხომ მართალია?

ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი. რატომაც არა? ყოველთვის ხომ არ გეხუმრებით?

ა ზ დ ა კ ი. ისე გაგიგეთ, თითქოს ჯერ საგულდაგულოდ გინდოდეთ გამოსცადოთ, ხომ სწორია? ჰოდა, ერთი ვინმე მაგარი ბოროტმოქმედი არა გყავთ შემონახული, რომ კანდიდატმა მის მაგალითზე თავისი მარიფათი გვანგენოს?

მ ე ს ა მ ე ა ბ ჯ რ თ ს ა ნ ი. დამაცა, გავისხენო. ჰო, მართლა, ქვევით ორი ექიმი გვყავს მოყურებული, გუბერნატორის ძუკნასი. ისინი გამოდგებიან.

ა ზ დ ა კ ი. მოიცა, ეგრე არ ივარგებს. ნამდვილი ბოროტმოქმედის აყვანა არ შეიძლება, თუკი მოსამართლე ჯერ არ არის თავის ადგილზე დამტკიცებული. შეიძლება ლენჩიც იყოს, მაგრამ დამტკიცებით კი, აუცილებლად უნდა იყოს დამტკიცებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალი შეიბღალე-ბა, რადგან იგი ერთობ მგრძნობიარე რამეა, აი, ვთქვათ, ისევე, როგორც ტყლიპი, რომელზედაც არ შეიძლება კაცს მუშტები დაუშინო, თორემ ხელში შემოგაკვდება. შეგიძლიათ ორივენი ჩამოახრჩოთ, ამით სამართალი არ დაირღვევა, თუკი მოსამართლე არ იქნება გარეული. გასამართლება უადრესად სერიოზულად უნდა ხდებოდეს, ყოველი წვრილმანი უნდა დავიცვათ. მაგალითად, თუ მოსამართლე ქალს ციხეში აგდებს იმიტომ, რომ შვილისათვის მჭადი მოიპარა, და განაჩენის გამოტანის დროს მოსამართლის წამოსასხამი არ ეცმევა, ანდა ისე დაიფხანს ტანს, რომ სხეულის ერთ მესამედზე მე-

ტი გამოუჩნდება, რაც მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ თემოს თავს დაიფხანს, მაშინ განაჩენს ძალა არ ექნება, სამართალი შეიბღალება. უფრო მოსამართლის წამოსასხამმა, ანდა მოსამართლის ქუდმა შეიძლება განაჩენი გამოიტანოს, ვიდრე ადამიანმა ყოველივე ამის გარეშე. სამართალი ვითომც არ ყოფილა, ისე ქრება, როცა მასზე არ ზრუნავენ. არ შეიძლება კაცმა დალიო ღვინო, რომელიც ძაღლმა ატლიკა. რატომ? რატომ და იგი უკვე აღარ არსებობს.

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. მაშ, რას გვირჩევ, შე ფეხებიდან მოცვეთილო?

ა ზ დ ა კ ი. მე ვიქნები ბრალდებული, მე ვიცი, ვისაც გავითამაშებ. (აბჯროსნებს ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს.)

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. შენ?

ყველანი გულიანად იცინიან.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. ჰა, რა გადაწყვიტეთ?

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოცდა მოვუწყოთ. აი, ეს ჩვენი კარგი მეგობარი კაცი ბრალდებულის როლს ითამაშებს, ხოლო მოსამართლის სკამი კი მოსამართლეობის კანდიდატმა დაიკავოს.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. ასეთი რამ უჩვეულოა, მაგრამ რატომაც არა, შეიძლება. (ძმისწულს). ფორმალობაა და მეტი არაფერი, ძელაკუდავ. როგორ გასწავლეს, ვინ უფრო აღრე მივა მიზანთან, მალემსრბოლი თუ ნელამსრბოლი?

ძ მ ი ს წ უ ლ ი. ფარულადმსრბოლი, მია არსენ. (ძმისწული მოსამართლის სკამს იკავებს.)

მსუქანი თავადი ძმისწულის უკან დგება, აბჯროსნები საფეხურებზე სხდებიან და აზდაკი მიიბრუნს მოსამართლესთან. სიარულში აშკარად დიდ თავადს ბაძავს.

ა ზ დ ა კ ი. ისეთი ვინმე არის აქ, მე რომ მცნობდეს? მე დიდი თავადი ვარ!

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. ვინაო?

მ ე თ რ ე ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. დიდი თავადი. ეგ მართლა იცნობს იმასა.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. კარგი.

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. აბა, დაიწყეთ გასამართლება.

ა ზ დ ა კ ი. ყური დამიგდე, ომის გაჩაღებაში მდებენ ბრალს. სასაცოლო. სასაცალო-მეთქი. არ კმარა ესა? თუ არა კმარა, მე თან ვექილები მოვიყვანე, მგონი, ხუთასამდე უნდა იყვნენ. (გაიშვერს ხელს და რკალს შემოხაზავს,

თითქოს მის უკან მრავალი ვეჭილი იდგეს.) გთხოვთ, დარბაზში რაც ადგი-
ლებია, სულ ჩემს ვეჭილებს დაუთმოთ!

აბჯროსნები იცინიან, მსუქანი თავადიც იცინის მათთან ერთად.

მ მ ი ს წ უ ლ ი (აბჯროსნებს). ეს საქმე გინდათ გავარჩიო? უნდა მოგახ-
სენოთ, რომ ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ მიმაჩნია. გემოვნების თვალსაზრი-
სით მაინც, მე ვფიქრობ, ეს ასეა.

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. მიდი, მიდი.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი (ღიმილით). ერთი უჩვენე მაგას სეირი, მე-
ლაკუდავ.

მ მ ი ს წ უ ლ ი. კეთილი. მომჩივანია საქართველოს ხალხი, მოპასუხე —
დიდი თავადი. აბა, ბრალდებულო, რით შეგიძლიათ გაიმართლოთ თავი?

ა ზ დ ა კ ი. ძალიან ბევრი რამით. მე თვითონაც, რა თქმა უნდა, წავიკი-
თხე, რომ ომი წავაგეთ, მაგრამ თავის დროზე ეს ომი დავიწყე ისეთი პატრი-
ოტების რჩევით, როგორცაა ძია ყაზბეგი. გთხოვთ ძია ყაზბეგი მოწმედ მო-
იწვიოთ.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი (აბჯროსნებს გულითადად). რა ახირებული ვინ-
მეა, არა?

მ მ ი ს წ უ ლ ი. მოპასუხეს უარი ითქვას თხოვნაზე. თქვენ, რასაკვირვე-
ლია, არ შეიძლება ბრალი დაგდონ იმაში, რომ ომი გამოაცხადეთ, უამიდან
უამზე ყოველი ხელისუფალი ხდება იძულებული ასეთი რამ მოიმოქმედოს,
მაგრამ იმაში კი, რომ მას ცუდად აწარმოებდით.

ა ზ დ ა კ ი. სისულელეა. მე საერთოდ არ მიწარმოებია. სხვებს დავანებე
მისი წარმოება, თავადებს დავანებე მისი წარმოება და მათ, რა თქმა უნდა,
ჩააფლავეს საქმე.

მ მ ი ს წ უ ლ ი. განა თქვენ უარყოფთ, რომ უმაღლესი სარდლობა
თქვენს ხელთ იყო?

ა ზ დ ა კ ი. არავითარ შემთხვევაში. უმაღლესი სარდლობა მუდამ ჩემს
ხელთ იყო. ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვი ვუტევედი ხოლმე გადიას. ასე ვარ აღზ-
რდილი — მოსასაქმებლად ფეხსადგილში დავდივარ. მბრძანებლობას დაჩვე-
ული ვარ. მე მუდამ ბრძანებას ვაძლევდი მოხელეებს ჩემი ხაზინა გაექურ-
დათ. ოფიცრები მხოლოდ ჩემი ბრძანებით წკებლავენ ჯარისკაცებს; მემაძუ-
ლეები თავიანთი გლეხების ცოლებთან მხოლოდ ჩემი უმკაცრესი ბრძანების
თანახმად წვებიან ხოლმე. აი, ძია ყაზბეგსაც ღიპი მხოლოდ ჩემი ბრძანების
გამო აქვს.

ა ბ ჯ რ ო ს ნ ე ბ ი (ტაშს უკრავენ). ყოჩაღ! ვაშა დიდ თავადს!

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. აბა, მელაკუდავ, უპასუხე! მე შენთანა ვარ.

მ მ ი ს წ უ ლ ი. ვუპასუხებ და თანაც ისე, რომ სასამართლოს ღირსება

არ შეიბღალოს. ბრალდებულო, კეთილი ინებეთ და სასამართლოს ღირსება დაიცავით.

ა ზ დ ა კ ი. თანახმა ვარ. გიბრძანებთ, დაკითხვა განაგრძოთ.

მ მ ი ს წ უ ლ ი. თქვენ არ შეგიძლიათ მე მიბრძანოთ. მაშასადამე, თქვენ ამტკიცებთ, რომ თავადებმა გაიძულეს ომი გამოგეცხადებინათ. მაშ, როგორ-ღა ამტკიცებთ, თავადებმა ჩააფლავეს ომის საქმეო?

ა ზ დ ა კ ი. ჯვარში საკმაო ხალხი არ გამოჰყავდათ. სახაზინო ფულს ანი-აფებდნენ. სულ დავარდნილი ცხენებით მოამარაგეს ჯარი. შეტევის დროს სა-როსკიპოებში ლოთობდნენ. მოწმედ ბიძათქვენს ვასახელებ.

მ მ ი ს წ უ ლ ი. ნუთუ თქვენ გსურთ, ყოვლად წარმოუდგენელი რამ ამ-ტკიცოთ, რომ ჩვენი ქვეყნის თავადები არ იბრძოდნენ?

ა ზ დ ა კ ი. არა, თავადები იბრძოდნენ სხამხედრო დაკვეთების მიღები-სათვის.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი (წამოხტება). ეს უკვე მეტისმეტია. ეგ ჯეელი მესხალიჩესავით ლაპარაკობს.

ა ზ დ ა კ ი. მართლა? მე მხოლოდ ჭეშმარიტებას ცამბობ.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. ჩამოჰკიდეთ, ჩამოახრჩვეთ!

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. წყნარად. განაგრძეთ, თქვენო უმაღ-ლესობავ.

მ მ ი ს წ უ ლ ი. სმენა იყოს და გაგონება! განაჩენს ვაცხადებ: უნდა ჩა-მოხრჩობილ იქნას. გასანთლულ თოკზე ჩამოგაკონწიალებენ კისრით. თქვენ ომი წააგეთ.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი (ისტერიულად). ჩამოჰკიდეთ! ჩამოახრჩვეთ! ჩა-მოახრჩვეთ!

ა ზ დ ა კ ი. ყმაწვილო, სერიოზულად გირჩევთ, ოფიციალურ თანამდებ-ობაზე ყოფნის დროს პასტა-პასტა სიტყვები არ იხმართო ხოლმე. თუ მგე-ლივით იღმუფლებთ, მოდარაჯე ნაფაზად არ დაგაყენებენ. გასაგებია?

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. ჩამოჰკიდეთ!

ა ზ დ ა კ ი. თუ ხალხი შენიშნავს, რომ თავადები იმავე ენით ლაპარაკო-ბენ, როგორითაც დიდი თავადი, მაშინ შეიძლება დიდი თავადიც ჩამოახრჩონ და თავადებიც ზედ მიაყოლონ. ასეა თუ ისე, მე ვაუქმებ განაჩენს. საფუძვე-ლი: ომი მართალია წაგებულა, მაგრამ არა თავადებისათვის. თავადებმა თავ-ვიანთი ომი მოიგეს. მათ სამი მილიონ რვაასსამოცდასამი ათასი პიასტრი გა-დაუხადეს ცხენებში, რომლებიც მათ არ მიაწოდეს ჯარს.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი ჩამოჰკიდეთ!

ა ზ დ ა კ ი. ხოლო რვა მილიონ ორასორმოცი ათასი პიასტრი იმ რაზმე-ბის აღჭურვაში, რომლებიც მათ უნდა გამოეყვანათ და არ გამოეყვანეს.

მ ს უ ქ ა ნ ი თ ა ვ ა დ ი. ჩამოახრჩვეთ.

აზდაკი. ასე რომ, გამარჯვებულნი არიან. ომი მხოლოდ საქართვე-
ლომ წააგო, რომელიც, როგორც ასეთი, არ არის წარმოდგენილი სასამარ-
თლოში.

მსუქანი თავადი. მე მგონია, კმარა, მეგობრებო. (აზდაკს.) შეგიძ-
ლია გადადგე, სულთამხუთავო. (აბჯროსნებს.) ჩემის აზრით, ახლა უკვე შე-
იძლება ახალი მოსამართლე დავამტკიცოთ, მეგობრებო!

პირველი აბჯროსანი. კი, უკვე შეიძლება, აბა გააძრეთ ამას
მოსამართლის მოსასხამი.

ერთ-ერთი აბჯროსანი მხრებზე ადგება მეორეს და ჩამოხრჩობილს მოსამარ-
თლის წამოსასხამს აძრობს.

ჰოდა, შენ კი (ძმისწულს.) აქედან მოუსვი! კარგ სკამზე მჯდომს საჯდომიც
კარგი უნდა ჰქონდეს. (აზდაკს.) მოდი აქ, წადი და შენ დაჯექი მოსამართლის
სკამზე, ადამიანო.

აზდაკი მიდის სკამთან, თავს უკრავს დამსწრეთ და ჯდება.

მოსამართლეები ყოველთვის ხელიდან წასულები იყვნენ და დაე, ახლაც ხე-
ლიდან წასული იყოს მოსამართლედ.

აზდაკს მოსამართლის წამოსასხამს მოახურავენ და თავზე ბოთლის ჩასად-
გმელ კალათს დაადგამენ.

აბა, ერთი უყურეთ, ჩვენი მოსამართლე რა ბიჭია!

მგოსანი.

სამოქალაქო ომს მოეცვა მთელი ქალაქი, ხელისუფლება
მტკიცე არ იყო.

მაშინ აზდაკი იქ მოსამართლედ გამოაცხადეს აბჯროსნებმა.
აი, აზდაკი მოსამართლე გახდა ორი წლით.

მგოსანი მუსიკოსებთან ერთად.

ცეცხლის ენები ზეცას სწვდებოდა, სისხლის მორევში

ქალაქები იძირებოდა,

სოროებიდან ამომძვრალი ჯოჯოები კი არად აგდებდნენ

კაცის მიერ გავლებულ მიჯნას.

მკვლელი იცავდა სასახლის ერდოს, საკურთხეველი უღმერთოს ერგო
და მოსამართლის წამოსასხამში გამოწყობილი აზდაკი იჯდა.

მოსამართლის სკამზე ზის აზდაკი და ვაშლს თლის. შალვა ცოცხით
გვის დარბაზს. ცალ მხარეს არიან ინვალიდი, რომელიც ბორბლებიან
სკამში ზის, ბრალდებული ექიმი და დამონძილი კოჭლი; მეორე
მხარეს — ყმაწვილი კაცი, რომელსაც გამოძალვაში ედება ბრალი.
მცველად ერთი აბჯროსანი დგას და ხელთ აბჯროსანთა ალამი უპყრია.

ა ზ დ ა კ ი. საქმეთა სიმრავლის გამო დღეს მათ სასამართლო წყვილ-წყვილად არჩევს. ვიდრე დავიწყებდე, მინდა მოკლე განცხადება გავაკეთო: მე ვიღებ. (ხელს იშვერს.)

მხოლოდ გამომძალველი ამოიღებს ფულს და გაუწვდის.

უფლებას ვიტოვებ ერთ-ერთი მხარე სასამართლოს უპატივცემულობისათვის (ინგალიდს უყურებს.) დავსაჯო. (ექიმს.) შენ ექიმი ხარ და შენ (ინგალიდს.) ბრალს ხდებ. დამნაშავეა თუ არა ექიმი შენს ამჟამინდელ მდგომარეობაში?

ი ნ ვ ა ლ ი დ ი. რასაკვირველია. მაგის გამო დამეცა დამბლა.

ა ზ დ ა კ ი. მაშინ მხოლოდ ავადმყოფისადმი დაუდევარ დამოკიდებულებაში დაედება ბრალი.

ი ნ ვ ა ლ ი დ ი. არა, აქ დაუდევრობაზე მეტი რამ არის. მე მაგას ფული ვასესხე სწავლისათვის და აი, დღემდე არ დაუბრუნებია. სოლო, როცა შევიტყვე, რომ თავის პაციენტებს უფასოდ სწამლობს, დამბლა დამეცა.

ა ზ დ ა კ ი. სრულიად სამართლიანად. (კოჭლს.) შენ რაღა გინდა აქ?

კ ო ჭ ლ ი. მეც ამ ექიმის პაციენტი ვარ, თქვენო მოწყალეზავ.

ა ზ დ ა კ ი. ალბათ ფეხს გმკურნალობდა, არა?

კ ო ჭ ლ ი. იმას არა, რომელიც მტკიოდა. მე ქარები მარცხენაში მქონდა, მაგან კი მარჯვენაზე გამიკეთა ოპერაცია. აი, ამიტომ ახლა ვკოჭლობ კიდევ.

ა ზ დ ა კ ი. ძერედა, ოპერაცია უსასყიდლოდ გავიკეთა?

ი ნ ვ ა ლ ი დ ი. წარმოგიდგენიათ, ხუთპიასტრიანი ოპერაცია უსასყიდლოდ! ასე ვთქვათ, ნისიად, „დმერთი გადაგისდისო“ — ამ სიტყვების ფასად! და მე კი ამ კაცს სასწავლებლად ფული მივეცი! (ექიმს.) განა ეს გასწავლეს სკოლაში, უფასოდ გააკეთე ხოლმე ოპერაციებიო?

ე ქ ი მ ი. თქვენო მოწყალეზავ, მართლაცდა ჰონორარის გამორთმევა ოპერაციის წინ არის მიღებული, ვინაიდან პაციენტი ამ დროს უფრო ხალისიანად იძლევა ფულს, ვიდრე შემდეგ. ადამიანური თვალსაზრისით ეს გასაგებიცაა. იმ შემთხვევის დროს კი, თქვენ რომ ახლა არჩევთ, მე ოპერაციის დაწყებისას მეგონა, რომ ფული უკვე მიიღო ჩემმა მსახურმა-მეთქი. აი, ამაში შევცდი.

ი ნ ვ ა ლ ი დ ი. ჰმ, შეცდა! კარგი ექიმი არასოდეს არ ცდება! ჯერ გასინჯავს და მერე გააკეთებს ოპერაციას!

ა ზ დ ა კ ი. ეს სწორია. (შალვას.) მეორე საქმე რომელიდაა, ბატონო საზოგადოებრივო ბრალმდებელი?

შ ა ლ ვ ა (თან გაცხარებული გვის). გამომძალვა.

გ ა მ ო მ ძ ა ლ ვ ე ლ ი. პატივცემულო მოსამართლე, მე უდანაშაულო

ვარ. მე მხოლოდ მინდოდა იმ მემამულისაგან გამეგო, მართლა გააუპატიურა თუ არა თავისი დისწული. მან მეგობრულად განმიმარტა, არაო და ფული მხოლოდ იმისათვის მომცა, რომ საშუალება მქონდეს ბიძაჩემს მუსიკა ვასწავლო.

აზდაკი. ოჰო! (ექიმს.) შენ კი პირიქით, ექიმო, შენი დანაშაულის შესამსუბუქებლად არავითარი საბუთი არ შეგიძლია მოიტანო, სომ ასეა?

ექიმი. სულ ბევრი ის, რომ ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდება.

აზდაკი. განა არ იცი, რომ კარგი ექიმი ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობას იჩენს, როცა საქმე ფულს შეეხება? აი, ერთი ექიმი ყოფილა თურმე, რომელსაც ნაღრძობი თითიდან ათასი პიასტრი ამოუქანია, დაუდგენია რა, რომ თითის ტკივილი გამოწვეული იყო სისხლის მიმოქცევის დარღვევით, რაც უფრო ნაკლებად გაწაფულ ექიმს გამოეპარებოდა. ერთხელ კიდევ ამავე ექიმს ისე გულდასმით უმკურნალა ნაღვლის ბუშტისათვის, რომ ნამდვილ ოქროს საბადოდ გადაუქცევია. არა, შენ არავითარ შემთხვევაში არ გეპატიება შეცდომა. ერთმა ჭირნახულით მოვაჭრემ თავისი ვაჟი სამედიცინო სასწავლებელში მიაბარა, რათა ვაჭრობის ხელობას დაუფლებოდა, იმდენად კარგად არის ეს საქმე იქ დაყენებული. (გამომძალველს.) რა გვარია მემამულე?

შალვა. მემამულემ ითხოვა, ჩემს გვარს ნუ დაასახელებთ პროცესზეო.

აზდაკი. მაშინ განაჩენები გამომაქვს. გამომძალვის ფაქტი სასამართლოს დამტკიცებულად მიაჩნია. შენ კი (ინვალიდს.) ათასი პიასტრი ჯარიმა მოგესაჯა. თუ კიდევ ერთხელ დაგეცა დამბლა, მაშინ ექიმმა უფასოდ უნდა გიმკურნალოს და, თუ საჭირო იქნება, უფასოდვე გაგიკეთოს ამპუტაცია. (კოჭლს.) მოყენებული ზარალის კომპენსაციად სასამართლო ერთ ბოთლ ჭაჭის არაყს განიჭებს. (გამომძალველს.) შენი ჰონორარის ნახევარი უნდა საზოგადოებრივ ბრალმდებელს გადასცე, რათა სასამართლომ მემამულის გვარი არ გამოაცხადოს და, ამას გარდა, რჩევა ეგძლევა მედიცინა შეისწავლო, ვინაიდან საამისო მონაცემები მოგეპოვება. ხოლო შენ კი, ექიმო, შენს დარგში დაშვებული არასაპატიებელი შეცდომის გამო სასამართლოს ვამართლებულად მიაჩნისარ. გადაფდივარ შემდეგ საქმეებზე!

მ გ ო ს ა ნ ი დ ა მ უ ს ი კ ო ს ე ბ ი .

რაც გულით სანატრელია, მისი მოხვეჭა ძნელია,
და რაც უღმერთოდ ძვირდება, მისი შეძენა ჭირდება,
ხოლო სამართალს ყველა თავის არშინით ზომავს.

როცა ორსა აქვს სადავო რამე, უკეთ გადაწყვეტს ამას მესამე.

აი, ამგვარი საქმენი სწვნიეს და მოსამართლე ამოირჩიეს,
გვახეირობსო ამ ადგილზე აზდაკის ყოლა.

ფუნდუკიდან, რომელიც სამხედრო გზის პირას დგას, გამოდის აზდაკი. თან ახლავს მეფუნდუკე, გრძელწვერიანი მოხუცი, ხოლო მათ უკან მოჯამაგირე და პოლიციელი შალვა მოსამართლის სკამს მოათრევენ.

აზდროსანი აბჯროსანთა აღმით ხელში საზეიმო პოზაში დგება.

აზდაკი. აი, აქ დადგით. აქ სუფთა ჰაერი მაინც არის და გაღმიდან სიოს ლიმონის ბაღების სურნელი მოაქვს. იუსტიციას რგებს ღია ცის ქვეშ საქმის წარმოება. ქარი კალთას მაღლა უწევს და მთელ მის ავლადიდებას აჩენს. შალვა, ამდენი არ უნდა გვეჭამა, ბიჭო, საინსპექციო მოგზაურობანი ძალზე მომქანცველია. (მეფუნდუკეს.) მაშ, შენს რძალს შეეხება ეს საქმე?

მეფუნდუკე. თქვენო მოწყალებავ, საქმე ჩემი ოჯახის ღირსებასა და პატივს შეეხება. მე ჩემი ვაჟის მაგივრად იჩივი, რომელიც მთაშია წასული საქმეზე. აი, ეს არის ის მოჯამაგირე, რომელმაც შესცოდა, და აი, ესეც ჩემი საწყალი რძალი.

შემოდის რძალი, გაფაშფაშებული ქალი. სახეზე პირბადე აქვს ჩამოფარებული.

აზდაკი (ჯდება). მე ვიღებ.

მეფუნდუკე ოხვრით აძლევს ფულს.

ასე, ამით ფორმალური მხარე ამოწურულია. მაშ, ფაუპატიურებას ჰქონდა ადვილი?

მეფუნდუკე. თქვენო მოწყალებავ, ამ ჯეელს სწორედ მაშინ წავადექი თავზე საჯინიბოში, როცა ის იყო თივაზე წაექცია ჩვენი უუჟუნა.

აზდაკი. ჰო, სწორია. საჯინიბოში მშვენიერი ცხენებია. განსაკუთრებით ერთი პატარა, ჩალისფერი.

მეფუნდუკე. მე, რასაკვირველია, ჩემი ვაჟის მაგივრად იქვე დავუწყე უუჟუნას შერცხვენა.

აზდაკი (სერიოზულად). მე ვთქვი, რომ ჩალისფერი მომეწონა-მეთქი.

მეფუნდუკე (ცივად). მართლა? მაშინ უუჟუნა გამომიტყდა, რომ მოჯამაგირემ, წინააღმდეგ ჩემი რძლის ნება-სურვილისა, მასთან იცხოვრა.

აზდაკი. აბა, პირბადე ჩამოიხსენი, უუჟუნა.

ქალი პირბადეს იხსნის.

უუჟუნა შენ სასამართლოს მოსწონხარ. გვიამბე, როგორ იყო ყველაფერი.

უუჟუნა (გაზეპირებული ფრაზებით). შევედი თუ არა თავლაში ახალი კვიცის სანახავად, მოჯამაგირემ ლაპარაკი დამიწყო, თუმცა საამისო საბაბი არ მიმიცია. დღეს ძალიან ცხელაო, მითხრა და ხელი მარცხენა ძუძუზე დამადო. მე ვუთხარი, ნუ აკეთებ-მეთქი ამას, მაგრამ მაინც განაგრძო ურცხვად

ხელების ფათური, რამაც ძალიან გამახელა. ვიდრე მის მრუშ განზრახვას შე-
ვიტყობდი, ჩემთან უკვე ახლოს აღმოჩნდა. მერე ჩემი მამამთილიც შემოგადა
და შეცდომით ფეხებით შემდეგა ზედ.

მ ე ფ უ ნ დ უ კ ე (განმარტავს). ჩემი ვაჟის მაგივრად.

ა ზ დ ა კ ი (მოჯამაგირეს). აღიარებ, რომ პირველმა დაუწყე ლაპარაკი?
მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე. დიას.

ა ზ დ ა კ ი. უუუუნა, ყელის ჩატკბარუნება გიყვარს?

უ უ უ უ ნ ა. კი, დახალული მზესუმზირათი.

ა ზ დ ა კ ი. ბანაობის დროს დიდხანს ზიხარ როფში?

უ უ უ უ ნ ა. ასე, ნახევარი საათი.

ა ზ დ ა კ ი. ბატონო საზოგადოებრივო ბრალმდებელო, შენი დანა აგერ
იქ, მიწაზე დადე. (შალვა ასრულებს ბრძანებას.) უუუუნა, წადი და საზოგადო-
ებრივი ბრალმდებლის დანა აიდე.

უუუუნა თეძოების რხევით მიდის დანასთან და იღებს.

ა ზ დ ა კ ი (ქალზე მიუთითებს). ხედავთ? ხედავთ, როგორ ირწე-
ვა? დამნაშავე მხარე აღმოჩენილია. ძალის ხმარება დამტკიცებულია.
ბევრი ჭამისა, განსაკუთრებით ტკბილეულის ჭამისა და ნელთბილ
წყალში დიდხანს ჯდომის შედეგად, სიზარმაცის შედეგად და იმის
გამო, რომ ერთობ ფაფუკი კანი გაქვს, შენ ძალა იხმარე ამ საბრალ-
ოდამიანზე. ნუთუ გგონია, რომ შეიძლება ასეთი გავით იარო და სასამარ-
თლომ პასუხი არ გაგებინოს? ეს ხომ წინასწარ განზრახული თავდასხმაა და
ისიც ესოდენ საშიში იარადით! სასჯელად სასამართლოს უნდა გადასცე ის
პატარა ჩალისფერი ცხენი, რომელზედაც შენი მამამთილი ზის ხოლმე თავის
ვაჟის მაგივრად, ხოლო ახლა კი ჩემთან ერთად წამოხვალ თავლაში, რათა
სასამართლო დანაშაულის ადგილს გაეცნოს.

საქართველოს სამხედრო გზაზე აბჯროსნებს ადგილიდან ადგილზე გადაჭ-
ყავთ მოსამართლის სკამზე მჯდომი ა ზ დ ა კ ი. მათ უკან მისდევთ შ ა ლ ვ ა,
რომელიც სასრჩობელას მიათრევს და მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე, რომელიც პატარა
ჩალისფერ ცხენს მიუძღვის.

მ გ ო ს ა ნ ი მ უ ს ი კ ო ს ე ბ თ ა ნ ე რ თ ა დ.

როცა დიდკაცნი ერთმანეთს სპობდნენ,

მდაბიოები გულით ხარობდნენ.

დრო აღარ ჰქონდა აღარავის იმათი ჩაგვრის

და გზებზე ღარიბ-ღატაკთა შორის,

თუმცა კი ხელში ყალბი სასწორით,

ესეტებოდა მათი მომხრე, მათი აზდაკი.
მდიდარს ართმევდა, აძლევდა ღარიბს,
ასე ესმოდა მას სამართალი.
ცრემლის კურცხალის ლუქი ჰქონდა ნიშნად ყოველთვის.
და ქუჩის ბრბოთი გარემოცული,
ზოგისთვის კარგი, ზოგისთვის ცუდი,
ესეტებოდა მოსამართლე საქართველოსი.

პროცესია სულ უფრო და უფრო შორს მიდის.

მოყვასთან ცულით იარეთ,
ბიბლიას თავი ანებეთ!
ამოიღამა თვალები,
გინც მისგან შველას ელოდა.
ხელში აიღეთ ცულები,
თუ გინდათ სასწაულები, —
აზდაკსაც სწორედ ამგვარი სასწაულები სჯეროდა.

აზდაკის სკამი სამიკიტნოში დგას. სამი ბობოლა გლეხი დაყუდებულა
აზდაკის წინაშე, რომელსაც შალვა ღვინოს უსხამს. კუთხეში მოხუცი
გლეხი დედაკაცო მიყუყულა. ღია კართან სოფლელებს მოუყრიათ
თავი და სასამართლო პროცესს უყურებენ. ერთ-ერთი აბჯროსანი გუ-
შაგად დგას აბჯროსანთა ალმით ხელში.

აზდაკი. სიტყვა ეკუთვნის ბატონ საზოგადოებრივ ბრალმდებელს.

შალვა. საქმე ესება ერთ ძროხას. ბრალდებული (გლეხის დედაკაც-
ზე მიუთითებს.) ხუთი კვირაა, რაც თავის ბოსელში ინახავს ძროხას, რომე-
ლიც შეძლებულ გლეხს ვანიშვილს ეკუთვნის. ბრალდებულს უპოვნეს აგრეთ-
ვე მოპარული ღორის ბარკალი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შეძლებულ
გლეხს ნასყიდაშვილს ვილაცამ ძროხები დაუხოცა, ეს მას შემდეგ, რაც მან
ბრალდებულს მიწის ნაკვეთში საიჯარო გადასახადი მოსთხოვა.

ბობოლა გლეხები. ლაპარაკია ჩემი ღორის ბარკალზე, თქვენო
მოწყალეზავ.

— ლაპარაკია ჩემს ძროხაზე, თქვენო მოწყალეზავ.

— ლაპარაკია ჩემს მიწის ნაკვეთზე, თქვენო მოწყალეზავ.

აზდაკი. აბა, შენ რაღას იტყვი ამაზე, დედილო?

დედაბერი. თქვენო მოწყალეზავ, ხუთი კვირის წინათ, ღამით, გათე-
ნებისას ვილაცამ დამიკაკუნა კარზე. გავიხედე და ვილაც წვეროსანი კაცი
არა დგას გარეთა! თან ძროხა ჰყავს მოყვანილი და იმეუბნება: „დედი, მე

სასწაულმოქმედი წმინდა ბანდიტუსი ვარ და ვინაიდან ომში ვაჟი დაგელუბა, აი, ეს ძროხა მიბოძებია შენთვის. აბა, შენ იცი, როგორ მოუვლი“.

ბობოლები. ეს ყაჩაღი ირაკლი იყო, თქვენო მოწყალეზავ!

— მაგისი სიძე, თქვენო მოწყალეზავ!

— ცხენიპარია და ცუცხლისგამჩენი! თავის მოკვეთის ღირსია.

გარედან მოისმის ქალის წივილი. ბრბოში ჩოჩქოლი ატყდება და იგი უკან იწევს. შემოდის ყაჩაღი ირაკლი ვეება ნაჯახით ხელში.

ბობოლები. ირაკლი! (პირჯვარს იწერენ.)

ყაჩაღი. სადამო მშვიდობისა, ჩემო ძვირფასებო! ერთი ჭიქა ღვინო მოიტათ!

აზდაკი. ბატონო საზოგადოებრივო ბრალმდებლო, ერთი ჭიქა ღვინო მძართვი სტუმარს! (ყაჩაღს.) ვინა ხარ შენა?

ყაჩაღი. მოხეტიალე განდევილი გახლავართ, თქვენო მოწყალეზავ. გმადლობთ წყალობისათვის. (გამოცლის ჭიქას, რომელიც შალვამ მიუტანა). ერთი კიდევ.

აზდაკი. მე აზდაკი ვარ. (ფეხზე წამოდგება და თავს დაუკრავს. ყაჩაღიც თავს უკრავს.) სასამართლო მიესალმება უცხო განდევილს. განაგრძე, დედილო.

დედაბერი. თქვენო მოწყალეზავ, იმ პირველ დამეს ძე ჯერ კიდევ აწ ვიცოდი, რომ ბანდიტუსს სასწაულებს მოხდენა შეეძლო. მან მხოლოდ ძროხა მომიყვანა. ეს იყო და ეს. მაგრამ თრიოდე დღის შემდეგ, ღამით, აი, ამ ბოლა გლეხის მოჯამაგირეები მოვიდნენ და უნდოდან ჩემთვის ძროხა წაერთმიათ, მაგრამ კარიდან უკან მოძურწეს ხელცარიელებმა, თან თავზე მუშტისოდენა კოპები ასხდებოდან. მაშინ კი მივხვდი, რომ წმინდა ბანდიტუსმა მოუღობო მათ გული და ღვთისნიერ აღამიანებად აქცია.

ყაჩაღი ხმამაღლა იცინის.

პირველი ბობოლა. მე ვიცი, რამაც გარდაქმნა ისინი.

აზდაკი. კარგია, რომ იცი. ამას მერე გვიამბობ. (დედაბერს.) შენ კი განაგრძე!

დედაბერი. თქვენო მოწყალეზავ, ამის შემდეგ ახლა შეძლებული გლეხი სტეფანე აღივსო სიკეთით, წინათ კი ნამდვილი სულთამსუთავი იყო— ეს ყველამ იცის. წმინდა ბანდიტუსმა ისეთი კეთილი ზეგავლენა მოახდინა, რომ მიწის ნაკვეთში იჯარას აღარ მართმევდა.

მეორე ბობოლა. ეს ამიტომ, რომ ვიდაცამ ძროხები გამიჟლიტა საბალახოზე.

ყაჩაღი იცინის.

დედაბერი. მე გეკითხებით, თქვენო მოწყალეზავ: როდის იყო, რომ გინმეს საბრალო მოხუცებულისათვის ღორის ბარკალი მოჰქონდა? განა ეს სასწაული არ არის?

ყაჩადი აზლუქუნდა.

აზდაკი (დგება მოსამართლის სკამიდან). დედილო, შენი კითხვა შიგ გულში მოხვდა სასამართლოს. მაღლი მოისხი და აქ დაჯექი. (დედაბერი ჭოჭმანით ჯდება მოსამართლის სკამზე. აზდაკი სასმისით ხელში, იატაკზე მოიკალათებს.)

დედილო, ლამის მე საქართველოს დედა გიწოდე,
მრავალტანჯულო.

შენი ვაჟები ომში არიან, იავარქმნილო და განძარცულო.
მუშტითა გცემეს, მაგრამ მაინც არ კარგავ იმედს.
ცხარედ ქვითინებ, როცა შენთან ძღვნად მოჰყავთ ძროხა,
და გიკვირს, როცა აღარა გცემენ.
ჰოი, შეგვინდე შეჩვენებულთ, იყავ სულგრძელი!

-(დაუღრიალებს ბობოლებს.)

გამოტყდით, თქვე უღმერთოებო, თქვენა, რომ სასწაულები არა გწამთ! ყოველი თქვენგანი ხუთასი პიასტრით ჯარიმდება უღმერთობისათვის! წაეთრიეთ!

ბობოლები კუდამოძუებულნი გაიპარებან.

ხოლო შენ კი, დედილო, და შენც, სათნო ადამიანო, თითო ჭიქა შესვით საზოგადოებრივ ბრალმდებელსა და აზდაკთან ერთად.

მგოსანი მუსიკოსებთან ერთად.

ასე ტეხავდა კანონს პურივით,
ამოძრავებდა ერთი სურვილი —
ხალხი სამართლის ნამუსრევით მაინც ერჩინა!
მდაბიოებსა და უპოვართა
არვინ ჰყოლიათ, აზდაკის გარდა,
მოუქრთამავად მათთვის მხარი რომ დაეჭირა.
შვიდასოცი დღის განმავლობაში
ყალბი სასწორით მთასა და ბარში
ასე წონიდა მათ საჩივრებს აზდაკი ჩვენი
და სახრჩობელის კოჭის ქვეშ მშვიდად,
სადაც ბატონებს რისხვასა ჰგვრიდა,
თავისებური გამოჰქონდა მას განაჩენი.

მ გ ო ს ა ნ ი.

მაგრამ ამბოხის დღენი წარვიდნენ, დიდი თავადი უკან დაბრუნდა.
გუბერნატორის ცოლიც დაბრუნდა, დაიწყო დასჯა დამნაშავეთა.
სიკვდილის მსხვერპლი გახდა მრავალი, გარეუბანი
ცეცხლმა მოიცვა და აიტანა შიშმა აზდაკი.

აზდაკის სკამი კვლავ სასამართლოს ეზოში დგას. აზდაკი მიწაზე ზის და
ჩუსტს იკერებს; თან შალვას ესაუბრება. გარედან ხმაური ისმის. გალა-
ვანს იქით მსუქანი თავადის თავს ჩაატარებენ შუბზე წამოგებულს.

აზდაკი. შალვა, შენი მონობის დღეები და შეიძლება თვით წუთებიც
კი უკვე დათვლილია. დიდი ხნის განმავლობაში მეჭირე გონიერების რკინი-
სებური აღვირით, რამაც დრუნჩი დაგიკოდა და სისხლი გადინა. მე გონივ-
რული არგუმენტებით გამათრახებდი და გაწამებდი ლოგიკით. ბუნებით სუს-
ტი ადამიანი ხარ და თუ ვინმე ცბიერად გესფრის არგუმენტს, ხარბად ჩა-
ასობ ხოლმე კბილებს და თავს ვედარ იკავებ. ბუნებით მოთხოვნილება გაქვს
ხელს ულოკავდე შენზე უფრო მაღალ არსებას, მაგრამ მაღალი არსებაც არის
და მაღალი არსებაც. და აი, ახლა დადგა შენი განთავისუფლების უამი. სულ
მაღე ისევ შეგეძლება მიჰყვე შენს ქვეშეცნეულ მიდრეკილებებს, რომელნიც
მდაბალნი არიან, და იმ ურყევ ინსტინქტს, რომელიც გასწავლის, როგორ
შესდგე ადამიანს სახეზე შენი სქელი ლანჩებით, ვინაიდან წავიდა უამი არე-
ულობათა და უწესრიგობათა, რომელთაც აღწერს ქაოსის სიმღერა. ჩვენ ახ-
ლა ვიმღერებთ მას ამ საშინელი დროის სამახსოვროდ. დაჯექი და იცოდე,
ჰანგები არ აურიო. საშიში არაფერია, სიმღერა აკრძალული არ არის და მი-
სამღერიც პოპულარული აქვს.

(მღერის.)

დაო, თავი შეიბურე,

ძმაო, დანა ამოიღე,

დრომ აღვირი აიწყვიტა.

გლოვას მოუცავს წარჩინებულნი, მდაბიონი კი მხიარულებას.

ხოლო ქალაქში ასე ამბობენ, მოდი ძლიერნი განვდევნოთო

ჩვენ ჩვენი წრიდან,

დაწესებულებს აპარტახებენ და ყმათა ნუსხებს კოცონზე წვავენ;

წისქვილის ლოდებს აბრუნებენ ბატონკაცები, ტუსადებმა კი

დღის სინათლე იხილეს ისევ:

გაშმაგებულნი შესაწირავის შესაგროვებელ ყუთებსა წვავენ
და აბანოზის ხისგან ახლა მხოლოდ საწოლებს თუ აკეთებენ.

ვისაც ლუკმაც კი ენატრებოდა, საფსე ბედლების მფლობელი გახდა და ვინც ნახორხლებს ეძებდა უწინ, ახლა ჭირნახულს ის ანაწილებს.

შ ა ლ ვ ა. ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ.

ა ზ დ ა კ ი.

აბა, სად ხარ, გენერალო?

გთხოვ წესრიგი დაამყარო!

კაცი ბატონის ვაჟს ვეღარ იცნობ და ვაჟიშვილი ქალბატონისა მისი მოახლის შვილი გამხდარა.

კარის მრჩეველნი სოროებში იმალებიან და ვისაც ღამის გასათევი ბინა არ ჰქონდა,

ახლა განცხრომით კოტრიალობს ფაფუკ ლოგინში.

ის, ვინც უბრალო მენიჩზე იყო, ახლა ხომალდთა მფლობელი არის,

ვეღარ იხილავს მესაკუთრე მათ უკვე ძველი.

ბატონთა მიერ დაგზავნილი მალემსროლები

დანიშნულების ადგილებზე აღარ მიდიან,

ამბობენ, ჩვენ ჩვენს სამანს უკვე მივადწიეთო, აწ თქვენზეაო სირბილის ჯერი.

შ ა ლ ვ ა. ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ.

ა ზ დ ა კ ი. აბა, სად ხარ, გენერალო? გთხოვ წესრიგი დაამყარო! დიას,

ჩვენთანაც თითქმის ასევე იქნებოდა, ერთხანს კიდევ რომ მიეშვათ ხალხი თავის ნებაზე და წესრიგი არ დაემყარებინათ. მაგრამ ახლა დიდი თავადი, რომელიც მე, ვირმა, სიკვდილით დასჯას გადავარჩინე, დედაქალაქში დაბრუნდა. მას სპარსელებმა ჯარი მისცეს საქართველოში წესრიგის დასამყარებლად. გარეუბანი უკვე იწვის. აბა ერთი, ის სქელი წიგნი მოიტა, რომელზედაც ვზივარ ხოლმე! (შალვა იღებს მოსამართლის სკამიდან წიგნს და აწვდის, აზდაკი ფურცლავს მას.) ეს კანონთა კრებულია. ყოველთვის ვსარგებლობდი ამ წიგნით, შენა ხარ ამის მოწმე. ერთი მინდა გავსინჯო, რა შეუძლიათ ამკიდონ. უპოვართ წყალობის თვალთ ვუყურებდი და ამას ძვირად დამისვამენ, მე ღარიბ-ღატაკნი ფეხზე მინდოდა დამეყენებინა, ესენი კი ლოთობის გამო ჩამომახრჩობენ. მდიდართა ჯიბეებში ვისხედებოდი, ასე რომ, ჩემი საქმე წახულია. თანაც ვერსად ვერ დავემალები, მე ყველა მიცნობს, რადგან ყველას ვესმარებოდი.

შ ა ლ ვ ა. ვილაც მოდის.

ა ზ დ ა კ ი (ჯერ დევნილივით დამფრთხალი გაშეშდება ერთ ადგილას, მერე ბარბაცით მიდის სკამთან). მორჩა, გათავდა ყველაფერი, მაგრამ ვერა-

ვის ვერ გავახარებ კაცობრიული სიდიადის აქ წარმოსახვით. მუხლმოდრე-
კილი გევედრები, მაღლი მოისხი და ნუ მიმატოვებ. ნერწყვით მევსება პირი
შიშისგან, სულ ერთიანად ვთრთი და ვკანკალებ.

შემოდის ნათელა აბაშვილი, გუბერნატორის მეუღლე, ადიუტან-
ტისა და აბჯროსანთა თანხლებით.

გუბერნატორის მეუღლე. ვინ არის ეს ვიგინდარა, გოგი?

აზდაკი. თქვენი ყურმოჭრილი მონა, მოწყალეო ქალბატონო. ის, ვინც
მზად არის გემსახუროთ.

ადიუტანტი. ნათელა აბაშვილი, განსვენებული გუბერნატორის მე-
უღლე, ეს-ეს არის დაბრუნდა და ეძებს თავის ორი წლის ვაჟს — მიხეილ აბა-
შვილს. მას აცნობეს, რომ ბავშვი ძველ მსახურთაგან ერთ-ერთს გაუტაცია
მთაში.

აზდაკი. მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ბავშვს უკანვე მო-
გაყვანინებთ.

ადიუტანტი. ის მოსამსახურე ქალი ბავშვს თურმე თავისად ასა-
ლებს.

აზდაკი. მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მათ თავს მოგ-
კვეთთ.

ადიუტანტი. ეს არის და ეს.

გუბერნატორის მეუღლე (გასვლისას). არ მომწონს ეგ.
ტიპი.

აზდაკი (კარამდე მისდევს გუბერნატორის მეუღლეს და თან თავს
უკრავს წამდაუწუმ). მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, არსეინად იყა-
ვით, ყველაფერს მოვაგვარებთ.

ც ა რ ც ი ს წ რ ე

მ გ ო ს ა ნ ი.

ახლა ისმინეთ, ვით გაირჩა სასამართლოზე
 გუბერნატორის ყრმის ბურუსით მოცული საქმე,
 ვით მოახერხა მოსამართლემ, რომ დაედგინა
 ნამდვილი დედა სახელგანთქმულ ცდის მეშვეობით,
 რისთვისაც მარჯვედ მან ცარცის წრე გამოიყენა.

სასამართლოს ეზო ნუქაში. ა ბ ჯ რ ო ს ნ ე ბ ს შემოჰყავთ მ ი ხ ე ი ლ ი და
 შემდეგ მასთან ერთად მიდიან სცენის სიღრმეში. ერთ-ერთი აბჯროსანი შუ-
 ბით აკავებს გ რ უ შ ე ს ალაცაფის კარებში, ვიდრე ბავშვს წაიყვანდნენ. მერე
 შემოუშვებს. გრუშეს მოსდევს მ ს უ ქ ა ნ ი მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი გუბერ-
 ნატორ აბაშვილის ყოფილი სასლელიდან. შორიდან ისმის ხმაური და ცის-
 კიდური ხანძრისაგან წითლად არის შეღებილი.

გ რ უ შ ე. ყოჩაღი ბიჭია, უკვე თვითონ იბანს პირს.

მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. ბედი გქონია. თქვენს საქმეს ნამდვილი მოსა-
 მართლე კი არ გაარჩევს, არამედ აზღაკი. იგი ლოთია და არა გაეგება რა.
 ყველაზე დიდი ავაზაკები სრულიად დაუსჯელად გაუშვა ბევრჯერ. და ვინა-
 იდან ყველაფერს ერთმანეთში ურევს, და თანაც რამდენი ქრთამიც არ უნდა
 მისცენ მდიდრებმა, მაინც არ კმარობს, ჩვენისთანა საწყალ ხალხს მის ხელ-
 ში ზოგჯერ ბედი გაუღიმებს ხოლმე.

გ რ უ შ ე. დღეს მე მართლაც რომ ბედის გაღიმება მჭირია.

მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი. ჩუ, თვალი არა სცე. (პირჯვარს გადაიწერს.)

მგონი, ერთხელ კიდევ მოვასწრებ ლოცვის წარმოთქმას, რომ მოსამართლე გადაკრულში იყოს. (ლოცულობს, უხმოდ აცმაცუნებს ტუჩებს.)

გრუშე კი ამ დროს ამოდ ცდილობს ბავშვის დანახვას.

ვერ გამიგია, რად გინდა, რომ რაღაც არ უნდა დაგიჯდეს შეინარჩუნო ეგ ბავშვი, თუკი შენი არ არის, ისიც ასეთ დროში.

გრუშე. დიასაც რომ ჩემია. მე გავზარდე.

მზარეული ქალი. ერთხელ მაინც არ დაფიქრდი, რა მოხდებოდა, როცა გუბერნატორის მეუღლე დაბრუნდებოდა?

გრუშე. ჯერ ვფიქრობდი უკან დავუბრუნებ-მეთქი, ხოლო შემდეგ კი — აღარ დაბრუნდება-მეთქი.

მზარეული ქალი. ნათხოვარი კაბაც ათბობს ადამიანს, ასეა არა?

გრუშე თავს უქნევს.

შენი გულისთვის, რაზეც გინდა, იმაზე დავიფიცებ, რადგან კარგი ადამიანი ხარ. (იმეორებს რომ არ დაავიწყდეს.) ბავშვი მე მყავდა ჩაბარებული მოსავლელად, რაშიც ხუთი პიასტრი მეძლეოდა. გრუშემ იგი აღდგომა დღეს გამომართვა, საღამოთი, როცა მღელვარება დაიწყო. (შენიშნავს სიმონ ჩაჩავას, რომელიც მათ უახლოვდებათ.) მაგრამ აი, სიმონის წინაშე კი დამნაშავე ხარ. მე ველაპარაკე. ვერა და ვერ შეუგნია, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

გრუშე (ვერ ხედავს სიმონს). რა ვქნა, თუკი ვერ შეუგნია. ჩემთვის ახლა სხვა სადარდებელიც კმარა.

მზარეული ქალი. ის როგორც იქნა დაიჯერა, რომ ბავშვი შენი არ არის, მაგრამ ჯვარდაწერილი რომ ხარ და მხოლოდ სიკვდილი გაგათავისუფლებს, ამას ვერ შერიგებია.

გრუშე შენიშნავს სიმონს და მიესალმება.

სიმონი (პირქუშად). მე მინდა ქალბატონს ვაუწყო, რომ მზადა ვარ დავიფიცო, ბავშვის მამა მე ვარ-მეთქი.

გრუშე (წყნარად). კეთილი, სიმონ.

სიმონი. ამასთანავე უნდა განვაცხადო, რომ ამით არავითარ ვალდებულებას არ ვიღებ ჩემს თავზე და არც ქალბატონს ეკისრება რაიმე.

მზარეული ქალი. სულ ზედმეტია მაგაზე ლაპარაკი. გრუშეს ქმარი ჰყავს და ეს შენ იცი.

სიმონი. ეს მაგის საქმეა. ქმარი აქ რა მოსატანია.

შემოდის ორი აბჯროსანი.

აბჯროსნიები. სად არის მოსამართლე?

— არავის დაგინახავთ მოსამართლე?

გრუშე (მიტრიალდება და პირისასეს იფარავს). წინ ჩამომეფარე. არ შეიძლებოდა ჩემი ნუქაში ჩამოსვლა. იმ აბჯროსანს რომ გადავაწყდე, რომელსაც თავში ჩავარტყი...

აბჯროსანი (ერთ-ერთი იმათგანი, რომლებმაც ბავშვი მოიყვანეს, წინ გამოდის). მოსამართლე აქ არ არის.

ორივე აბჯროსანი განაგრძობს ძებნას.

მზარეული ქალი. ნეტავი არაფერი არ მოუვიდეს იმ მოსამართლეს, თორემ სხვამ რომ გააჩინოს თქვენი საქმე, უფრო ნაკლები იმედი უნდა გქონდეს გულში, ვიდრე ქათამს კბილი გააჩნია პირში.

შემოდის კიდევ ერთი აბჯროსანი.

აბჯროსანი (ერთ-ერთი იმათგანი, რომლებმაც მოსამართლე მოიკითხეს, მოახსენებს ახალმოსულს). აქ მხოლოდ ორი მოსუცია და ერთიც ბავშვი. მოსამართლე ცამ ჩაყლაპა.

ახალმოსული აბჯროსანი. განაგრძეთ ძებნა!

პირველი ორი აბჯროსანი სწრაფად გადის, მესამე დაყოვნდება. გრუშე შეპყვირებს. აბჯროსანი მოტრიალდება. ეს ეფრეიტორია და სახის დაყოლებით ვეება ნაჭრილობევი ატყვია.

ალაყაფის კარებში მდგომი აბჯროსანი. რა იყო, შოთა? იცნობ მაგას?

ეფრეიტორი (პაუზის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც იგი გრუშეს აცქერდება). არა.

ალაყაფის კარებთან მდგომი აბჯროსანი. მაგას აბაშვილის ბავშვის მოპარვას აბრალებენ. თუ რამე იცი მაგის შესახებ, ბლომად ფულს იშოვი, შოთა.

ეფრეიტორი ლანძვით გადის.

მზარეული ქალი. ის იყო?

გრუშე თავს უქნევს.

მე მგონი, ეს კრინტსაც არ დაძრავს, თორემ მაშინ ხომ უნდა აღიაროს, რომ გუბერნატორის ბავშვს მისდევდა შესაპყრობად?

გრუშე (შვებით ამოისუნთქავს). მე კი ლამის დამავიწყდა კიდევ, რომ ბავშვი გადავარჩინე ამ...

შემოდის გუბერნატორის მეუღლე ადიუტანტისა და ორი
ვექილის თანხლებით.

გუბერნატორის მეუღლე. მადლობა ღმერთს, რომ ხალხი მა-
ინც არ არის აქ. არ შემიძლია მათი სუნის ატანა. მაშინვე თავის ტკივილი
ამივარდება ხოლმე.

პირველი ვექილი. გთხოვთ, მოწყალეო ქალბატონო, რაც შეიძ-
ლება გულდასმით აწონ-დაწონოთ ხოლმე თქვენი ყოველი სიტყვა, ვიდრე
სხვა მოსამართლეს დანიშნავდნენ.

გუბერნატორის მეუღლე. კი, მაგრამ მე ხომ არაფერი არ მით-
ქვამს, ილო შუბლაძე. მე მიყვარს ხალხი, მიყვარს მისი უბრალო, პირდაპირი
გონება. აი, სუნია მხოლოდ, რომ თავს ამატკიებს ხოლმე.

მეორე ვექილი. სეირის მაყურებელი ალბათ თითქმის არ გვეყო-
ლება. ხალხი შინა ზის კარჩაკეტილი, გარეუბანში გამეფებული მღელვარების
გამო.

გუბერნატორის მეუღლე. ეს არის ის გომბიო?

პირველი ვექილი. გთხოვთ, ქალბატონო ნათელა, თავი შეიკა-
ვოთ და შეურაცხყოფელი გამოთქმები არ იხმართოთ, ვიდრე არ დავრწმუნ-
დებით, რომ დიდმა თავადმა ახალი მოსამართლე დანიშნა და გავთავისუფ-
ლდით ამუამინდელი მოსამართლისაგან, რომელიც ყველაზე დიდი გარეწარია
იმათთაგან, ვისაც კი ოდესმე მოსამართლის წამოსასხამი უტარებია. მაგრამ,
როგორც ჩანს, საქმე უკვე მანდეთკენ მიდის. აი, უყურეთ.

ალაყაფის კარებში შემოდის აბჯროსნები.

მზარეული ქალი. ეგ ყოვლად მოწყალე ქალბატონი ალბათ ახ-
ლავე თმაში წაგწვდებოდა, აზდაკის ხასიათი რომ არ იცოდეს. ის მდაბიოთა
მხარეზეა და ზღამიანს სახეზე ატყობს ყველაფერს.

ორი აბჯროსანი თოკს ამავრებს ბოძზე. შემოჰყავთ ბორკილებგაყრილი აზ-
დაკი, მის უკან შალვა, აგრეთვე ბორკილებგაყრილი. მათ მოსდევთ სამი
ბობოლა გლესი.

აბჯროსანი. გინდოდა გაქცეულიყავი, არა?

სცემს აზდაკს.

ერთ-ერთი ბობოლა. ჯერ მოსამართლის მოსასხამი გავაძროთ
და მერე ჩამოვკიდოთ!

აბჯროსნები და ბობოლები აზდაკს აძრობენ მოსამართლის მოსასხამს, რომ-
ლის ქვეშაც მისი დაგლეჯილი ტანსაცმელი გამოჩნდება. შემდეგ ერთ-ერთი
აბჯროსანი პანლურს ამოჰკრავს აზდაკს.

ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი (თან ხელს ჰკრავს აზდაკს მეორე აბჯროსნისაკენ). არ გინდა სიმართლის გუდა? აჰაანდე, დაიჭი!

ა ბ ჯ რ ო ს ნ ე ბ ი (რიგრიგობით უბიძგებენ აზდაკს ერთმანეთისაკენ). აჰა, დაიჭი!

— მე სიმართლის გუდა არა მჭირდება!

ასე გრძელდება, ვიდრე აზდაკი არ წაიქცევა, მაშინ მაღლა აიტაცებენ და სასრჩობელასაკენ მიათრევენ.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე („ბურთაობის“ დროს ტაშს უკრავდა ისტერიულად). მე პირველი დანახვისთანავე არ მომეწონა ეგ ტიპი.

ა ზ დ ა კ ი (სახე სისხლითა აქვს მოსვრილი და სულს ძლივს ითქვამს). ვერაფერს ვერა ვხედავ, ჩვარი მომეცით, სისხლი მოვიწმინდო.

ა ბ ჯ რ ო ს ნ ე ბ ი. მერე რა გინდა დაინახო?

ა ზ დ ა კ ი. თქვენა, ძაღლებო. (ხალათის კალთით სისხლს იწმენდს თვალებიდან). დმერთმა განგიკითხოთ, ძაღლებო! როგორ მიდის თქვენი საქმეები, ძაღლებო? რა ამბებია ძაღლთა სამყაროში, კარგადა ყვარს? გამოჩნდა ისევ ჩექმა, რომლის ალოკვაც შეგემღებათ ზოლმე კვლავინდებურად? ისე-ვა კბენთ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულნი?..

ვიდრე აზდაკი ლაპარაკობს, შემოდის გამტვრიანებული მ ხ ე დ ა რ ი ე ფ რ ე ი ტ ო რ ი ს თანხლებით. ტყავის ჩანთიდან იღებს ქაღალდებს და სინჯავს.

მ ხ ე დ ა რ ი (სიტყვას აწყვეტინებს აზდაკს). მოიცაო! აი, დიდი თავადის ბრძანება ახალ დანიშვნათა შესახებ.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი (დაიღრიალებს). სმენა იყოს და გაგონება!

ყველანი გაირინდებიან.

მ ხ ე დ ა რ ი. აი, რა არის ნათქვამი ახალი მოსამართლის შესახებ: „ნუ-ქაში მოსამართლედ ვნიშნავთ ვინმე აზდაკს — კაცს, რომელსაც უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენი ქვეყნისათვის ფრიად მნიშვნელოვანი პიროვნების გადარჩენას“. რომელია, არ იცით?

შ ა ლ ვ ა (მიუთითებს აზდაკზე). აგერ, სასრჩობელას ქვეშა დგას, თქვენო აღმატებულებაგ.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი (დაიღრიალებს). ეს რა ხდება აქ?

ა ბ ჯ რ ო ს ა ნ ი. ნება მიბოძეთ, გიპატაკოთ, რომ მისი მოწყალება უკვე იყო მისი მოწყალება, მაგრამ ამ ბობოლა გლეხების ჩვენების თანახმად დიდი თავადის მტრად იქნა გამოცხადებული.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი (ბობოლეებზე ანიშნებს). წაიყვანეთ!

ბოტოლები გაჰყავთ. ვიდრე გაიყვანდხენ, ისინი განუწყვეტლივ მდაბლად
თავს უკრავენ აზდაკს.

იცოდეთ ამიერიდან მისი მოწყალება არაფერს და არაფერშია არ უნდა შეაწუხოთ.

გადის გამტვრიანებულ მხედართან ერთად.

მზარელი ქალი (შალვას). გუბერნატორის მეუღლე ტაშს უკრავ-
და, როცა მაგას აბურთავებდნენ. იმედია, შენიშნავდა.

პირველი ვექილი. ჩარხი უკუღმა დატრიალდა.

აზდაკს გული მისდის, წამოაყენებენ და ისევ გონზე მოდის. შემდეგ მოსამარ-
თლის წამოსასხამს აცმევენ და ბარბაცით გამოდის მის ირგვლივ შეჯგუფულ
აბჯროსანთა წრიდან.

აბჯროსნები. ჩვენგან არაფერი არ გეწყინოს, თქვენო მოწყალე-
ბავ!

— რამეს ხომ არ ინებებთ, თქვენო მოწყალებავ?

აზდაკი. არაფერს, ძაღლებო. მეც ხომ თქვენებრ ძაღლი ვარ და სხვას
რას ვინატრებ, თუ არა ჩექმას გასალოკად. (შალვას.) გამითავისუფლებიხარ!

შალვას ბორკილებს შეხსნიან.

წადი, ტკბილი წითელი ღვინო მომიტა.

შალვა გადის.

დაიკარგეთ აქედან, მე ერთი საქმე მაქვს გასარჩევი.

აბჯროსნები გადიან. შალვა უკან ბრუნდება კათხით ხელში. აზდა-
კი მძიმედ სვამს.

რამე დამიდე ქვეშ.

შალვას კანონთა კრებული მოაქვს და მოსამართლის სკამზე დებს. აზდაკი
ჯდება.

მე ვიღებ!

მოსარჩლეთ, რომლებიც აქამდე შეშფოთებულნი ბჭობდნენ, სახეები გაუბრ-
წყინდებათ, შვებით ამოისუნთქავენ, იღიმებიან და ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

მზარელი ქალი. ვაიძე, ვაიძე!

სიმონი. ჭკას ნამით ვერ ამოავსებო, — ასე იტყვიან.

ვექილები (უახლოვდებიან აზდაკს, რომელიც მოლოდინში ფეხზე
წამოდგება). ყოვლად კურიოზული საქმეა, თქვენო მოწყალებავ, მო-
პირდაპირე მხარემ ბავშვი მოიტაცა და უარს აცხადებს უკან დაბრუნებაზე.

აზდაკი (გაშლილ ხელს გაუშვერს მათ და თან გრუშესკენ იყურება). მომხიბლავი ასულია. (ხელში ფულს იგრძნობს და კმაყოფილი სახით ჯდება.) ვიწყებ რა სასამართლო პროცესს, ყველა თქვენგანისაგან ხალასს სიმართლეს მოვითხოვ. (გრუშეს.) განსაკუთრებით შენგან.

პირველი ვექილი. ღრმად პატივცემულო მოსამართლეე! სისხლი, როგორც ხალხში იცინა ხოლმე თქმა, უფრო სქელია, ვიდრე წყალი. ეს ძველი სიბრძნე...

აზდაკი. სასამართლოს სურს იცოდეს, რამდენს შეადგენს თქვენი პონორარი?

პირველი ვექილი (გაკვირვებული). უკაცრავად, რა ბრძანეთ?

აზდაკი თავაზიანი გამომეტყველებით ცერსა და სალოკ თითს უსვამს ერთმანეთზე.

ჰო, აი თურმე რა! სუთასი პიასტრი, თქვენო მოწყალეზავ. პასუხს ვიძლევი სასამართლოს უჩვეულო კითხვაზე.

აზდაკი. გესმით? თურმე ნუ იტყვით, ასეთი კითხვა უჩვეულო რამ ყოფილა! ამას იმიტომ გეკითხებით, რომ თუ მეცოდინება, როგორი ჯარგი ვექილიცა ხართ, უფრო უკეთ მოგიხმენთ.

პირველი ვექილი (თავს დაუკრავს). გმადლობთ, თქვენო მოწყალეზავ. ღრმად პატივცემულო მოსამართლეე, არაფერი ისე მტკიცედ არ აკავშირებს ადამიანებს, როგორც სისხლით ნათესაობა. დედა და შვილი — განა ამაზე ახლობელი კავშირი კიდევ არსებობს?! განა შეიძლება დედას მკერდიდან ბავშვი მოჰგლიჯო?! ღრმად პატივცემულო მოსამართლეე! დედამ ჩასახა იგი სიყვარულის უწმინდეს ექსტაზში, შემდეგ ცხრა თვე მუცლით ატარა, ასაზრდოვა თავისი სისხლით და შვა ტანჯვით. ღრმად პატივცემულო მოსამართლეე! არაერთგზის უნახავთ, რომ თვით ვეფხვიც კი, როდესაც ლეკვს მოსტაცებენ, მოუსვენრად დაძრწის მთებში და ისე ხდება, რომ ლანდს ემსგავსება. თავად ბუნებამ...

აზდაკი (აწყვეტინებს და გრუშეს მიმართავს). აბა, რა შეგიძლია უპასუხო ამაზე და საერთოდ ყველაფერზე, რაც ბატონ ვექილს კიდევ დარჩა სათქმელი?

გრუშე. ბავშვი ჩემია.

აზდაკი. მეტი არაფერი? იმედია, შეძლებ დაამტკიცო, რომ ეს ასეა. ყოველ შემთხვევაში, გირჩევნია ის მაინც მითხრა, რატომ მიგაჩნია, რომ ბავშვი შენ უნდა მოგაკუთვნოთ.

გრუშე. მე რაც შემიძლო და როგორც შემიძლო, ისე გამოვზარდე იგი, ალალი გულით, რკოტაოდენ საჭმელს ყოველთვის ვშოულობდი მისთვის და

ღამეც თითქმის მუდამ ჭერქვეშ ეძინა ხოლმე. რაღა არ გადავიტანე მისი გულისთვის, რამდენ ხარჯს გავუძელ. იმას კი არ ვუყურებდი, თვითონ მე რა მამკლევდა ხელს და რა არა. ცუდილობდი ჩამეგონებინა, გულსხმიერი ყოფილიყო ყველასადმი და თავიდანვე შრომა ჰყვარებოდა. ისიც ცდილობდა, რაც შეეძლო. ჯერ ხომ ძალიან პატარაა.

ვექილი. თქვენო მოწყალეზავ, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თვითონ ეს ასულიც არ მიუთითებს მასსა და ბავშვს შორის არსებულ რაიმე სისხლისმიერ ნათესაობაზე.

აზდაკი. სასამართლო ამას მხედველობაში მიიღებს.

ვექილი. გმადლობთ, თქვენო მოწყალეზავ. ახლა ნება დართეთ თქვენ წინაშე მდებლად ქედმოხრილ მანდილოსანს, რომელმაც მეუღლე დაკარგა უკვე და ამჟამად ბავშვის დაკარგვის საფრთხეც ემუქრება, თრიოდე სიტყვით მოგმართოთ. აბა, მოწყალეო ქალბატონო...

გუბერნატორის მეუღლე (ხმადებლა). ყოვლად უღმობელი ხვედრი მაიძულებს, ბატონო ჩემო, მოგმართოთ თხოვნით, რომ უკან დამბრუნოთ ჩემი საყვარელი შვილი. ძალა არ შემწევს დაგიხატოთ განძარცული დედის სულიერი წამება, შიში, უძილო ღამეები...

მეორე ვექილი (უცებ იფეთქებს). პირდაპირ გაუგონარია, როგორ ექცევიან ამ ქალს. უკრძალავენ ქმრის სასახლეში შესვლას, არ აძლევენ მამულიდან შემოსავალს და თანაც არხეინად ეუბნებიან: მამული მემკვიდრეს ეკუთვნისო. უბავშვოდ არაფერი არ შეუძლია, თვით თავისი ვექილების გასტუმრებაც კი არ შეუძლია.

პირველ ვექილს, რომელიც სასოწარკვეთილია კოლეგის გამოხდომით, გაფაციცებით ანიშნებს გაჩუმდით.

მვირფასო ილო შუბლაძე, რა დასაძალია, რომ საბოლოო ჯამში საქმე აბაშვილის მამულს ეხება?

პირველი ვექილი. გეთაყვათ, პატივცემულო სანდრო თბოლაძე! ჩვენ ხომ შევთანხმდით! (აზდაკს.) რასაკვირველია, სწორია, რომ იმისდა მიხედვით, თუ რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო, გადაწყდება აგრეთვე ისიც, გახდება თუ არა ჩვენი მაღალშობილი კლიენტი აბაშვილის დიასახლე დიდი მამულის მფლობელი, მაგრამ მე განგებ ვამბობ, აგრეთვე-მეთქი, ვინაიდან პირველ რიგში დგას დედის ადამიანური ტრაგედია, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა ნათელა აბაშვილმა თავისი ამალეღვებელი სიტყვის დასაწყისში. მიხეილ აბაშვილი ზემოაღნიშნული მამულის მემკვიდრეც რომ არ ყოფილიყო, იგი მაინც იქნებოდა ჩემი კლიენტის ნანატრი შვილი!

აზდაკი. ხდექ! სასამართლო მოსარჩლის მიერ მამულის ხსენებას წმინდა ადამიანურ მისწრაფებათა გამოვლენად მიიჩნევს.

მეორე გექილი. გმადლობთ, თქვენო მოწყალეზავ. ძვირფასო ილო შუბლაძე, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია იმაზე მივუთითოთ, რომ ქალი, რომელმაც ბავშვი მიისაკუთრა, არ წარმოადგენს მის ნამდვილ დედას! ნება მიბოძეთ სასამართლოს მხოლოდ შიშველი ფაქტები მოვასხენო. ბავშვი, მიხეილ აბაშვილი, გარემოებათა საბედისწერო გადახლართვის გამო დედამ დატოვა გაქცევის დროს. გრუშე, ჭურჭლის მრეცხავი გოგო, სასახლეში იყო იმ აღდგომა დღეს და სახლეულთავან ბევრმა ნახა, როგორ დასტრიალებდა ბავშვს.

მზარეული ქალი. გუბერნატორის მეუღლე კი მარტო იმაზე ფიქრობდა, რომელი კაბები წაელო თან.

მეორე გექილი (წარბშეუხრელად). დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გრუშემ ბავშვიანად თავი ამოჰყო ჩრდილოეთში, მთის ერთ-ერთ სოფელში, სადაც შეუღლდა...

აზდაკი. როგორ მოხვდი იმ სოფელში?

გრუშე. ფეხით ჩავედი, თქვენო მოწყალეზავ, და ბავშვი ჩემი იყო.

სიმონი. მე კი მამა ვარ, თქვენო მოწყალეზავ.

მზარეული ქალი. ბავშვი ჩემთან ჰყავდათ მობარებული, თქვენო მოწყალეზავ, სხუთ პიასტრს მაძლევდნენ მოვლაში.

მეორე გექილი. ეგ ჯველი გრუშეს დანიშნულია, ღრმად პატივცემულო მოსამართლევე, და ამის გამო მაგის ჩვენებას არ შეიძლება სასამართლო დაეყრდნოს.

აზდაკი. შენ მოგთხოვდა სოფელში?

სიმონი. არა, თქვენო მოწყალეზავ, იქ ერთ გლეხზე დაიწერა ჯვარი.

აზდაკი (ხელს უქნევს გრუშეს, ახლოს მოდიო). რატომ? (სიმონზე მიუთითებს.) რა, ლოგინში არ ვარგა? სიმართლე მითხარი.

გრუშე. ჩვენ შორის მანამდე არ მისულა საქმე. მე ბავშვის გამო გავთხოვდი. თავშესაფარი რომ ჰქონოდა. (სიმონზე მიუთითებს.) ეგ ომში იყო, თქვენო მოწყალეზავ.

აზდაკი. და ახლა ისევ შენ უნდისხარ, არა?

გრუშე (ჯავრიანად). მე ახლა თავისუფალი აღარა ვარ, თქვენო მოწყალეზავ.

სიმონი. გთხოვთ, ოქმში შეიტანოთ...

აზდაკი. მაშ, ბავშვი მრუშობის შედეგად შეგეძინა. ასე გამოდის შენი ნათქვამიდან. პასუხი ვამეცი კითხვაზე: რა ბავშვია ესა? დამონძილი ნაბიჭვარი, თუ კეთილშობილი ყრმა, შეძლებული თჯახის შვილი?

(გრუშე ხმას არ იღებს.)

გ რ უ შ ე (ბრახმთრეული). ჩვეულებრივი ბავშვია.

ა ზ დ ა კ ი. მე გეკითხები, თავიდანვე დასვეწილი სახის ნაკვთები ჰქონდა-მეთქი?

გ რ უ შ ე. რა ვიცი, პაჭუა ცხვირი კი ჰქონდა...

ა ზ დ ა კ ი. მაშ, პაჭუა ცხვირი ჰქონდა? ასეთი პასუხი ფრიად მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ჩემზე ჰყვებიან, რომ ერთხელ განაჩენის გამოტანის წინ გარეთ გავედი და ფარდის ბუჩქს გყნოსავდი. ასეთი ილეთები დღესდღეობით დიასაც საჭიროა. ახლა კმარა, მეტს აღარ გავაჭიანურებ თქვენს პროცესს. მეყო, რაც ტყუილები მოვისმინე თქვენგან. (გრუშეს.) განსაკუთრებით კი შენგან. წარმოდგენილი მაქვს, რაღა არ შეთითხნეთ (გრუშეს, სიმონსა და მზარეულ ქალს.) რათა როგორმე ვაგეცურებინეთ. მე ვერაფერს გამომაპარებთ, თაღლითები ხართ.

გ რ უ შ ე (ერთბაშად მიახლის). ეჭვიც არ მეპარება, რომ დიდხანს არ გააჭიანურებთ საქმეს. ქრთამი ხომ უკვე აიღეთ და სხვა რაღა გენადგლებათ!

ა ზ დ ა კ ი. ენა დააყენე. რა, შენგან ავიღე?

გ რ უ შ ე (მიუხედავად იმისა, რომ მზარეული ქალი ცდილობს შეაჩეროს). ჩემგან რა უნდა აგელო. რაც არაფერი გამაჩნდა!

ა ზ დ ა კ ი. სრული სიმაართლეა, თუ თქვენისთანა ჯიბეგაფხეკილების იმედზე დავდექი, შიმშილით ამომძვრება სული. სამართალს კი მოითხოვთ, მაგრამ მისთვის ფულის გაღება არ გინდათ, არა? როცა ყასაბთან მიდიხართ, მაშინ იცით, რომ ფული უნდა გადაიხადოთ, მაგრამ მოსამართლესთან კი თავი ქელესზე გგონიათ.

ს ი მ ო ნ ი (ხმამაღლა). ნაღბანდები ბედაურის დასაჭედად მოვიდნენ და ცხენის ბუშმა ფესები გაუშვირაო, — ნათქვამია.

ა ზ დ ა კ ი (თავგამოდებით იღებს გამოწვევას). ნებსში ნაპოვნი მარგალიტი მიჩვენებია მთის ნაკადულიდან ამოდებულ ქვასაო, — ნათქვამია.

ს ი მ ო ნ ი. მშვენიერი ღარია, წამო, არ გინდა ანკესით ვითევზაოთო, — უთხრა მეთევზემ ჭიაყელას.

ა ზ დ ა კ ი. ჩემი თავის ბატონი მე ვარო, თქვა ყმამ და ფესი მოიჭრაო.

ს ი მ ო ნ ი. მამობრივი სიყვარულით მიყვარხართო, უთხრა მეფემ გლეხებს და ბრძანა უფლისწულისთვის თავი მოეკვეთათ.

ა ზ დ ა კ ი. სულელს ყველაზე დიდი მტერი საკუთარი თავი ჰყავსო.

ს ი მ ო ნ ი. ჰო, მაგრამ მუცლითმეტყველებას ცხვირი როდი აქვს!

ა ზ დ ა კ ი. ათი პიასტრით გაჯარიმებ სასამართლოს წინაშე უწმაწური სიტყვების წარმოთქმისათვის. ამიერიდან გეცოდინებათ, რა არის სამართალი.

გრუშე. ჰო, ძაან სამართალი კი გაქვს აი, პირში ბუროსა გფჩრი. რახან ისე მოხდენილად არ ვიციტ ლაპარაკი, როგორც მაგისმა ვექილებმა.

აზდაკი. სწორედ რომ ასეა, თქვენ მეტიხმეტი შტერები ხართ და ასია თქვენზე, როცა კისერში გითაქებენ ხოლმე.

გრუშე. ჰო. შენ, რასაკვირველია, გინდა ბავშვი იმას მიაკუთვნო, ვანც იმდენად მაღალი წრის წარმომადგენელია, რომ არც კი იცის, ბავშვს საფენები როგორ უნდა გამოუცვალოს. რახან ასეა, მაშინ იცოდე, რომ სამართლისა შენც ისევე არაფერი გაგეგება, როგორც მე.

აზდაკი. ამაში არის სიმართლის ნატამალი. მე ერთი უბრალო კაცი ვარ. მოსამართლის მოსახსამქვეშ დაგლეჯილი შარვალი მაცვია. აი, შენ თვითონ ნახე. ყველაფერი ჭამასა და სასმელზე მესარჯება. მე მონასტრის სკოლაში აღვიზარდე, ისე კი, კაცმა რომ თქვას, შენც უნდა დაგაჯარიმო ათი პიასტრით სასამართლოს შეურაცხყოფისათვის. დიდი სულელი ვინმე კი ხარ, რომ შენს წინააღმდეგ მამხედრებ, ნაცვლად იმისა, რომ თვალეები დამიპრაწო, უკანალი შეათამაშო და ამით შენდამი კეთილად განმაწყო. ოცი პიასტრი.

გრუშე. თუ გინდა ოცდაათიც გახადე, მაინც გეტყვი, რასაც შენს სამართალზე ვფიქრობ, შე ღვინის რუმბო, შენა! როგორ შეგიძლია ასე დაიმცირო თავი და ამნაირი რამეები მელაპარაკო? როცა დედაშენი გშობავდა, განა იფიქრებდა მაშინ, რომ ერთ დროს თითებზე სცემდი, თუ ერთ პეშვ ფეტვს მოასელებდა სადმე? ნუთუ არა გრცხვენია? ხომ ხედავ, როგორ ვკანკალებ შენ წინაშე? მაგრამ შენ მაგათ ემსახურები. ზრუნავ, რომ მაგათ სახლები არ წაართვას ვინმემ, სახლები, რომლებიც თვითონ მაგათ აქვთ მოპარული. აბა, როდის აქვთ ეკუთვნილ სახლები ბაღლინჯოებს? შენ სადარაჯოზე დგახარ, თორემ სხვაფრივ ეგენი ვერ შეძლებდნენ ჩვენი კაცების ომში წაყვანას, შე გამყიდველო, შენა!

აზდაკი წამოდგება. სახე უბრწყინავს. სიწყნარის დასამყარებლად მოსამართლის ჩაქუჩს აკაკუნებს მაგიდაზე, მაგრამ არცთუ თავგამოდებით და ვინაიდან გრუშე მაინც განაგრძობს მის ლანძღვას, ჩაქუჩის კაკუნს მისი სიტყვების რიტმს აყოლებს.

რა პატივისცემა უნდა მქონდეს შენი? უფრო მეტი არა, ვიდრე რომელიმე ქურდის, ან დანამომარჯვებული ყაჩაღისა. ისინიც ხომ იმას სჩადიან, რაც სურთ. შენ შეგიძლია ბავშვი წამართვა. ახიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ეს ასეც იქნება, მაგრამ ერთი რამე იცოდე: შენს ადგილზე უნდა მხოლოდ ბავშვების გამხრწნელი და მევახშენი აირჩიონ ხოლმე, თუ სურთ ისინი დასაჯონ, ვინაიდან ხალხის ჯალათად ყოფნა, ჩამოხრჩობაზე უარესია.

აზდაკი (ჯდება). ახლა უკვე ოცდაათი პიასტრის გადახდა მოგიწევს. და მეტს აღარ დავიწყებ შენთან მიძგილაობას, დუქანში ხომ არა ვართ. არ

მინდა მოსამართლის ღირსება შევბღალო და თანაც შენი საქმე უკვე აღარ მაინტერესებს. სად არიან ის ორნი, გაყრა რომ უნდოდათ. (შალვას.) წადი, შემოიყვანე. ეს საქმე კი მეოთხედი საათით გადადებულია.

პირველი ვექილი (ამასობაში შალვა გადის). ამის შემდეგ კრინტიც რომ აღარ დაძრათ, საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება, მოწყალეო ქალბატონო.

მზარეული ქალი (გრუშეს). შენ თვითონ გაიფუჭე შენი საქმე. ახლა ეგ იმათ მიაკუთვნებს ბავშვს.

გუბერნატორის მეუღლე. გოგი, ჩემი სურნელოვანი წყლის შუშა მომაწოდე.

შემოდის დრმად მოხუცებული ცოლ-ქმარი.

აზდაკი. მე ვიღებ. (მოხუცებულებს ვერ გაუგიათ, რას ეუბნებათ მოსამართლე.) მე გადმომცეს, რომ გაყრა გასურთ. რამდენი ხანია, რაც ერთად ცხოვრობთ?

დედაბერი. ორმოცი წელია, თქვენო მოწყალეზავ.

აზდაკი. ძერედა, რატომ გინდათ გაიყაროთ?

ბერიკაცი. ერთმანეთი არ მოგვწონს, თქვენო მოწყალეზავ.

აზდაკი. როდის აქეთ არ მოგწონთ?

დედაბერი. იმთავითვე არ მოგვწონდა, თქვენო მოწყალეზავ.

აზდაკი. კარგი, ვიფიქრებ თქვენს სურვილზე და განახენსაც გამოვიტან, მაგრამ ჯერ სხვა საქმე უნდა მოვათავო.

შალვას ცოლ-ქმარი სცენის სიღრმეში მიჰყავს.

მე ბავშვი ძჭირდება. (ხელს დაუქნევს გრუშეს და დაიხრება მისკენ. კეთილად არის განწყობილი.) მე დავინახე, რომ გული შეგტკივა სამართლიანობაზე, მაგრამ არა ძჯერა, რომ ბავშვი შენი იყოს, და თუნდაც, ვთქვათ, შენია, ქალო, განა ამ შემთხვევაშიც არ ისურვებდი, რომ მდიდარი ყოფილიყო? შენ მაშინაც უნდა გეთქვა, ჩემი არ არისო და მყისვე გახდებოდა სასახლის მფლობელი, ეყოლებოდა მრავალი ცხენი ბაგაზე მიბმული, მრავალი მათხოვარი კარზე მიმდგარი, უამრავი ჯარისკაცი დაქირავებული და მოხონელები ეზოს შიგნით დაყუდებულნი. ასე არ არის განა? აბა, რას იტყვი? არ გინდა შვილი მდიდარი გყავდეს?

გრუშე დუმს.

მგოსანი. ყური დაუგდეთ, რას ფიქრობდა გულჯავრიანი გრუშე ამ დროს, რას არ ამბობდა. (მღერის).

ოქროს წუღებს ჩაიციმევედა
და არ იშიმშილებდა.
ბოროტებას ჩაიდენდა,
ერცხვად შემომცინებდა.

რად მინდა რომ დღენიადაგ
საწყალ ხალხსა ზარავდეს,
ძლიერი და არამზადა
იყოს კუბოს კარამდე.

დაე, შიმშილს გაურბოდეს,
დამშეულებს კი არა;
წყვდიადისა ეშინოდეს,
სინათლისა კი არა.

ა ზ დ ა კ ი. ვგონებ, მესმის შენი, ქალო.

გ რ უ შ ე. ბავშვს ვერავის დავანებებ. მე გავზარდე და ჩემთან არის შეჩვეული.

შალვას შემოჰყავს ბ ა ვ შ ვ ი.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. დაძონძილს ატარებს.

გ რ უ შ ე. ტყუილია, არ დამაცადეს, რომ კარგი ხალათი ჩამეცმია.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. საღორეში აცხოვრებდა.

გ რ უ შ ე (გამწარებული). მე ღორი არა ვარ, მაგრამ ერთი სულიერი კი შეიძლება მართლაც იყოს. სად დატოვე შენი ბავშვი?

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს მ ე უ ლ ლ ე. მე შენ გიჩვენებ სეირს, შე გომბიოვ, შენა! (უნდა ეცეს გრუშეს, მაგრამ ვეჭილეები იჭერენ.) ეგ არამზადა დაუყოვნებლივ უნდა გაწკეპლოთ. ახლავე უნდა გაწკეპლოთ!

მ ე ო რ ე ვ ე ქ ი ლ ი (პირზე ხელს აფარებს გუბერნატორის მეუღლეს). მოწყალეო ქალბატონო, ხომ დაგვპირდით... თქვენო მოწყალებავ, მოსარჩლის ნერვები.

ა ზ დ ა კ ი. მოსარჩლეე და მოპასუხეე! სასამართლომ მოისმინა თქვენი საქმე და ვერ დაადგინა, რომელი თქვენგანია ამ ბავშვის ნამდვილი დედა. მე, როგორც მოსამართლე, ვალდებული ვარ ბავშვს დედა ამოვურჩიო. მე გამოცდა მინდა მოგიწყოთ. შალვა, აიდე ცარცის ნატეხი და იატაკზე წრე შემოსახე.

შალვა იატაკზე წრეს შემოსახავს.

შიგ ბავშვი დააყენე!

შალვა წრეში აყენებს მისეილს, რომელიც გრუშეს უღიმის.
მოსარჩლეგ და მოხასუსხეგ, აქეთ-იქით დადექით წრესაზის პირას!

გუბერნატორის მეუღლე და გრუშე მიდიან წრესაზთან.

მოჰკიდეთ ხელი ბავშვს, ცალ ხელში ერთმა, მეორეში მეორემ. ნამდვილ
დედას ეყოფა ძალა, ბავშვი თავისკენ გადაითრიოს.

მეორე ვექილი (სწრაფად). ღრმად პატივცემულო მოსამართლეგ,
მე პროტესტს ვაცხადებ, რომ ბედი აბაშვილის ვრცელი მამულისა, რომელიც
ამ ბავშვს ერგება, როგორც მემკვიდრეს, ასეთ საეჭვო ორთაბრძოლაზე გავ-
ხადოთ დამოკიდებული, თანაც ჩემი კლიენტი ძალის მხრივ ჩამორჩება მაგ
ქალს, რომელიც ფიზიკურ შრომას არის მიჩვეული.

აზდაკი. თქვენი კლიენტი საკმაოდ ჩატუკნულია. გასწიეთ!

გუბერნატორის მეუღლე თავისკენ გადაითრევს ბავშვს წრიდან. გრუშე კი
ხელს გაუშვებს და შეცბუნებული დგას.

პირველი ვექილი (ულოცავს გუბერნატორის მეუღლეს). რას
ვამბობდი! აი, რას ნიშნავს სისხლით ნათესაობა!

აზდაკი (გრუშეს). რა გემართება? რატომ არ ეწეოდ?

გრუშე. ხელი ვერ მოვაფლე მაგრად. (მიიღებს აზდაკთან.) თქვენო
მოწყალეზავ, უკან მიმაქვს ყველაფერი, რაც კი თქვენს წინააღმდეგ ვთქვი,
გთხოვთ, მომიტევეთ. არ შეიძლება, რომ იქამდე მაინც ჩემთან დარჩეს ბავ-
შვი, ვიდრე ყველა სიტყვას ახწავლიდეს? ჯერ ერთობ ცოტა იცის.

აზდაკი. ნუ ცდილობ ზეგავლენა მოახდინო სასამართლოზე! სანამ-
ლეოს ვდებ, რომ შენ თვითონაც ოციოდე სიტყვა თუ იცი. კარგი, თანახმა
ვარ, ცდა განმეორდეს, რათა საბოლოოდ გადავწყვიტო. აბა, გასწიეთ!

ქალები ერთხელ კიდევ დგებიან წრესთან. გრუშე კვლავ ხელს უშვებს ბავშვს.

გრუშე (სასოწარკვეთილი). ჩემი გაზრდილია! შუაზე ხომ არ გავ-
გლეჯ?! არ შემიძლია!

აზდაკი (წამოდგება). ასე და ამგვარად სასამართლომ დაადგინა, ვინც
არის ნამდვილი დედა. (გრუშეს.) მოჰკიდე ხელი შენს ბავშვსა და წაიყვანე.
გირჩევ, ქალაქში ნუ დარჩები. (გუბერნატორის მეუღლეს.) შენ კი ახლავე
გაქრი აქედან, ვიდრე ტყუილისთვის რამეს მოგისჯიდე. აბაშვილის მამული
კი ქალაქს გადაეცეს, რათა ბავშვებისათვის ბაღი მოაწყონ, ბავშვებს სჭირ-
დებათ ბაღი. და მე ვბრძანებ, რომ ჩემს პატივსაცემად მას „აზდაკის ბაღი“
ეწოდოს.

გუბერნატორის მეუღლეს ლამის გული წაუვიდეს. ადიუტანტს გაჰყავს. ვე-
ქილები მათზე ადრე წავიდნენ. გრუშე გაშეშებული დგას. შალვა მას ბავშვს
მიჰკვრის.

გადავწყვიტე სამუდამოდ გავიძრო მოსამართლის მოსასხამი, ის მეტი-მეტად მაცხუნებს. გმირად არ მომაქვს თავი, მაგრამ აგერ, იქ, მდელოზე გეპატიუებით, ცეკვა-თამაში გავაჩალოთ. ჰო, მართლა, შეჭიკჭიკებულ გუნებაზე კინალამ დამავიწყდა. მე ხომ ჯერ გაყრის ქაღალდი უნდა დავწერო. (მოსამართლის სკამს მაგიდად იყენებს და რაღაცას წერს ქაღალდის ნაგლეჯზე. შემდეგ წასვლას აპირებს.)

იწყება საცეკვაო მუსიკა.

შ ა ლ ვ ა (წაიკითხა მისი დაწერილი). კი, მაგრამ აქ სწორე არ წერია. თქვენ ის მოხუცები კი არ გაგიყრიათ, არამედ გრუშე და მისი ქმარი.

ა ზ დ ა კ ი. რაო, რა თქვი? სხვები გავყარე? ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ახლა ვეღარაფერს ვერ შევცვლი. გადაწყვეტილების გაუქმება არ შეიძლება, ამით წესრიგი დაირღვევა. ჩემს დღესასწაულზე გეპატიუებით, ცეკვა-თამაში-სათვის, მე მგონი, კიდევ ივარგებთ. (გრუშესა და სიმონს). თქვენგან კი სულ ორმოცი პიასტრი მერგება.

ს ი მ ო ნ ი (იღებს საფულეს). ძალიან იაფია, თქვენო მოწყალება. დიდად გმადლობთ.

ა ზ დ ა კ ი (ინახავს ფულს). ეს ფული გამომადგება.

გ რ უ შ ე. მაშინ ის სჯობია, რომ ამაღამვე წავიდეთ ქალაქიდან. არა, მიხეილ? (ბავშვის მხარზე შესმას აპირებს. სიმონს.) მოგწონს ეს ბიჭი?

ს ი მ ო ნ ი (მხარზე შეისვამს ბავშვს). უმორჩილესად მოგახსენებ, რომ მომწონს.

გ რ უ შ ე. ჰოდა, ახლა გეტყვი. იმიტომ ავიყვანე ეს ბიჭი, რომ იმ ად-დგომა დღეს ჩვენ დავინიშნეთ და, მაშასადამე, იგი სიყვარულის პირმშოა. მიხეილ, მოდი ვიცეკვოთ. (გრუშე ცეკვავს მიხეილთან.)

სიმონი მხარეულ ქალს გაიწვევს და მასთან ცეკვავს. მოხუცი ცოლ-ქმარიც იწყებენ ცეკვას. აზდაკი კი ერთ ადგილზე დგას ფიქრში ჩაძირული. მალე მოცეკვავენი ჩამოეფარებიან. მხოლოდ ხანდახან გამოჩნდება ხოლმე მოცეკვავეთა შორის, მაგრამ სულ უფრო და უფრო იშვიათად, რადგან სცენაზე ახალ-ახალი წყვილები შემოდიან და ცეკვავენ.

მ გ ო ს ა ნ ი.

გაუჩინარდა ამ საღამოს შემდეგ აზდაკი, მეტი არავის ადარ უნახავს, მაგრამ ქართველ ხალხს დავიწყებისთვის არ მიუცია მისი სახელი და კიდევ დიდხანს იგონებდა იმ ოქროს ხანას,

როდესაც ჩვენში მოსამართლედ იყო აზდაკი, ხანას ხანმოკლეს, სამართლიანს ასე თუ ისე.

მ ო ც ე კ ვ ა ვ ე ნ ი ცეკვით გადიან. აზდაკი აღარ არის სცენაზე.

თქვენ კი, მსმენელნო ამა ცარცის წირის ამბავისა,
მუდამ გახსოვდეთ ეს ძველი მცნება,
რომ ყოველივე ეკუთვნოდეს უნდა ღირსეულს, ვინც იმსახურებს
ამას თავის კეთილი საქმით.

ჩველი ბავშვები დედობრივ კალთას, რათა იზარდონ და იდღეგრძელონ,
ხოლო ურემი ყოჩად მეურმეს, რათა მგზავრობა არ ფერხდებოდეს,
და ველიც იმას, ვინაც მას მორწყავს, რათა კეთილი ნაყოფი მოგვცეს.

მ უ ს ი კ ა.